

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

მაია გრიგოლია

ფისკალური პოლიტიკის მაკროეკონომიკური ეფექტები საქართველოში

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
სადისერტაციო ნაშრომი

მეცნიერ-ხელმძღვანელი
ასოცირებული პროფესორი
ნაზირა კაკულია

თბილისი

2019

აბსტრაქტი

ფისკალური პოლიტიკის მაკროეკონომიკური ეფექტები საქართველოში

საკვანძო სიტყვები: ფისკალური პოლიტიკა, ფისკალური პოლიტიკის მულტიპლიკატორი, დანახარჯები-გამოშვების ცხრილი, ეკონომიკური კრიზისი.

მსოფლიო ფინანსური კრიზისი, რომელიც 2008 წელს განვითარდა იმაზე დიდხანს გაგრძელდა, ვიდრე ეკონომისტების უმრავლესობა ვარაუდობდა და თანდათან ცხადი გახდა, რომ ფისკალური პოლიტიკისა და ზოგადად მაკროეკონომიკური პოლიტიკის შესახებ შეხედულებები უფრო ღრმა შესწავლასა და გამოკვლევას საჭიროებდა. თუკი კრიზისამდელ პერიოდში მონეტარულ პოლიტიკას როგორც ეკონომიკის მასტიმულირებელ საშუალებას უფრო ხშირად მიმართავდნენ, ფინანსური კრიზისის შემდგომ ეკონომისტების უმრავლესობა თანხმდება, რომ რიგ საკითხებში ფისკალური პოლიტიკა უფრო ეფექტიანია და რწმენა იმის შესახებ, რომ მონეტარული პოლიტიკა უფრო მოქნილია და ადვილად შეიძლება იყოს დაცული პოლიტიკური წნეხებისგან, თანდათან გაქარწყლდა.

ზოგადად, ფისკალური პოლიტიკის შესაძლო ეფექტიანობის დათვლა მიახლოებული მულტიპლიკატორების საშუალებით ხდება. სამეცნიერო ლიტერატურა აჩვენებს, რომ ზოგადი ეკონომიკური სიტუაცია და მონეტარული პოლიტიკის პოზიციონირებაც გავლენას ახდენს ფისკალურ მულტიპლიკატორზე. იმის მიხედვით, თუ რა იქნება მონეტარული პოლიტიკის საპასუხო რეაქცია, სარგებლის განაკვეთის მიმართ მგრძობიარე კერძო დანახარჯები შეიძლება გამოიღვენოს ან პირიქით გაიზარდოს. ასევე, მცირე ღია ეკონომიკის შემთხვევაში მნიშვნელოვანია იმპორტის გათვალისწინება და ფისკალური პოლიტიკის მულტიპლიკატორის გაანგარიშება წმინდად ადგილობრივ გამოშვებაზე.

სადისერტაციო კვლევის მიზნებია: ფისკალური პოლიტიკის მაკროეკონომიკაზე გავლენის შეფასება იმპორტის გათვალისწინებით საქართველოს მაგალითზე. ასევე საქართველოსთვის გამოშვების მერყეობის ფისკალურ სტაბილურობაზე გავლენის შეფასება და ქვეყანათაშორის ანალიზი ფისკალური სტაბილურობასა და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირის დადგენის ჭრილში.

კვლევის მიზნების მისაღწევად განხორციელდა მცირე, ღია ეკონომიკისთვის დამახასიათებელი თეორიული მოდელის შერჩევა, რომლის მეშვეობით გაანგარიშებულ იქნება ფისკალური პოლიტიკის მულტიპლიკატორი საქართველოსთვის. ფისკალური მულტიპლიკატორის შეფასებისას დაშვებულია, რომ სარგებლის განაკვეთის მიმართ მგრძობიარე კერძო დანახარჯები და ინვესტიციები მუდმივია (კონსტანტა). აქედან გამომდინარე, შერჩეული მეთოდოლოგია წარმოადგენს ფისკალური მულტიპლიკატორის კონსერვატიულ შეფასებას ღრმა მოთხოვნის შოკით გამოწვეული რეცესიის დროს. რა თქმა უნდა, ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც ეკონომიკის დასტაბილურებისკენ მიმართული მოქმედება ყველაზე მეტადაა საჭირო. უფრო მეტიც, ფისკალური ეფექტიანობის გაანგარიშებისას მნიშვნელოვანია შეფასდეს იმპორტის მონაწილეობის ინტენსივობა ადგილობრივ წარმოებასა და მოხმარებაში. იმპორტისადმი მიდრეკილების სწორად გაანგარიშებისთვის გამოყენებულია დანახარჯები-გამოშვების ცხრილები, რომელიც რესურსებისა და გამოყენების ცხრილებზე დაყრდნობით მიიღება. ასევე, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით, შეფასდა ფისკალური სტაბილიზაციის კოეფიციენტი საქართველოსთვის.

სადისერტაციო კვლევის პრაქტიკულ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს ერთობლივი ადგილობრივი მოთხოვნის, ფისკალური დანახარჯებისა და ინვესტიციების ადგილობრივ წარმოებაზე გავლენის რაოდენობრივი შეფასება საქართველოს მაგალითზე, ასევე ფისკალური სექტორის ანალიზი და ქვეყანათაშორისი შედარება ფისკალურ სტაბილურობასა და ეკონომიკურ მდგრადობას შორის კავშირის დადგენის ჭრილში. კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება არის საქართველოში ფისკალური პოლიტიკის ეფექტების დადგენასა და ფისკალური სტაბილუტობის შესახებ პრაქტიკული კვლევების თანამედროვე მიდგომებით შევსება.

Abstract

Macroeconomic Impacts of Fiscal Policy: Case of Georgia

Key words: Fiscal Policy, Fiscal Multiplier, Input-Output Tables, Economic Crisis.

The global financial crisis of 2008 lasted longer than most economists expected. Gradually, it became obvious, that deeper and more comprehensive studies and effectiveness analysis of fiscal policy and in general, of macroeconomic policy are needed. While in the pre-crisis period, monetary policy was applied more frequently to stimulate the economy, in the post-crisis era, most of the economists agree that in some situations fiscal policy can be more effective; moreover belief that monetary policy is more flexible and can be free from political pressure, gradually diminishes.

In general, the potential effects of fiscal policy can be estimated using fiscal multipliers. There is an evidence from applied theoretical, as well as from empirical literature, that both, the general economic situation and the positioning of monetary policy, affect the magnitude of fiscal multipliers. Depending on the response of monetary policy to the effects of fiscal policy intervention, interest sensitive private investment can be crowded out or to the contrary, increased. In addition, for small and open economies, it is important to take into consideration country imports produced abroad and estimate fiscal policy multiplier purely for the local output.

The goal of the PhD paper is to assess the impact of fiscal policy on macroeconomic variables for Georgia. The dissertation also assesses the impact of volatility in output on the fiscal stability for the country and conducts cross-country analysis of the relationship between fiscal stability and economic growth.

To reach above mentioned goals, a theoretical model for a small and open economy was used as a basis to calculate fiscal policy multiplier for Georgia. While estimating the fiscal multiplier, it was assumed that the interest-rate-sensitive private expenditure and investment are constant. Therefore, the chosen methodology represents a conservative estimate of the fiscal multiplier in the case of a deep demand shock recession. This is exactly when the action to stabilize the economy is most needed. Moreover, when calculating fiscal effects, it is important

to take into consideration the direct and indirect import intensity in consumption, investment, government spending, and export. In order to calculate the propensity of import Input-Output Tables were developed for the country. In addition, using a methodology developed by the International Monetary Fund, the Fiscal Stabilization Coefficient was estimated for Georgia.

The practical results of the dissertation are the following: (a) quantitative assessment of the impact of domestic absorption, fiscal expenditure and investment on the Georgian economy; (b) the fiscal sector analysis and cross-country comparisons in establishing the relationship between fiscal stability and economic sustainability. The most important scientific outcome of the research is to fill the gap in practical analysis of fiscal policy effectiveness and sustainability for Georgia. The findings of this dissertation will facilitate research, will contribute to the evidence-based fiscal policy making in the public sector, as well as will benefit private sector.

შინაარსი

შესავალი	1
თავი I. ფისკალური პოლიტიკის მაკროეკონომიკური ეფექტები სხვადასხვა თეორიული მოდელის მიხედვით.....	10
1.1 ნეოკეინზიანური, პოსტკეინზიანური, მონეტარული, კლასიკური, ახალი კლასიკური (ნეოლიბერალური) და ახალი კეინზიანური ფისკალური პოლიტიკის თავისებურებები	10
1.2 პოსტკრიზისული პერიოდის ფისკალური პოლიტიკის მაკროეკონომიკური შეფასება	26
1.3 ფისკალური მულტიპლიკატორი და მისი გავლენა მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე.....	53
თავი II. ფისკალური მულტიპლიკატორის მოდელი დანახარჯები-გამოშვების ცხრილების მეშვეობით (საქართველოს მაგალითი).....	60
2.1. ფისკალური მულტიპლიკატორის თავისებურებები	60
2.2. დანახარჯები-გამოშვების ცხრილის აგება საქართველოსთვის	66
თავი III. საქართველოს ფისკალური სექტორის მიმოხილვა	83
3.1. საქართველოს საჯარო ფინანსებისა და ფისკალური პოლიტიკის მიმოხილვა ..	83
3.2. ფისკალური პოლიტიკის მდგრადობა გამოშვების მერყეობის მიმართ (FISCO კოეფიციენტი).....	102
3.3. ფისკალური დანახარჯების მულტიპლიკატორის გამოთვლა საქართველოსთვის.....	115
დასკვნა	124
გამოყენებული ლიტერატურა.....	132
გამოქვეყნებული ნაშრომები	143
დანართი.....	144

გრაფიკების ჩამონათვალი

გრაფიკი 1. ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობა.....	12
გრაფიკი 2. ფისკალური მულტიპლიკატორი სხვადასხვა ქვეყანაში კატეგორიების მიხედვით, 2010.....	29
გრაფიკი 3. ბრიუსელის დონორთა საერთაშორისო კონფერენცია: ფინანსური მხარდაჭერის სტრუქტურა.....	34
გრაფიკი 4. საქართველოს საბიუჯეტო სისტემა.....	85
გრაფიკი 5. სახელმწიფოს დანახარჯები, წილი GDP-ში (%).....	88
გრაფიკი 6. სახელმწიფო დანახარჯების პროცენტული თანაფარდობა GDP-სთან და GDP მოსახლეობის ერთ სულზე.....	89
გრაფიკი 7. ბიუჯეტის მთლიანი და საოპერაციო სალდო.....	90
გრაფიკი 8. დეფიციტის (პროფიციტის) წილი GDP-ში (%) (მთლიანი სალდო).....	91
გრაფიკი 9. ბიუჯეტის ხარჯები და ეკონომიკური ზრდა.....	91
გრაფიკი 10. ბიუჯეტის ხარჯების ზრდისა და GDP-ს ზრდის ტემპები (%).....	92
გრაფიკი 11. ნაერთი და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები, წილი GDP-ში.....	93
გრაფიკი 12. ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების განაწილება, 2017.....	93
გრაფიკი 13. ბიუჯეტის ხარჯების განაწილება.....	94
გრაფიკი 14. ხარჯების განაწილება ფუნქციონალურ ჭრილში, 2017.....	95
გრაფიკი 15. ბიუჯეტის ხარჯები ფუნქციონალურ ჭრილში.....	96
გრაფიკი 16. ბიუჯეტის შემოსავლები და ეკონომიკური ზრდა.....	96
გრაფიკი 17. ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები.....	97
გრაფიკი 18. ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების განაწილება და საგადასახადო შემოსავლების განაწილება ნაერთ ბიუჯეტში, 2017.....	98
გრაფიკი 19. ნაერთი და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები, წილი GDP-ში (%).....	99
გრაფიკი 20. სახელმწიფო ვალი.....	100
გრაფიკი 21. ვალდებულებების ცვლილება.....	100
გრაფიკი 22. სახელმწიფო ვალის GDP-სთან თანაფარდობა; საშინაო და საგარეო სახელმწიფო ვალი, 2017.....	101
გრაფიკი 23. პროცენტის წილი ნაერთი ბიუჯეტის მთლიან ხარჯებში.....	102
გრაფიკი 24. ფისკალური სტაბილიზატორის კოეფიციენტის (FISCO) განაწილება.....	106
გრაფიკი 25. ფისკალური სტაბილიზატორის კოეფიციენტი (FISCO) განვითარებული ეკონომიკებისთვის.....	107
გრაფიკი 26. ფისკალური სტაბილიზატორის კოეფიციენტი (FISCO) გარდამავალი ბაზრებისა და განვითარებადი ეკონომიკებისთვის.....	107
გრაფიკი 27. ფისკალური სტაბილიზაციის კოეფიციენტი (FISCO) და სახელმწიფო ზომა (ავტომატური სტაბილიზატორი)- 2016წ.	111
გრაფიკი 28. ფისკალური სტაბილიზაციის კოეფიციენტი (FISCO) და გამოშვების მერყეობა, 1980-2013.....	112
გრაფიკი 29. ნეოკეინზიანური, პოსტკეინზიანური, მონეტარული, კლასიკური, ახალი კლასიკური (ნეოლიბერალური) და ახალი კეინზიანური ფისკალური პოლიტიკის თეორიული ჩარჩო.....	144

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1. ფისკალური პოლიტიკის მოკლევადიანი ეფექტიანობის შესახებ თეორიული დებატების კომპლექსურობა.....	17
ცხრილი 2. რესურსებისა და გამოყენების ცხრილების შინაარსი.....	68
ცხრილი 3. დანახარჯები-გამოშვების (IOT) ცხრილების სახეობები.....	73
ცხრილი 4. რესურსების ცხრილი.....	74
ცხრილი 5. გამოყენების ცხრილი.....	75
ცხრილი 6. დანახარჯები-გამოშვების ცხრილი.....	77
ცხრილი 7. 4-6 ცხრილებში გამოყენებული აღნიშვნების განმარტებები.....	78
ცხრილი 8. დანახარჯები-გამოშვების ზოგადი ცხრილი.....	80
ცხრილი 9. ეკონომიკის სტრუქტურული მატრიცები.....	82
ცხრილი 10. იმპორტის ინტენსივობა და ზოგადი დანახარჯების მულტიპლიკატორები, ევროკავშირის ქვეყნები და საქართველო.....	117
ცხრილი 11. იმპორტის ჩაშლა 2016 წ, დანახარჯები-გამოშვების ცხრილის (IOT) მიხედვით, საქართველო.....	119
ცხრილი 12. იმპორტების ინტენსივობების კოეფიციენტები.....	120
ცხრილი 13. იმპორტის ინტენსივობა, მოხმარებისადმი მიდრეკილება და სახელმწიფო მოხმარების მულტიპლიკატორი.....	121
ცხრილი 14. ფისკალური პოლიტიკის მოკლევადიანი გავლენა ნეოკეინზიანური, პოსტკეინზიანური, მონეტარული, კლასიკური, ახალი კლასიკური (ნეოლიბერალური) და ახალი კეინზიანური მოდელების შემთხვევაში.....	146
ცხრილი 15. სექტორების და პროდუქტების აღნიშვნები.....	148
ცხრილი 16. რესურსების ცხრილი საქართველოსთვის (2016 წ).....	149
ცხრილი 17. გამოყენების ცხრილი საქართველოსთვის (2016 წ).....	150
ცხრილი 18. ადგილობრივი პროდუქტების გამოყენების ცხრილი საქართველოსთვის (2016 წ).....	151
ცხრილი 19. იმპორტირებული პროდუქტების გამოყენების ცხრილი საქართველოსთვის (2016 წ).....	152
ცხრილი 20. წარმოების მატრიცა (ტრანსპონირებული რესურსების მატრიცა) საქართველოსთვის (2016 წ).....	153
ცხრილი 23. პროდუქტების გამოშვების დიაგონალური მატრიცა საქართველოსთვის (2016 წ).....	153
ცხრილი 22. ტრანსფორმაციის მატრიცა საქართველოსთვის (2016 წ).....	154
ცხრილი 23. ადგილობრივი წარმოების შუალედური პროდუქტი საქართველოსთვის (2016 წ).....	154
ცხრილი 24. იმპორტირებული შუალედური პროდუქტი საქართველოსთვის (2016 წ).....	155
ცხრილი 25. ადგილობრივი პროდუქტის საბოლოო გამოყენების მატრიცა საქართველოსთვის (2016 წ).....	155
ცხრილი 26. იმპორტირებული პროდუქტის საბოლოო გამოყენების მატრიცა საქართველოსთვის (2016 წ).....	156
ცხრილი 27. დანახარჯები-გამოშვების ცხრილი საქართველოსთვის (2016 წ).....	157
ცხრილი 28. ეკონომიკის სტრუქტურული მატრიცები საქართველოსთვის (2016 წ).....	158
ცხრილი 29. ლეონტიევის სექტორული მატრიცა საქართველოსთვის (2016 წ).....	159

ცხრილი 30.. საბოლოო საქონლისა და მომსახურების კომპონენტებით გამოწვეული ადგილობრივი წარმოება საქართველოსთვის (2016 წ.).....160

ცხრილი 31. გარდამავალი ბაზრები და განვითარებადი ეკონომიკები: ფისკალური სტაბილიზატორის კოეფიციენტი.....162

ცხრილი 32.განვითარებული ეკონომიკები: ფისკალური სტაბილიზატორის კოეფიციენტი.....163

აბრევიატურების ჩამონათვალი

სსფ	საერთაშორისო სავალუტო ფონდი (International Monetary Fund)
AD	ერთობლივი მოთხოვნა (Aggregate Demand)
AS	ერთობლივი მიწოდება (Aggregate Supply)
DA	ადგილობრივი მოთხოვნა (Domestic Absorbtion)
DSGE	დინამიური სტოქასტური ზოგადი წონასწორობა (Dinamic Stocastic General Equilibrium)
FISCO	ფისკალური სტაბილიზაციის კოეფიციენტი (Fiscal Stabilization Coefficient)
FISIM	არაპირდაპირი ფინანსური შუამავლობის მომსახურება (Financial Intermediation Services Indirectly Measured)
GDP	მთლიანი სამამულო პროდუქტი (Gross Domestic Product)
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (Organization for Economic Cooperation and Development)
IOT	დანახარჯებისა და გამოშვების ცხრილები (Input-Output table)
MRPL	შრომის ზღვრული შემოსავლის პროდუქტი (marginal revenue product of labor schedule)
NRH	ნეო-რიკარდისეულ ჰიპოთეზა (Neo Ricardian Hypothesis)
SUT	რესურსებისა და გამოყენების ცხრილები (Supply-Use tables)
VAR	ვექტორული ავტორეგრესია (Vector Auto Regression)
ZLB	დაბალი ნომინალური სარგებლის განაკვეთი (Zero Lower Bound)

შესავალი

თემის აქტუალობა

მსოფლიოს ბოლო, 2008-2009 წლების ეკონომიკურმა კრიზისმა ფისკალური და ზოგადად მაკროეკონომიკური პოლიტიკის გადახედვა და ხელახალი გააზრება გამოიწვია. თუკი კრიზისამდელ პერიოდში დომინირებდა მონეტარული პოლიტიკის მხარდამჭერი აზრები, ფინანსური კრიზისის შემდგომ ეკონომისტების უმრავლესობა თანხმდება, რომ რიგ საკითხებში ფისკალური პოლიტიკა უფრო ეფექტიანია და რწმენა, რომ მონეტარული პოლიტიკა უფრო მოქნილია და უფრო ადვილად შეიძლება იყოს დაცული პოლიტიკური წნეხებისგან, თანდათან გაქარწყლდა. კრიზისი, რომელიც 2008 წელს განვითარდა იმაზე დიდხანს გაგრძელდა, ვიდრე ეკონომისტების უმრავლესობა ვარაუდობდა და თანდათან ცხადი გახდა, რომ ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობის და მაკროეკონომიკური პოლიტიკის შესახებ შეხედულებები უფრო ღრმა შესწავლასა და გამოკვლევას საჭიროებდა.

თემის აქტუალობაზე პოსტკრიზისული ფისკალური პოლიტიკის მაკროეკონომიკური ანალიზი მიუთითებს, რომლის საფუძველზე დადგენილია ფისკალური პოლიტიკის გაზრდილი როლი და შესაბამისად ფისკალური ინსტრუმენტების დანერგვის, ახალი ფისკალური ინდიკატორების შექმნისა და გაანგარიშების საჭიროება, რომლებმაც შესაძლებელი უნდა გახადოს კრიზისის დროული იდენტიფიცირება, რათა განელდეს ფისკალური პოლიტიკის გატარების დროულობის პრობლემა. კრიზისის პერიოდში იმპროვიზაციული ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკის გატარების შემდეგ ბევრმა ქვეყანამ მალევე მიმართა რესტრიქციულ პოლიტიკას მნიშვნელოვნად გაზრდილი სახელმწიფო ვალის შესამცირებლად, მაშინ როდესაც მსგავსი გადაწყვეტილებების შედეგების პროგნოზირების შესაბამისი გამოცდილება ნაკლებად არსებობდა. ასევე, ცალსახა გახდა ფისკალური სივრცის გრძელვადიანი დაგეგმვის საჭიროება, რაც მომავალი კრიზისების დროს ქვეყნებს აგრესიული ფისკალური პოლიტიკის გატარების საშუალებას მისცემს.

საქართველო შედარებით მცირე ზომის სახელმწიფო სექტორით ხასიათდება (ნაერთი ბიუჯეტის დანახარჯების წილი GDP-ში), თუმცა სახელმწიფო სექტორის ზომასა და მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავალს შორის დადგენილი დადებითი კავშირი

მიუთითებს, რომ საქართველოს სახელმწიფო ზომა ეკონომიკის განვითარებასთან ერთად შეიძლება გაიზარდოს და შესაბამისად გაიზრდება ფისკალური პოლიტიკის როლი და გავლენა ეკონომიკაზე. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ქვეყნების ფისკალური სექტორის ზომის ზრდის ზოგადი მოლოდინი ოცდამეერთე საუკუნეში, რამდენადაც ეკონომიკების უმრავლესობა ნელ-ნელა ინაცვლებს ისეთი სექტორებისკენ, სადაც საბაზრო ჩავარდნების თავიდან არიდება შეუძლებელია (განათლება, ჯანდაცვა, საინფორმაციო საქონელი) და სწორედ ამიტომ ფისკალური პოლიტიკის როლი მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია საქართველოსთვის პრაქტიკული კვლევების ამ მიმართულებით წარმოება, რათა გაჩნდეს და ჩამოყალიბდეს დისკუსიისთვის საჭირო მასალები.

ზოგადად, ფისკალური პოლიტიკის შესაძლო მაკროეკონომიკური ეფექტიანობის დათვლა მიახლოებული მულტიპლიკატორების საშუალებით ხდება. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ფისკალური პოლიტიკის მულტიპლიკატორების არსებული შეფასებები მნიშვნელოვნად მერყეობს უარყოფითი რიცხვებიდან დადებით რიცხვებამდე. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რა იწვევს რყევის ასეთ ფართო დიაპაზონს და ვიპოვოთ მისაღები გზები ამ დიაპაზონის შესამცირებლად. ისინი ვინც სკეპტიკურად აფასებენ დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობას, ძირითადად ეყრდნობიან მცირე ზომის მულტიპლიკატორების ინტერპრეტაციებს, ხოლო ისინი, ვისაც ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობის მიმდევარია, ეყრდნობიან კვლევების იმ ნაწილს, რომელიც უფრო დიდი ზომის მულტიპლიკაციურ შედეგებზე გადის. წარმოდგენილი კვლევა კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია იმ დისკუსიაში, რომელიც ფისკალური ეფექტიანობის ემპირიულ შეფასებას აკეთებს საქართველოსთვის. სამეცნიერო ლიტერატურა აჩვენებს, რომ ზოგადი ეკონომიკური სიტუაცია და მონეტარული პოლიტიკის პოზიციონირებაც გავლენას ახდენს ფისკალურ მულტიპლიკატორზე. იმის მიხედვით, თუ რა იქნება მონეტარული პოლიტიკის საპასუხო რეაქცია (ფისკალური ექსპანსიით გამოწვეული ინფლაციის საპასუხოდ გაზრდის ნომინალურ და რეალურ სარგებლის განაკვეთებს თუ შეინარჩუნებს ნომინალური სარგებლის განაკვეთს მოცემულ დონეზე და ამით საშუალებას მისცემს რეალური სარგებლის განაკვეთს რომ შემცირდეს), სარგებლის განაკვეთის მიმართ მგრძნობიარე კერძო დანახარჯები შეიძლება გამოიღვენოს ან

პირიქით გაიზარდოს. ამ კვლევაში გამოყენებული ფისკალური მულტიპლიკატორის შეფასებისას ვაკეთებთ დაშვებას, რომ სარგებლის განაკვეთის მიმართ მგრძობიარე კერძო დანახარჯები და ინვესტიციები არის მუდმივი (კონსტანტა). აქედან გამომდინარე, ეს კვლევა წარმოადგენს ფისკალური მულტიპლიკატორის კონსერვატიულ შეფასებას ღრმა მოთხოვნის შოკით გამოწვეული რეცესიის დროს. რა თქმა უნდა, ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც ეკონომიკის დასტაბილურებისკენ მიმართული მოქმედება ყველაზე მეტადაა საჭირო. უფრო მეტიც, სადისერტაციო ნაშრომში გაანგარიშებულია ფისკალური მულტიპლიკატორი ღია ეკონომიკისთვის და ძირითად ყურადღებას მივმართავთ იმპორტისადმი მიდრეკილების სწორად გაანგარიშებაზე. ამის გაკეთება კი დანახარჯები-გამოშვების ცხრილების მეშვეობით იქნება შესაძლებელი.

ფისკალური პოლიტიკის როლთან დაკავშირებული გაურკვეველობა არ შეიძლება მხოლოდ ემპირიული მოდელების ცდომილობებს დავაბრალოთ. თეორიული ჩარჩო ფისკალური პოლიტიკის შედეგებს განსხვავებულად აფასებს. ფისკალური პოლიტიკის მოკლევადიანი მაკროეკონომიკური ეფექტი დამოკიდებულია ერთობლივი მოთხოვნასა (AD) და მის ზეგავლენაზე გამოშვების მიმართ. ემპირიული მოდელების ცდომილებების განხილვასთან ერთად, მნიშვნელოვანია თეორიული მოდელების შეჯამება და მათ შორის განსხვავებების და მსგავსებების იდენტიფიცირება. კერძოდ, განვიხილავთ ნეოკეინზიანურ, პოსტკეინზიანურ, მონეტარულ, კლასიკურ, ახალ კლასიკურ და ახალ კეინზიანურ მოდელებს და ვნახავთ როგორ აღწერენ ერთობლივი მოთხოვნის გავლენას გამოშვებაზე და შედეგად, რამდენად ადასტურებენ ან უარყოფენ ფისკალური პოლიტიკის გავლენას გამოშვებაზე.

გარდა ამისა, ფისკალური პოლიტიკის გრძელვადიანი დაგეგმვის ჭრილში, მნიშვნელოვანია ფისკალური სტაბილურობასა და ეკონომიკურ რყევებს შორის უკრთიერთკავშირის დადგენა. როგორც უკვე აღინიშნა ფისკალური სივრცის სწორად დაგეგმვა, საშუალებას მისცემს ქვეყანას მზად იყოს დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის გასატარებლად. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია საქართველოსთვის

განვიხილოთ ფისკალური სტაბილურობის, როგორც მდგრადი ეკონომიკის ზრდის და სტაბილიზაციის წინაპირობა.

კვლევის მიზნები და ამოცანები

სადისერტაციო ნაშრომს გააჩნია რამოდენიმე ძირითადი მიზანი. მათ შორისაა ფისკალური პოლიტიკის მაკროეკონომიკური ეფექტიანობის რაოდენობრივი შეფასება საქართველოსთვის. აღნიშნული შეფასება მოიცავს ფისკალური მულტიპლიკატორი გაანგარიშებას დანახარჯები-გამოშვების ცხრილების მეშვეობით (Input-Output Tables), რაც თავის მხრივ სახელმწიფო დანახარჯების გამოშვებაზე გავლენის დადგენას გულისხმობს იმპორტის ინტენსივობის გათვალისწინებით.

ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია საქართველოს ფისკალური სექტორის სტაბილურობის შეფასება და ანალიზი ბალტიის პირეთის ქვეყნებისა და სხვა ზოგიერთი ევროკავშირის წევრ ქვეყანასთან შედარებით. კერძოდ, თუ როგორი კავშირია გამოშვების მერყეობასა და ფისკალურ სტაბილურობას შორის და ნიშნავს თუ არა სტაბილური ფისკალური გარემო უფრო სწრაფად მზრად და სტაბილურ ეკონომიკას. ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფო ზომის შეფასება და ამ მიმართულებით მოლოდინების სწორად დასახვა სამომავლო სტაბილურობაზე ორიენტირებული ფისკალური სივრცის დაგეგმისთვის.

ნაშრომის ასევე ერთ-ერთი ძირითადი მიზანია ზოგადად პოსტკრიზისული პერიოდის ფისკალური პოლიტიკის როლის შეფასებების ანალიზი და ბოლო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს მიღებული გამოცდილების გაზიარება საქართველოს ჭრილში. ეკონომიკაში გასული პერიოდის გამოცდილების გაზიარება და ანალიზი არის ახალი თეორიული და პრაქტიკული კვლევების საფუძველი. სწორედ ამიტომ, საინტერესოა ბოლო კრიზისის დროს ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობის შესახებ გამოცდილების ანალიზი, რაც საფუძველად უნდა დაედოს მაკროეკონომიკური თეორიების შესაძლო შესწორებებსა და სამომავლო გადაწყვეტილებების დაგეგმვის პროცესს.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომის ამოცანებია:

- ფისკალური პოლიტიკის თავისებურებების განხილვა სხვადასხვა მაკროეკონომიკური სკოლებისთვის, როგორცაა ნეოკეინზიანური, პოსტკეინზიანური, მონეტარული, კლასიკური, ახალი კლასიკური (ნეოლიბერალური) და ახალი კეინზიანური. ფისკალური პოლიტიკის როლი და მისი გავლენა ეკონომიკაზე განსხვავდება სხვადასხვა მაკროეკონომიკური თეორიებისთვის და სანამ, მანამ უშუალოდ დავიანგარიშებთ თუ რას უდრის საქართველოში ფისკალური მულტიპლიკატორის ზომა, მნიშვნელოვანია შევადაროთ ფისკალური პოლიტიკის მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე გავლენის განსხვავებული შედეგების თეორიული მიზეზები;
- პოსტკრიზისული პერიოდის ფისკალური პოლიტიკის იმ გამოწვევების მიმოხილვა, რომელიც დგას როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნების წინაშე, რათა პასუხი გაეცეს ფისკალური პოლიტიკის მნიშვნელობასთან დაკავშირებულ კითხვებს;
- საქართველოს ფისკალური სექტორის მონაცემების მიმოხილვა და ანალიზი. ასევე, სახელმწიფო ზომის შეფასება და ქვეყანათაშორისი ანალიზი ამ მიმართულებით საქართველოს პოზიციონირების დასადგენად.
- მცირე ზომის, ღია ეკონომიკისთვის დამახასიათებელი თეორიული მოდელის შერჩევა, რომელიც საფუძვლად დაედება ფისკალური პოლიტიკის მაკროეკონომიკური ეფექტების რაოდენობრივ შეფასებას საქართველოსთვის.
- წინ დასახელებული ამოცანიდან გამომდინარე შემდეგი ამოცანაა საქართველოსთვის დანახარჯები-გამოშვების (IOT) ცხრილების აგება, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება რესურსებისა და გამოყენების ცხრილებს.
- იმპორტის ინტენსივობის შეფასება მოხმარებისთვის, სახელმწიფო დანახარჯებისთვის, ინვესტიციებისა და ექსპორტისთვის. მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ რა ინტენსივობით მონაწილეობს იმპორტი საქართველოს ეკონომიკაში როგორც პირდაპირ, ასევე შუალედური საქონლის სახით;
- კვლევის შემდეგი ამოცანაა, შერჩეული და საქართველოსთვის მორგებული მოდელის დახმარებით, ფისკალური პოლიტიკის მულტიპლიკატორის გაანგარიშება წმინდად ადგილობრივი წარმოებისთვის, იმპორტის ელიმინაციის გათვალისწინებით;

- და ბოლოს, კვლევის ამოცანაა საქართველოსთვის ეკონომიკის ფისკალურ სტაბილურობაზე გავლენის შეფასება, ფისკალური სტაბილიზაციის კოეფიციენტის დაანგარიშებით;

კვლევის მეთოდოლოგია და სტრუქტურა

კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობის შესახებ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მეცნიერების თეორიულ და ემპირიულ ნაშრომებს. ასევე, აქტიურად იქნა გამოყენებული საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები და მათ მიერ შემუშავებული თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები ფისკალური სტაბილურობის მნიშვნელობისა და შეფასების შესახებ.

თანამედროვე ლიტერატურის უდიდესი ნაწილი, ფისკალური პოლიტიკის მაკროეკონომიკური ეფექტების შესაფასებლად იყენებს ე.წ. VAR (ვექტორული ავტორეგრესია-Vectors Autoregression) და DSGE (დინამიურ სტოქასტური ზოგადი წონასწორობის მოდელი- Dinamic Stochastic General equilibrium) მოდელებს. ეს მიდგომები არაპირდაპირ გულისხმობს დაშვებებს მონეტარული პოლიტიკის რეაგირების შესახებ. ამ კვლევის მიზანია გამოიყენოს მულტიპლიკატორის გაანგარიშების ისეთი მეთოდი, რომელიც არ წარმოშობს მონეტარული პოლიტიკის რეაგირების აუცილებლობას. გაანგარიშებისთვის გამოყენებულია დანახარჯები-გამოშვების ცხრილები (Input-Output Tables, IOT), რომელიც აგებულ იქნა ეროვნული ანგარიშების მიერ შემუშავებული რესურსებისა და გამოყენების ცხრილებზე (Supply-Use Tables SUT) დაყრდნობით. ამ მიდგომის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ მოდელი ითვლის თუ რა ზომისაა მოხმარებით და ექსპორტით გამოწვეული იმპორტი, ახდენს მის იზოლირებას და ანგარიშობს ფისკალური პოლიტიკის ეფექტს მხოლოდ წმინდად ადგილობრივი გამოშვებისთვის. მაშინ, როდესაც ქვეყანაში იმპორტის წილი დიდია და ასევე ექსპორტში პირდაპირ და არაპირდაპირ, იმპორტი მნიშვნელოვნად მონაწილეობს, ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკით შექმნილი ეფექტების გადინება ხდება.

უმცირეს კვადრატთა მეთოდით შეფასებულია საქართველოს ფისკალური პოლიტიკის წრიულობის (ციკლურობის) ზომა, რაც ფისკალური პოლიტიკის

სტაბილურობის გასაზომად გამოიყენება. ასევე, გაკეთებულ იქნა კორელაციური ანალიზი, რის საფუძველზეც დადგინდა უარყოფითი კავშირი ფისკალურ სტაბილურობასა და გამოშვების მერყეობას შორის.

ნაშრომი შედგება სამი თავისაგან და შემდეგი შინაარსით არის წარმოდგენილი:

- პირველ თავში გაანალიზებულია ფისკალური პოლიტიკის გამოშვებაზე გავლენის თეორიული მოდელები. ამ თავში მოცემულია ექვსი სხვადასხვა ფუნდამენტური თეორიის შედარებითი ანალიზი, რაც კიდევ უფრო კარგად წარმოაჩენს ამ მიმართულებით ეკონომიკური კვლევების საჭიროებას მომავალში. პირველ თავში ასევე წარმოდგენილია ფისკალური პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევების ანალიზი. განხილულია ისეთ ლიდერი მაკროეკონომისტების მოსაზრებები როგორცაა რომერი, სპენსი, გასპერი, შტიგლიცი, სოლოუ, ბლანშარდი და სხვები. ასევე გაანალიზებულია ფისკალური პოლიტიკის სამომავლო პერსპექტივა. განხილულია ფისკალური მულტიპლიკატორის რაობა და მისი გავლენა მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე. გადმოცემულია ფისკალური მულტიპლიკატორის გაანგარიშების სხვადასხვა გზები და მოდელები;
- პირველ თავში განვითარებული მსჯელობის საფუძველზე მეორე თავში მოცემულია ფისკალური მულტიპლიკატორის მოდელი, რომელიც კარგად აღწერს მცირე, ღია ეკონომიკის ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობას. მაღალი იმპორტის მქონე ქვეყნებში ფისკალური ეფექტიანობის შესაძლო გადინების გამო, იმპორტის ელიმინაცია არის საჭირო. შერჩეული მოდელის თანახმად მულტიპლიკატორის დასათვლელად საჭიროა დანახარჯებისა და გამოშვების მატრიცის შედგენა საქართველოსთვის. შესაბამისად ამ თავში განხილულია ლეონტიევის გარდაქმნები და გაერთიანებული ერების მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია, რაც საშუალებას მოგვცემს ეროვნული ანგარიშების მიერ გამოქვეყნებული რესურსებისა და გამოყენების ცხრილებიდან მივიღოთ დანახარჯები-გამოშვების ცხრილები. და საბოლოოდ, აღნიშნული მეთოდოლოგიით ფისკალური მულტიპლიკატორი გაანგაშირებულია შემდეგ თავში, რომელიც გვიჩვენებს წმინდა ეფექტს ადგილობრივ წარმოებაზე;
- მესამე თავში მიმოვიხილავთ საქართველოს საჯარო ფინანსებსა და ფისკალურ პოლიტიკას. ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და ზოგიერთი სხვა ევროკავშირის

ქვეყნებთან შედარებით გაანალიზებულია სახელმწიფოს ზომა. ამავე თავში არის გაანგარიშებული და გაანალიზებული ფისკალური სტაბილიზაციის კოეფიციენტი (FISCO) საქართველოსთვის. კორელაციური ანალიზის საფუძველზე დადგენილია კავშირი სტაბილურობასა და გამოშვების მერყეობას შორის. გაკეთებულია ემპირიული ანალიზი- საქართველოსთვის შედგენილი დანახარჯებისა და გამოშვების ცხილების საფუძველზე ანგარიშებულია იმპორტის ინტენსივობის კოეფიციენტები მოხმარებისთვის, ინვესტიციებისთვის, სახელმწიფო დანახარჯებისა და ექსპორტისთვის. და ბოლოს, ფისკალური მულტიპლიკატორის გასაანგარიშებლად შერჩეული ფორმულის საფუძველზე გაანგარიშებულია ფისკალური პოლიტიკის მაკროეკონომიკური ეფექტები.

კვლევის მეცნიერული სიახლე

კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება არის საქართველოში ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობის დადგენასა და ფისკალური სტაბილუტობის შესახებ პრაქტიკული კვლევების თანამედროვე მიდგომებით შევსება. კერძოდ, კვლევის მეცნიერული სიახლე შემდეგში მდგომარეობს:

- ფისკალური პოლიტიკის მაკროეკონომიკური ეფექტების პრაქტიკული მეთოდოლოგიის შერჩევა და შესაბამისი ემპირიული ანალიზი;
- დანახარჯები-გამოშვების ცხრილის მეშვეობით ეკონომიკის საბოლოო საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის კომპონენტებში იმპორტის ინტენსივობის დადგენა;
- ადგილობრივი ერთობლივი მოთხოვნის, ფისკალური დანახარჯებისა და ინვესტიციების ადგილობრივ წარმოებაზე გავლენის დადგენა საქართველოს მაგალითზე;
- საქართველოს სახელმწიფო ზომის შეფასება და ქვეყანათაშორისი ანალიზის საფუძველზე, სახელმწიფო ზომასა და მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავალს შორის დადებით კავშირის დადგენა;
- ფისკალური სტაბილურობის შეფასება გამოშვების მერყეობის მიმართ საქართველოსთვის;

- ფისკალურ ავტომატურ სტაბილიზატორებსა და სახელმწიფოს ზომას შორის დადებითი კავშირის დადგენა და შესაბამისი პოლიტიკის რეკომენდაციების შემუშავება;

სადისერტაციო კვლევის პრაქტიკულ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს ადგილობრივი ერთობლივი მოთხოვნის, ფისკალური დანახარჯებისა და ინვესტიციების ადგილობრივ წარმოებაზე გავლენის რაოდენობრივი შეფასება საქართველოს მაგალითზე, ასევე ფისკალური სექტორის ანალიზი და ქვეყანათაშორისი შედარება ფისკალურ სტაბილურობასა და ეკონომიკურ მდგრადობას შორის კავშირის დადგენის ჭრილში.

თავი I. ფისკალური პოლიტიკის მაკროეკონომიკური ეფექტები სხვადასხვა თეორიული მოდელის მიხედვით

ეკონომისტები ჯერ კიდევ ვერ თანხმდებიან ფისკალური პოლიტიკის რაოდენობრივ ეფექტიანობაზე. ეს გაურკვეველობა არ შეიძლება მხოლოდ ემპირიული მოდელების ცდომილებებს დავაბრალოთ. სხვადასხვა თეორიული ჩარჩო ფისკალური პოლიტიკის შედეგებს განსხვავებულად აფასებს. ფისკალური პოლიტიკის მოკლევადიანი მაკროეკონომიკური ეფექტიანობა დამოკიდებულია ერთობლივ მოთხოვნაზე, ხოლო თავის მხრივ, ერთობლივი მოთხოვნა კი გავლენას ახდენს გამოშვებაზე.

ამ ნაწილში განვიხილავთ ექვს სხვადასხვა თეორიულ მოდელს: ნეოკეინზიანური, პოსტკეინზიანური, მონეტარული, კლასიკური, ახალი კლასიკური (ნეოლიბერალური) და ახალი კეინზიანური და ვნახავთ, როგორ აღწერენ ერთობლივი მოთხოვნის გავლენას გამოშვებაზე და შედეგად რამდენად ადასტურებენ ან უარყოფენ ფისკალური პოლიტიკის გავლენას გამოშვებაზე. ასევე გავაკეთებთ ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობის კრიზისის შემდგომ ანალიზს და ვიმსჯელებთ ფისკალური მულტიპლიკატორის გაანგარიშების განსხვავებულ მეთოდებზე და მათ თავისებურებებზე.

1.1 ნეოკეინზიანური, პოსტკეინზიანური, მონეტარული, კლასიკური, ახალი კლასიკური (ნეოლიბერალური) და ახალი კეინზიანური ფისკალური პოლიტიკის თავისებურებები


ამ ნაწილში ვიმსჯელებთ სხვადასხვა მაკროეკონომიკური თეორიები (ნეოკეინზიანური, პოსტკეინზიანური, მონეტარული, კლასიკური, ახალი კლასიკური (ნეოლიბერალური), ახალი კეინზიანური) თუ როგორ აღწერენ ფისკალური პოლიტიკის გავლენას ერთობლივ მოთხოვნაზე და შემდეგ როგორ ადასტურებენ ან უარყოფენ ფისკალური პოლიტიკის გავლენას ეკონომიკაზე. ამ დებატების მთავარ სირთულეს საკითხის კომპლექსურობა წარმოადგენს. ეკონომიკის ფუნქციონირების შესახებ განსხვავებული მიდგომები განსხვავებულ დაშვებებს იყენებს და შესაბამისად, დასკვნებიც მნიშვნელოვნად განსხვავდება. თუმცა, ყველა იდეასა და მიდგომას აქვს არსებობის უფლება, მანამ სანამ მისი საპირისპირო არ დამტკიცდება, რასაც თანამედროვე მაკროეკონომიკა ვერ ახერხებს.

ეკონომიკური კრიზისების დროს სხვადასხვა ქვეყანა აქტიურად მიმართავს გადაწყვეტილებებს გადასახადების შემცირების, მიზნობრივი სუბსიდიებისა და გაზრდილი სახელმწიფო დანახარჯების შესახებ, რათა მოახდინოს ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირება და წახალისოს ეკონომიკური აქტივობები. მსგავსი ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკა ეკონომისტებს შორის ყოველთვის ხდება დისკუსიისა და კამათის თემა. ამ მიდგომას განსაკუთრებით ეწინააღმდეგებიან ეკონომისტები, რომლებიც ნეოკლასიკურ სკოლას მიეკუთვნებიან და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ ფისკალური მულტიპლიკატორის რაოდენობრივ შეფასების არსებულ მეთოდებს. გლობალური კრიზისის დასაძლევად სხვადასხვა ქვეყნის მიერ განხორციელებული ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკის კრიტიკა სხვადასხვა მიმართულებით განვითარდა.

რეცესიით გამოწვეულმა შემცირებულმა საგადასახადო შემოსავლებმა და გაზრდილმა ხარჯებმა საბოლოოდ მაღალი საბიუჯეტო დეფიციტები გამოიწვია, რასაც სახელმწიფო ვალების ზრდა მოჰყვა. ამასთან ერთად ეკონომიკური ზრდის ტემპები დაბალი იყო, რამაც ვალის მთლიან სამამულო პროდუქტთან თანაფარდობა კიდევ უფრო გააღრმავა. ამ მაჩვენებლის ზრდამ დააყენა საკითხი სახელმწიფო ვალის მდგრადობის და შესაძლო სახელმწიფო სექტორის კრიზისის შესახებ. ამ საკითხებზე კრიტიკა დაიწყო რეინარტმა და როგოფმა (Reinhart, C.M., Rogoff, K.S. 2008) თავიანთ წიგნში სახელად “ეს დრო განსხვავებულია: ფინანსური სიბრყველის რვა საუკუნე“ („This Time is Different: Eight Centuries of Financial Folly“). მათ აჩვენეს, რომ ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვნად ნელდება თუკი სახელმწიფო ვალის წილი მთლიან შიდა პროდუქტში გადააჭარბებს 90%-იან ზღვარს. თუმცა ნაშრომში შევჩერდეთ ფისკალური პოლიტიკის მოკლევადიანი ეფექტიანობის მსჯელობაზე, როგორც ეკონომიკურ რეცესიასთან გამკლავების შესაძლო ინსტრუმენტზე.

პირველ გრაფიკზე გამოსახულია ფისკალური პოლიტიკის მოქმედების მექანიზმი და მისი გავლენა გამოშვებაზე. ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობა დაყოფილია 2 ეტაპად: პირველი ეტაპია ფისკალური პოლიტიკის გავლენა ერთობლივ მოთხოვნაზე, ხოლო მეორე ეტაპია ერთობლივი მოთხოვნის გავლენა რეალურ ეკონომიკაზე.

გრაფიკი 1. ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობა



წყარო: (T. I. Palley 2012)

ცხადია, ფისკალური პოლიტიკის ზემოქმედების საბოლოო შედეგი მეორე ეტაპზე (ერთობლივი მოთხოვნის გავლენა გამოშვებაზე) მიიღწევა, თუმცა პირველი ეტაპიც არანაკლებ მნიშვნელოვანია, რადგან თუკი ფისკალური პოლიტიკა გავლენას არ მოახდენს ერთობლივ მოთხოვნაზე, მაშინ არ შეიძლება გამოშვებაც და ფისკალური პოლიტიკა არაეფექტიანი გამოდგება. პირველი ეტაპის განხილვას მივყავართ ნეორიკარდისეულ ჰიპოთეზასთან (NRH) (R. J. Barro 1974), რომელიც დეფიციტის ობლიგაციებით დაფინანსების შემთხვევაში დებატების ერთ-ერთი მთავარი თემაა. ნეორიკარდისეულ ჰიპოთეზა (NRH) საოჯახო მეურნეობების დანაზოგებისა და მათი ქცევის შესახებ თეორიას (Dullien, The new consensus from a traditional Keynesian and Post Keynesian perspective: A worthwhile foundation for research or just a waste of time? 2011). NRH-ის მთავარი დაშვება იმაში მდგომარეობს, რომ შინამეურნეობები ითავისებენ ობლიგაციებით დაფინანსებული სახელმწიფო დანახარჯების ზრდის შედეგად მომავალში გადასახადების მატების შესაძლებლობას და ცვლიან გადაწყვეტილებებს დღეს, რაც ასუსტებს გავლენას ერთობლივ მოთხოვნაზე. ამის თეორიული ანალიზი

გააკეთა ბარომ (R. J. Barro 1974), სადაც შინამეურნეობები შორეულ მომავალ გადასახადს აღიარებენ დღეს და განიხილავენ მომავალ ვალდებულებად.

ფისკალური პოლიტიკის ეკონომიკაზე მოქმედების პირველ ეტაპზე სახელმწიფო დანახარჯების ცვლილებასთან დაკავშირებული ორი ძირითადი გადაცემის მექანიზმს განიხილავენ:

1. პირველი მექანიზმია სახელმწიფო დანახარჯების კაპიტალზე გავლენა, რომელიც მოქმედებს საწარმოო ფუნქციის მეშვეობით. თუ სახელმწიფო კაპიტალი შედის ერთობლივ საწარმოო ფუნქციაში, დამატებით სახელმწიფო კაპიტალს (ე.ი. სახელმწიფო საინვესტიციო დანახარჯებს) შეუძლია კერძო სექტორის დასაქმებასა და საინვესტიციო დანახარჯებზე მოახდინოს გავლენა. თუ განვიხილავთ, რომ სახელმწიფო კაპიტალი არის კერძო ინვესტიციების შემავსებელი, მაშინ სახელმწიფო კაპიტალის ზრდას ექნება დადებითი გავლენა კერძო კაპიტალსა და დასაქმებაზე (დადებითი ჯვარედინი-ნაწილობრივი წარმოებული). ხოლო, თუ სახელმწიფო კაპიტალი არის კერძო კაპიტალის შემცვლელი (ჯვარედინ-ნაწილობრივი წარმოებული უარყოფითია), მაშინ ეფექტი უარყოფითი იქნება. უამრავი ემპირიული ლიტერატურა არსებობს სახელმწიფო და კერძო ინვესტიციებს შორის დამოკიდებულების შესახებ, მათ შორის კვლევები, რომელთაც დაასკვნეს საზოგადოებრივი კაპიტალის დადებითი გავლენა კერძო კაპიტალზე, თუმცა გავლენის სიდიდე კვლევებში განსხვავებულია (Aschauer 1989); (Munnell 1990); (Bhatta, S.D., Drennan, M.P. 2003).
2. ფისკალური პოლიტიკის ეკონომიკაზე გავლენის პირველ ეტაპზე გადაცემის მეორე მექანიზმი საოჯახო მეურნეობების მოხმარების არჩევანის გავლით მუშაობს და სარგებლიანობის ფუნქციის მეშვეობით მოქმედებს. თუ სახელმწიფო დანახარჯები საოჯახო მეურნეობების დანახარჯების შემავსებელია, მაშინ სახელმწიფო დანახარჯების გაზრდა დადებითად იმოქმედებს საოჯახო მეურნეობების დანახარჯებზე. ხოლო იმ შემთხვევაში თუკი, სახელმწიფო დანახარჯებს საოჯახო მეურნეობების დანახარჯების შემცვლელად განვიხილავთ, მაშინ სახელმწიფო დანახარჯების ზრდა შეამცირებს საოჯახო მეურნეობების მოხმარებას. იმისათვის რომ მოვახდინოთ

მიკროეკონომიკური ეფექტების იზოლირება და შესაძლებელი იყოს წმინდად მაკროეკონომიკური ეფექტების იდენტიფიცირება, ხშირად აკეთებენ დაშვებებს, რომ სახელმწიფო დანახარჯები არ მონაწილეობს საოჯახო მეურნეობების სარგებლიანობის ფუნქციაში და საზოგადოებრივი კაპიტალი გავლენას ვერ ახდენს კერძო სექტორის მწარმოებლურობაზე (O. J. Blanchard, *Macroeconomics* 2019).

ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობა განსხვავებულია დროის სხვადასხვა პერიოდებში. ამდენად, საჭიროა ფისკალური ეფექტიანობის გაანალიზება ცალ-ცალკე მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდებისთვის. მოკლე და საშუალოვადიანი ანალიზი იკვლევს პოლიტიკის ეფექტს იმ დაშვებით, რომ პოტენციური გამოშვების დონე არ იცვლება. ეს დაშვება გულისხმობს კაპიტალის, ტექნოლოგიებისა და სამუშაო ძალის უცვლელობას. მოკლევადიან და საშუალოვადიან პერიოდში მაკროეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობის ანალიზისას ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ რამდენად ახერხებს მოცემული ფისკალური პოლიტიკა ეკონომიკის პოტენციური გამოშვების დონესთან მიახლოებას (სრული დასაქმების დონეს) და ამ პროცესში იკვლევს, როგორ იცვლება მოხმარება.

მოკლე და საშუალოვადიან პერიოდებს შორის განსხვავებას კი წარმოშობს ფინანსურ აქტივებში ბიუჯეტის დეფიციტით გამოწვეული ცვლილებები. იმისათვის რომ ბიუჯეტი დაფინანსდეს, უნდა წარმოიშვას ფინანსური აქტივები. საშუალოვადიანი პერიოდის ანალიზი ითვალისწინებს ფინანსური აქტივების შესაძლო ცვლილებას, რამდენადაც ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების მეთოდებს შეიძლება გავლენა ჰქონდეს ობლიგაციების რაოდენობასა და ფულზე. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტით გამოწვეული ფინანსური აქტივების ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხები პირველად სისტემურად შეისწავლეს ქრისტმა (Christ 1968) ბლანდერმა და სოლოუმ (Blinder, A.S., and Solow, R. 1973) და შემდეგ მათი კვლევები გახდა საფუძველი ტობინის ნამუშევრებისა (Tobin, A general equilibrium approach to monetary theory 1969); (Tobin 1982); და (Tobin, J. and W.H. Buiter 1976)) ფინანსური აქტივების გამოდევნის შესახებ. შედარებით ახალი კვლევა ამ საკითხის შესახებ ეკუთვნის გოდლისა და ლევის (Godley, W., M. Lavoie 2007). ბიუჯეტის დეფიციტით

გამოწვეული ფინანსური აქტივების ცვლილებები მიმდინარე პერიოდის დებატების ერთ-ერთ მთავარი თემაა.

კლასიკურ ეკონომიკაში განმარტავენ ეკონომიკის ბუნებრივ დონეს. ეს არის მდგომარეობა შრომის ბაზარზე სრული დასაქმებაა და არ არსებობს ჭარბი კაპიტალი (O. J. Blanchard, Macroeconomics 2019). გამოშვება (Y) უდრის პოტენციურ გამოშვებას (Y*) და მოთხოვნა (D) უდრის მიწოდებას, $Y=Y*=D$.

კეინზის ეკონომიკა ძირითად შემთხვევებში აღწერს ეკონომიკას, რომელიც სრულ დასაქმებაზე დაბლაა და არის ჭარბი კაპიტალი. გამოშვება უდრის მოთხოვნას, თუმცა გამოშვება წარმოების პოტენციურ დონეზე ნაკლებია: $Y = D < Y^*$ (T. I. Palley 2012).

ახალმა კლასიკურმა ეკონომიკამ, რომელმაც დომინირება დაიწყო 1970-იანი წლებიდან, დახვეწა კლასიკური ეკონომიკა და შემოიტანა რაციონალური მოლოდინებისა და განუსაზღვრელობის (uncertainty) ცნებები მაკროეკონომიკურ მოდელებში. ეკონომიკა ოპერირებს პოტენციურ დონეზე მანამ სანამ არ მოხდება მოულოდნელი შოკები და პოლიტიკური (საკანონმდებლო) გადახრები (Galbacs 2012). მოლოდინების შემოტანამ გახსნა ახალი დისკუსიის ხაზი, რომელიც გულისხმობს პოლიტიკის ეფექტურობას სისტემური მოსალოდნელი პოლიტიკის განხორციელების ჭრილში. თუმცა უნდა აღნიშნოს, რომ ახალი კლასიკური ეკონომიკის ძირითადი დასკვნები მთლიანად ემთხვევა კლასიკური ეკონომიკის დასკვნებს. მართლაც, კლასიკური მოდელები ემთხვევა ახალ კლასიკურ მოდელებს, თუკი დავუშვებთ ეკონომიკური აგენტების სრულყოფილ წინდახედულობას. სწორედ ამიტომ, როდესაც განიხილება ფისკალური პოლიტიკის გავლენის საკითხი, კლასიკური და ახალი კლასიკური მოდელები შეიძლება განვიხილოთ ერთ ჭრილში.

გასული 25 წლის განმავლობაში ასევე წამოიწია ახალი კეინზიანური ეკონომიკური მოდელები (Mankiw 1991). ამ მოდელების არსებითი მახასიათებლები იმაში მდგომარეობს, რომ მოდელში დამატებულია არასრულყოფილი კონკურენცია და ფასების სიხისტე (რაც კლასიკურ მოდელში არ გვხვდება).

ფისკალური პოლიტიკის განსხვავებულ მსჯელობათა ერთობლიობა შეჯამებულია პირველ ცხრილში (T. I. Palley 2012). იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოდელებიდან

გამოვრიცხავთ საშუალოვადიან ეფექტებს აქტივებზე და ასევე გამოვრიცხავთ საგადასახადო შეღავათებით გამოწვეული ცვლილებების მომხმარებლის სარგებლიანობისა და საწარმოო ფუნქციებზე გავლენას, მაინც რჩება უამრავი ანალიტიკური საკითხი, რომელიც უნდა გავაკონტროლოთ. აღნიშნული ანალიზისთვის გამოვიყენებთ პელის მიერ შემოთავაზებულ ჩარჩო მოდელს (T. I. Palley 1997), რომელიც ერთ ცრილში თავს უყის განსხვავებული ფისკალური ინსტრუმენტებისა და სხვადასხვა გადაცემის მექანიზმების შემთხვევაში ფისკალური პოლიტიკის გავლენას ძირითად მაკროეკონომიკურ ცვლადებზე.

კერძოდ, პირველ რიგში, პელის მიერ შემოთავაზებული ანალიზის ჩარჩო გულისხმობს- ნეოკეინზიანური, პოსტკეინზიანური, მონეტარული, კლასიკური, ახალი კლასიკური, ახალი კეინზიანური მაკროეკონომიკური პოლიტიკის შერჩევას. მეორე- უნდა დაისვას შეკითხვა როგორ ხდება ფისკალური პოლიტიკის დაფინანსება, ფულით თუ ობლიგაციებით. მესამე - დასაზუსტებელია ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკის დაფინანსდა გადასახადების მეშვეობით, თუ სახელმწიფო დანახარჯების ზრდით. მეოთხე - გავარკვიოთ ნეორიკარდისეული ჰიპოთეზა (NRH) სრულდება თუ არა. ეს უკვე ქმნის შესასწავლი ფაქტორების მატრიცას ზომით 2×4 , თითოეული მაკროეკონომიკური თეორიული მიმდინარეობისთვის, რომელიც თავის მხრივ არის ექვსი თეორიული ჩარჩო. ექვსივე მოდელისთვის ამ ანალიზის ჩატარება საშუალებას მოგვცემს შევაჯამოთ თუ რა მიმართულებით იცვლება გამოშვება (ΔY), ფასების დონე (ΔP), ნომინალური სარგებლის განაკვეთი (Δi), ნომინალური ხელფასები (Δw), და რეალური ხელფასები ($\Delta w/P$) თითოეული მოდელისთვის. იგულისხმება, რომ დასაქმებაც იმავე მიმართულებით შეიცვლება, როგორც გამოშვება. სწორედ ამ საკითხების სიმრავლის გამო, ფისკალური პოლიტიკის გავლენის საკითხების გარშემო ვერ ხდება ცალსახა შეთანხმება (Alesina, A. F., Ardagna, S. 2009).

ცხრილი 1. ფისკალური პოლიტიკის მოკლევადიანი ეფექტიანობის შესახებ თეორიული დებატების კომპლექსურობა

		ფულით დაფინანსებული		ობლიგაციებით დაფინანსებული	
		საგადასახადო შეღავათები	G-ის ზრდა	საგადასახადო შეღავათები	G-ის ზრდა
თეორიული ჩარჩო: - ნეოკეინზიანური - პოსტკეინზიანური - მონეტარული - კალსიკური - ახალი კლასიკური - ახალი კეინზიანური (ნეოლიბერალური)	არ სრულდება ან არასრულად სრულდება NRH	$\Delta y > < 0$ $\Delta p > < 0$ $\Delta i > < 0$ $\Delta w > < 0$ $\Delta(w/p) > < 0$	$\Delta y > < 0$ $\Delta p > < 0$ $\Delta i > < 0$ $\Delta w > < 0$ $\Delta(w/p) > < 0$	$\Delta y > < 0$ $\Delta p > < 0$ $\Delta i > < 0$ $\Delta w > < 0$ $\Delta(w/p) > < 0$	$\Delta y > < 0$ $\Delta p > < 0$ $\Delta i > < 0$ $\Delta w > < 0$ $\Delta(w/p) > < 0$
	სრულდება NRH	$\Delta y > < 0$ $\Delta p > < 0$ $\Delta i > < 0$ $\Delta w > < 0$ $\Delta(w/p) > < 0$	$\Delta y > < 0$ $\Delta p > < 0$ $\Delta i > < 0$ $\Delta w > < 0$ $\Delta(w/p) > < 0$	$\Delta y > < 0$ $\Delta p > < 0$ $\Delta i > < 0$ $\Delta w > < 0$ $\Delta(w/p) > < 0$	$\Delta y > < 0$ $\Delta p > < 0$ $\Delta i > < 0$ $\Delta w > < 0$ $\Delta(w/p) > < 0$

წყარო: (O. J. Blanchard, Macroeconomics 2019), (T. I. Palley 2012)

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა მაკროეკონომიკური თეორიების პერსპექტივები განსხვავდება ფისკალური პოლიტიკის შეფასებისას, ისინი ერთნაირად იზიარებენ სამ მნიშვნელოვან დებულებას, რომლებიც ერთობლივი მოთხოვნის ცვლილებას შეეხება:

დებულება 1. ყველა მიდგომაში ფულით დაფინანსებული ფისკალური პოლიტიკა ყოველთვის მეტნაკლებად უფრო დიდ გავლენას ახდენს ერთობლივ მოთხოვნაზე, ვიდრე ობლიგაციებით დაფინანსებული ფისკალური პოლიტიკა. ფულით დაფინანსებული პოლიტიკის შედეგად, საზოგადოებაში ჩნდება დამატებითი ფული. ობლიგაციებით დაფინანსების შემთხვევაში კი საზოგადოებაში რჩება დამატებითი ობლიგაციები. დამატებით ფულს აქვს უფრო მეტად ექსპანსიური ხასიათი, რადგან ხალხს შეუძლია მისი დახარჯვა პირდაპირ (T. I. Palley 1997), ან ყიდულობენ დამატებით აქტივებს, მცირდება სარგებლის განაკვეთი და იზრდება სიმდიდრის ეფექტი (Tobin, J. and W.H. Buiter 1976). ობლიგაციები კი ნაკლებად ლიკვიდურია, ჯერ უნდა გაიყიდოს და დაკონვერტირდეს ფულში სანამ ისინი შეძლებენ მოხმარების დაფინანსებას ან/და სხვა აქტივების შეძენას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ობლიგაციების სარგებლის განაკვეთის ზრდა.

დებულება 2. ყველა განხილულ თეორიაში, სახელმწიფო დანახარჯების ზრდით პოლიტიკის გატარება მეტნაკლებად უფრო მძლავრია, ვიდრე საგადასახადო ცვლილებებით განხორციელებული ფისკალური პოლიტიკა (Alesina, A. F., Ardagna, S. 2009). დამატებით თითოეული ლარის დახარჯვის შემთხვევაში სახელმწიფო ერთობლივ მოთხოვნაში პირდაპირ ამატებს დახარჯულ მოცულობას, მაშინ როდესაც, საგადასახადო შეღავათები ჯერ გაივლის სამომხმარებლო დანახარჯების ფილტრს და ასევე, საგადასახადო შეღავათებით გაჩენილი დამატებით შემოსავლის ნაწილი შეიძლება დაიზოგოს.

დებულება 3: ყველა მიდგომაში, რაც უფრო მეტად ირღვევა ნეორიკარდისეული ჰიპოთეზის (NRH-ის) ძირითადი დაშვებები, ობლიგაციებით დაფინანსებული ფისკალური პოლიტიკა მით უფრო დიდ გავლენას ახდენს ერთობლივ მოთხოვნაზე (Kopits, G., Symansky, S. A. 1998). რაც უფრო მეტი დაშვებაა დარღვეული, მით უფრო მეტად ზრდის ობლიგაციები წმინდა სიმდიდრეს.

ამრიგად, განვიხილოთ ფისკალური პოლიტიკა ექვსი განსხვავებული მაკროეკონომიკური თეორიის მიხედვით. იმისათვის, რომ თავიდან ავირიდოთ გართულებები მიკროეკონომიკურ არგუმენტებთან, დავუშვათ რომ გადასახადები არის ერთჯერადი და ფიქსირებული ოდენობის (lump-sum); სახელმწიფო დანახარჯებს არანაირი გავლენა არ აქვს საწარმოო ფუნქციაზე და სახელმწიფო დანახარჯები დამატებით არ ქმნის შინამეურნეობებისთვის სარგებელს. ეს დაშვებები საშუალებას იძლევა კონცენტრაცია გავაკეთოთ წმინდად მაკროეკონომიკურ საკითხებზე, რომელიც გულისხმობს ფისკალური პოლიტიკის გავლენას ერთობლივი მოთხოვნის მრუდზე და შესაბამისად, ერთობლივი მოთხოვნის გავლენას გამოშვებაზე. დეტალური შედეგები მოცემულია დანართში, გრაფიკი 28 და ცხრილი 14.

ნეოკეინზიანური მოდელის შემთხვევაში გადასახადების შემცირება გაზრდის ერთობლივ მოთხოვნას, ისევე როგორც ობლიგაციებით ფისკალური პოლიტიკის დაფინანსება გაზრდის სიმდიდრის ეფექტს. გამოშვება, სარგებლის განაკვეთი და ფასების დონე გაიზრდება ($\Delta y > 0$, $\Delta i > 0$, $\Delta p > 0$) (იხილეთ დანართი, გრაფიკი 29 და ცხრილი 14). სარგებლის განაკვეთის ზრდა გამოიწვევს ფისკალური პოლიტიკის

ეფექტის მიღევას და სწორედ ეს არის დებატების მთავარი საკითხი (Tobin, J. and W.H. Buiter 1976).

იმ დაშვების გათვალისწინებით რომ ნეოკეინზიანურ მოდელში ნომინალური ხელფასი დაფიქსირებულია, რეალური ხელფასი შემცირდება ($\Delta w = 0$, $\Delta(w/p) < 0$). შრომის ბაზარზე გვაქვს დაშვება, რომ ეკონომიკა ფუნქციონირებს შრომის მოთხოვნის მრუდზე (შრომის ზღვრული პროდუქტი) და არა შრომის მიწოდების მრუდზე. ასე, რომ მშრომელებს შეუძლიათ გაზრდილი გამოშვების ათვისება შემცირებული რეალური ხელფასების მიუხედავად. მეორე დებულების თანახმად, ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობა უფრო ძლიერი იქნება, თუკი გვექნება ობლიგაციებით დაფინანსებული სახელმწიფო დანახარჯების ზრდა. თუ ფისკალური პოლიტიკა დაფინანსებულია ფულით, მაშინ LM მრუდიც გადაადგილდება მარჯვნივ და ნაწილობრივ გადაფარავს IS მრუდის გადაადგილებით გამოწვეულ ეფექტიანობას. პირველი დებულების თანახმად, ერთობლივ მოთხოვნაზე გავლენა იქნება უფრო დიდი, ისე რომ გამოშვება და ფასების დონე კიდევ უფრო გაიზრდება და რეალური ხელფასები კიდევ უფრო მეტად შემცირდება. სამაგიეროდ სარგებლის განაკვეთი იზრდება ნაკლებად, ან შეიძლება საერთოდ შემცირდეს.

პოსტკეინზიანური მოდელში ცენტრალური ბანკი განსაზღვრავს სარგებლის განაკვეთის სიდიდეს და ინარჩუნებს განსაზღვრული სარგებლის განაკვეთს იმის მიუხედავად, როგორ ცვლის ფულის მიწოდებას საბანკო სექტორის მიერ გენერირებული ფული (ანუ სარგებლის განაკვეთი არ იცვლება მიუხედავად გამოშვების ცვლილებისა და შესაბამისად LM მრუდი ჰორიზონტალურია). ასევე ამ მოდელში ფირმები მიაწოდებენ მოთხოვნის შესაბამის ნებისმიერ რაოდენობას ფასის მიუხედავად IS მრუდიც ჰორიზონტალურია).

ობლიგაციებით დაფინანსებული საგადასახადო შეღავათები გაზრდის გამოშვებას ($\Delta Y > 0$), მაგრამ სარგებლის განაკვეთი და ფასების დონე დარჩება უცვლელი ($\Delta i = \Delta p = 0$), ისევე როგორც ნომინალური და რეალური ხელფასები ($\Delta w = \Delta(w/p) = 0$). (იხილეთ დანართი, გრაფიკი 29 და ცხრილი 14). კვლავაც, მეორე დებულებიდან გამომდინარეობს, რომ ობლიგაციებით დაფინანსებულ სახელმწიფო დანახარჯებს აქვს მეტად ექსპანსიური ეფექტიანობა უფრო დიდი მულტიპლიკატორის გამო.

პოსტკეინზიანურ მოდელში საინტერესო ის არის, რომ მნიშვნელოვანი განსხვავება ფულით დაფინანსებულ და ობლიგაციებით დაფინანსებულ ფისკალურ პოლიტიკას შორის ქრება. ამის გასაგებად, ჯერ განვიხილოთ ფულით დაფინანსებული საგადასახადო შეღავათების პოლიტიკა. გაიზრდება რეზერვების მიწოდება და სარგებლის განაკვეთს უბიძგებს შემცირებისკენ. მონეტარული პოლიტიკის გამტარებლები თავდასაცავად გაატარებენ ისეთ ღია საბაზრო ოპერაციებს, რომ ნაწილობრივ ბაზრიდან გამოიწვიონ აღნიშნული რეზერვები, რათა შეინარჩუნონ სასურველი სარგებლის განაკვეთის დონე. თუმცა, როგორც კი შემოსავლები, გაცემული საბანკო სესხები და ტრანზაქციებზე მოთხოვნა დაიწყებს ზრდას, მონეტარული პოლიტიკის გამტარებლებმა რეზერვების შესავსებლად დამატებით უნდა გაატარონ ღია საბაზრო ოპერაციები, რათა უზრუნველყონ სასურველი სარგებლის განაკვეთის დონის შენარჩუნება და ფინანსური სექტორის გადახდისუნარიანობა გაზრდილი საბანკო აქტივობის პირობებში. საბოლოო ანგარიშთა ბალანსს თუ შევხედავთ ვნახავთ, რომ ფისკალური პოლიტიკა არის ფულითა და ობლიგაციებით დაფინანსებული აქტივობების ნარევი. საბოლოოდ თითოეულის წილი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გაიზრდება საბანკო აქტივობა. უნდა აღინიშნოს, რომ რაც უფრო მეტად იქნება ფისკალური პოლიტიკა ფულით დაფინანსებული, მით მეტად გაიზრდება საბანკო სექტორის აქტივობა (T. I. Palley 1997).

ფისკალური პოლიტიკის მოკლევადიანი ეფექტიანობის შესახებ თანამედროვე დებატების წამოწყება შეიძლება მივაწეროთ მილტონ ფრიდმანის მონეტარიზმს (Friedman 1961). პოსტკეინზიანელების მიერ მონეტარიზმი დისკრედიტირებულია ფულის მიწოდების ეგზოგენურობის დაშვების გამო, ხოლო კლასიკოსების მიერ დისკრედიტირებულია მიწოდების მხარეს ნაკლები ყურადღების და ფულის ნეიტრალურობის აქსიომის დარღვევის გამო. მიუხედავად ამ კრიტიკისა, მონეტარიზმი ეკონომიკური აზროვნების მნიშვნელოვანი ნაწილია ნეოკეინზიანელების კონსესუსის გადალახვისა და ფისკალური პოლიტიკის ეფექტურობის შესახებ დასმული კითხვების გამო.

მონეტარულ მოდელში ფულიცა და ობლიგაციებიც წმინდა სიმდიდრეა. ობლიგაციებით დაფინანსებული ფისკალური პოლიტიკა (საგადასახადო შეღავათები ან სახელმწიფო დანახარჯების ზრდა) გავლენას ვერ ახდენს გამოშვებზე, ფასების დონეზე, ნომინალური ხელფასებსა და რეალური ხელფასების დონეებზე ($\Delta y = \Delta p = \Delta w = \Delta(w/p) = 0$). თუმცა, ნომინალური სარგებლის განაკვეთი იზრდება ($\Delta i > 0$). ამის გამო, ობლიგაციებით დაფინანსებული ფისკალური პოლიტიკის შედეგი მხოლოდ ინვესტიციების გამოდევნაა.

რაც შეეხება ფულით დაფინანსებულ ფისკალურ პოლიტიკას მონეტარულ მოდელში, გამოშვება და ფასების დონე გაიზრდება ($\Delta y > 0, \Delta p > 0$); სარგებლის განაკვეთის ცვლილება გაურკვეველია ($\Delta i > < 0$); ნომინალური ხელფასების დონე კონსტანტაა ($\Delta w = 0$); ხოლო რეალური ხელფასები შემცირდება ($\Delta(w/p) < 0$) (იხილეთ დანართი, გრაფიკი 29 და ცხრილი 14). შრომის ბაზარზე იგივე დაშვებებია, რაც ნეოკეინზიანური მოდელის შემთხვევაში: ფირმები არიან შრომის მოთხოვნის მრუდზე (შრომის ზღვრული პროდუქტი), თუმცა მშრომელები არ არიან შრომის მიწოდების მრუდზე. ასე, რომ მონეტარიზმი აღიარებს ფისკალური პოლიტიკის მოკლევადიან ეფექტებს ფულით დაფინანსებული ფისკალური პოლიტიკის შემთხვევაში, თუმცა უარყოფს ობლიგაციებით დაფინანსებული ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობას, უნდა აღინიშნოს რომ მონეტარული მოდელის შემთხვევაში ობლიგაციებით პოლიტიკის დაფინანსების უარყოფა მთლიანად უკავშირდება ფულის მიწოდებას და არ აქვს საერთო არც კლასიკური (ფიქსირებული გამოშვება) და არც ნეორიკარდისეულ (უცვლელი წმინდა სიმდიდრე და მოხმარების შესაძლებლობები) მოდელების არგუმენტებთან.

კლასიკური მაკროეკონომიკური მოდელი (Sargent 1979) წარმოადგენს კეინზიანური მოდელის მთავარ ალტერნატივას. ამ მოდელის მთავარი მახასიათებელი იმაში მდგომარეობს, რომ გამოშვება უდრის პოტენციურ გამოშვებას, y^* . შესაბამისად, ფისკალურ პოლიტიკას გავლენა ექნება ერთობლივ მოთხოვნაზე, მაგრამ ერთობლივი მოთხოვნა ვერ ახდენს გავლენას გამოშვების დონეზე. საბოლოოდ, ნებისმიერი სახით, ფისკალური პოლიტიკა გავლენას ვერ ახდენს გამოშვების პოტენციურ დონეზე და იცვლება მხოლოდ ფასების დონე (p) და სარგებლის განაკვეთი (i).

ობლიგაციებით დაფინანსებული საგადასახადო შეღავათები გაზრდის ფასების დონეს და სარგებლის განაკვეთს ($\Delta p > 0$, $\Delta i > 0$). ნომინალური ხელფასები გაიზრდება ($\Delta w > 0$) მანამ სანამ რეალური ხელფასი არ გახდება უცვლელი ($\Delta(w/p) = 0$), და გამოშვებაც შესაბამისად დარჩება უცვლელი ($\Delta y = 0$) დანართი, გრაფიკი 29 და ცხრილი 14).

ზუსტად იგივე ლოგიკაა ობლიგაციებით დაფინანსებული სახელმწიფო ხარჯვის შემთხვევაში იმ განსხვავებით, დანაზოგები ამ შემთხვევაში უფრო მცირედით იზრდება. გამოშვება კვლავ არ შეიცვლება და გაიზრდება მხოლოდ ფასების დონე და სარგებლის განაკვეთი. კლასიკური მოდელის შემთხვევაში, ნებისმიერი ტიპის ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკა ამცირებს მთლიან დანაზოგებს, რაც იწვევს სარგებლის განაკვეთის ზრდას სასესხო კაპიტალის ბაზარზე. მაღალი სარგებლის განაკვეთი ამცირებს ფულზე მოთხოვნას, რაც თავის მხრივ იწვევს ფასების დონის ზრდას. ღია ეკონომიკის შემთხვევაში, გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია გაზრდილი იმპორტით, რითაც შეიძლება ნაკლები იყოს გამოდევნის ეფექტი და რეალური სარგებლის განაკვეთი შეიძლება დარჩეს უცვლელი. თუკი სარგებლის განაკვეთი დარჩება უცვლელი, ფულზე მოთხოვნაც არ შეიცვლება და უცვლელი დარჩება ფასების დონეც. რა მოხდება ამის შემდეგ დამოკიდებულია იმაზე თუ რა მოუვა გაცვლით კურსს, რომელიც დამოკიდებულია სავაჭრო დეფიციტზე. თუმცა, რადგან სახელმწიფო დანახარჯები გაიზარდა, კერძო სექტორის ათვისება (absorption) (მოხმარება და ინვესტიციები) უნდა შემცირდეს ისე როგორც გაიზარდა ფისკალური პოლიტიკის შედეგად გამოშვების მოხმარება. სწორედ ეს არის 1930-იანი წლების ფისკალური პოლიტიკის არც ისე ცნობილი ე.წ. სახაზინო ხედვა (Treasury view); თუმცა ეს ლოგიკა ექვემდებარება იმ პირობას, რომ გამოშვება უნდა იყოს სრული დასაქმების დონის შესაბამისი. შედეგად

ფულით დაფინანსებული საგადასახადო შეღავათების შედეგად ფასების დონე გაიზრდება ($\Delta p > 0$). სარგებლის განაკვეთიც გაიზრდება ($\Delta i > 0$), რადგან ერთობლივი მოთხოვნის ზრდა აუცილებელს ხდის სარგებლის განაკვეთის ზრდას სასესხო კაპიტალის ბაზარზე, რათა დააბალანსოს ინვესტიციები და დანაზოგები. გამოშვება და რეალური ხელფასები დარჩება უცვლელი ($\Delta y = \Delta(w/p) = 0$), მაგრამ გაიზრდება ნომინალური ხელფასი ($\Delta w > 0$), რათა უცვლელი დარჩეს რეალური ხელფასი.

ახალი-კლასიკური (ნეოლიბერალური) მაკროეკონომიკა, რომელმაც ფაქტობრივად 1970-იანებში მონეტარიზმი ჩაანაცვლა, წარმოადგენს კლასიკური მოდელის გავრცობილ და დახვეწილ ფორმას. როგორც კლასიკური მაკროეკონომიკა, ახალი-კლასიკურიც უარყოფს მონეტარიზმს და შემოაქვს ფულის ნეიტრალურობა. ის ასევე აფართოებს კლასიკურ მოდელს იმ თვალსაზრისით, რომ შემოდის განუსაზღვრელობის ცნება (uncertainty) და რაციონალური მოლოდინების ცნება. თუკი განუსაზღვრელობას გამოვაკლებთ ან რაციონალურ მოლოდინებს ჩავანაცვლებთ სრულყოფილი წინასწარმეტყველებით, ახალი-კლასიკური მოდელი გახდება კლასიკურის იდენტური. მიუხედავად ამ განსხვავებისა, ფისკალური პოლიტიკას ზუსტად იგივე შედეგები აქვს, როგორც კლასიკურ მოდელში (იხილეთ დანართი, გრაფიკი 29 და ცხრილი 14).

და ბოლოს, ახალი კეინზიანური მოდელი 1980-იანი წლების ბოლოდან გვხვდება (Rotemberg 1987). მიუხედავად იმისა, რომ სახელწოდება ასოცირდება კეინზიანიზმთან, სინამდვილეში ახალი კეინზიანური მოდელის გაიგივება ხდება ახალ კლასიკურ მოდელთან დამატებითი დაშვებებით, დროებითი ფასების სიხისტესთან და მონოპოლისტურ კონკურენციასთან დაკავშირებით. მთავარი დაშვება ახალ კეინზიანურ მოდელში ფასების სიხისტეა, ასევე მონოპოლისტური კონკურენცია (მონოპოლისტური კონკურენცია უფრო მეტად წარმოადგენს მოდელის პირობას, რომლის საფუძველზეც ხდება ფასების სიხისტის დასაბუთება).

დაფიქსირებული ფასების პირობებში, არსებობს პერიოდი, როდესაც ფირმები პოლიტიკას ვერ პასუხობენ ფასების ცვლილებით. მოულოდნელი ობლიგაციებით დაფინანსებული საგადასახადო იწვევს გამოშვება და დასაქმება გაზრდას ($\Delta y > 0$, $\Delta N > 0$); ფასების დონე მუდმივია ($\Delta p = 0$) და ნომინალური და რეალური ხელფასები იზრდება ($\Delta w > 0$, $\Delta(w/p) > 0$) (იხილეთ დანართი, გრაფიკი 29 და ცხრილი 14). სარგებლის განაკვეთის ცვლილება დამოკიდებულია მონეტარული პოლიტიკის გამტარებლების გადაწყვეტილებაზე და ის გაიზრდება ($\Delta i > 0$), თუ მონეტარულ პოლიტიკას ახასიათებს ქარის წინააღმდეგ მოძრაობის რეაქციის ფუნქცია, რომელიც ლოგიკური დაშვებაა.

მოულოდნელი ობლიგაციებით დაფინანსებული სახელმწიფო დანახარჯების ზრდა იმავე მიმართულებით ცვლის ცვლადებს, თუმცა ცვლილებების სიდიდე უფრო მეტია. ეს იმიტომ, რომ სახელმწიფო დანახარჯებს უფრო დიდი გავლენა აქვს ერთობლივ მოთხოვნასა და ზღვრულ შემოსავლებზე, ვიდრე საგადასახადო შეღავათებს (მეორე დებულება). პირველი დებულებიდან გამომდინარე, ფულით დაფინანსებულ ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკის გავლენა იქნება უფრო დიდი, ვიდრე ობლიგაციებით დაფინანსებული ფისკალური პოლიტიკისა (Dullien, The New Consensus from a Traditional Keynesian and Post-Keynesian Perspective 2011).

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ყველა დასახელებული შედეგი მიიღწევა იმ დაშვების პირობებში, რომ ფასები ფიქსირებულია. როგორც კი ფირმები დააკორექტირებენ თავიანთ ფასებს, ისინი მხედველობაში მიიღებენ ფისკალური პოლიტიკის გავლენას ერთობლივ მოთხოვნაზე, გაზრდიან ფასებს და ეკონომიკა დაუბრუნდება უკან ბუნებრივი დასაქმებისა (N^*) და ბუნებრივი გამოშვების (y^*) დონეებს. კეინზიანური მოდელისაგან განსხვავებით, ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობა არის მხოლოდ დროებითი და პოლიტიკა უნდა გატარდეს მაშინ, როდესაც ფასები ხისტია და გარკვეული პერიოდი ვერ მოხდება მისი კორექტირება. ფისკალური პოლიტიკა ეფექტური იქნება იმ პერიოდის განმავლობაში, რა პერიოდიც სჭირდება ფასების დაკორექტირებას.

და ბოლოს, თუ გავყვებით მაგალუმი და ვიტაკერის (McCallum, B.T. and Whitaker, J.K 1979) მსჯელობას, ფისკალურ პოლიტიკას, რომელიც რეაგირებს შოკებზე, შეუძლია გამოშვების დასტაბილურება ახალ-კეინზიანურ მოდელში მოულოდნელი მოთხოვნის შოკის გადაფარვით.

ამრიგად, თემის ამ ნაწილში მიმოვიხილეთ ფისკალური პოლიტიკის მოკლევადიანი ეფექტიანობის საკითხი მაკროეკონომიკური თეორიების სხვადასხვა ჩარჩოსათვის. ფისკალური პოლიტიკის ეფექტი ორ ძირითად საფეხურს მოიცავს: 1. პოლიტიკის გავლენა ერთობლივი მოთხოვნის მრუდზე და 2. ერთობლივი მოთხოვნის გავლენა გამოშვებაზე. ნეორიკარდისეული ჰიპოთეზა (NRH), რომელიც ძირითადად ფისკალური პოლიტიკის გამოშვებაზე გავლენის პირველ ეტაპს შეეხება, ობლიგაციებით დაფინანსებული ფისკალური პოლიტიკის შესახებ დებატების

მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. რამდენადაც ნეორიკარდისეული ჰიპოთეზა (NRH) საოჯახო მეურნეობების დანაზოგებისა და ქცევის შესახებ თეორიაა, ის პრინციპულად თავსებადია ყველა ტიპის მაკროეკონომიკურ მოდელთან, იქნება ეს კლასიკური თუ კეინზიანური.

ფისკალური პოლიტიკის ეფექტის მეორე ეტაპი უფრო ფუნდამენტურია და დამოკიდებულია იმაზე თუ რომელი მოდელის მიხედვით აღვწერთ ეკონომიკას კეინზიანურისა თუ კლასიკურის, რომელიც თავის მხრივ განსაზღვრავს რამდენად შეუძლია გამოშვებას შეიცვალოს ექსპანსიური პოლიტიკის დროს.

მოდელების თავისებურებებიდან გამომდინარე, ნეოკეინზიანური, პოსტკეინზიანური და მონეტარული მიდგომები შეგვიძლია გავაერთიანოთ კეინზიანური მოდელის სულისკვეთების ქვეშ. აღნიშნულ მოდელებში არ არსებობს გამოშვების ბუნებრივი დონე, რომლისკენაც ეკონომიკა მიისწრაფვის. როგორც ობლიგაციებით, ისე ე ფულით დაფინანსებულ ფისკალურ პოლიტიკას გააჩნია მუდმივი ეფექტი როგორც გამოშვებაზე, ასევე დასაქმებაზე ნეოკეინზიანურ და პოსტკეინზიანურ მოდელებში. თუმცა, ობლიგაციებით დაფინანსებულ ფისკალურ პოლიტიკას არ აქვს ეფექტიანი მონეტარული მოდელის შემთხვევაში.

კლასიკური, ახალი კლასიკური და ახალი კეინზიანური მოდელების განხილვა კი შეიძლება კლასიკური მოდელის სულისკვეთების ქვეშ. ამის გაკეთების საშუალებას გვაძლევს მოდელების ერთნაირი მიდგომა გამოშვების ბუნებრივი დონის განსაზღვრებისას, საითაც მიისწრაფვის ეკონომიკა. კლასიკურ და ახალ კეინზიანურ მოდელებში მუშახელი ყოველთვის იმყოფება შრომის მიწოდების მრუდზე, მაშინ როდესაც ახალ კლასიკურ მოდელში ისინი შეიძლება არ იმყოფებოდნენ მრუდზე ფასების მოლოდინების გადაცდომის გამო. კლასიკურ და ახალ კლასიკურ მოდელებში დისკრეციულ ფისკალურ პოლიტიკას არ აქვს გავლენა გამოშვებასა და დასაქმების დონეზე. ახალ კეინზიანურ მოდელში კი მას შეიძლება დროებითი გავლენა ჰქონდეს, რაც ფასების სიხისტეზეა დამოკიდებული. მიუხედავად იმისა, რომ ახალი კეინზიანური მოდელი იმეორებს კეინზიანური მოდელის შედეგების ნაწილს, ისინი მაინც ფუნდამენტურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. კეინზიანური მოდელი ეკონომიკას ახასიათებს გამოშვების მუდამ დაბალ დონეზე, სადაც ფისკალურ

პოლიტიკას გამუდმებით შეუძლია გაზარდოს გამოშვების დონე. ამის საწინააღმდეგოდ კი, ახალ კეინზიანურ მოდელში ეკონომიკა მიისწრაფვის სრული დასაქმების დონისკენ და ფისკალურ პოლიტიკას აქვს მხოლოდ დროებითი გავლენა და ისიც მხოლოდ მაშინ, თუკი პოლიტიკას აქვს მოულოდნელი მოთხოვნის შოკის ფორმა. ნაწილობრივ ამ შეუთავსებელი განსხვავებებითაც აიხსნება, თუ რატომ არის ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობის შესახებ დებატები მუდამ მწვავე და შეუთანხმებელი.

1.2 პოსტკრიზისული პერიოდის ფისკალური პოლიტიკის მაკროეკონომიკური შეფასება

მსოფლიოს ბოლო, 2008-2009 წლების ეკონომიკურმა კრიზისმა ფისკალური და ზოგადად მაკროეკონომიკური პოლიტიკის გადახედვა და ხელახალი გააზრება გამოიწვია. ამ პროცესში ჯერ კიდევ არის ღიად დარჩენილი კითხვები, თუმცა აღსანიშნავია, რომ ფინანსური კრიზისის შემდგომ ეკონომისტების უმრავლესობა თანხმდება, რომ რიგ საკითხებში ფისკალური პოლიტიკა უფრო ეფექტიანია და რწმენა იმის შესახებ, რომ მონეტარული პოლიტიკა უფრო მოქნილია და ადვილად შეიძლება იყოს დაცული პოლიტიკური წნეებისგან, თანდათან გაქარწყლდა. კრიზისი, რომელიც 2008 წელს განვითარდა იმაზე დიდხანს გაგრძელდა, ვიდრე ეკონომისტების უმრავლესობა ვარაუდობდა და თანდათან ცხადი გახდა, რომ მაკროეკონომიკისა და მაკროეკონომიკური პოლიტიკის შესახებ შეხედულებები უფრო ღრმა შესწავლასა და გამოკვლევას საჭიროებდა. კრიზისში ჩავარდნილი ქვეყნების პოლიტიკის გამტარებლებს უწევდათ იმპროვიზაციული გადაწყვეტილებების მიღება. ქვეყნებს უწევდათ ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვა დაბალი ნომინალური სარგებლის განაკვეთისა (ZLB) და ჭარბვალთან პირობებში, რაც ჯერ კიდევ შეუსწავლელია და არაპროგნოზირებადი შედეგების მომტანი შეიძლება ყოფილიყო.

დარჩა ბევრი უპასუხო კითხვა, როგორც მონეტარული პოლიტიკის, ისე ფისკალური პოლიტიკის გატარების მიმართ. დაისვა საკითხი ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკის სისწორესთან დაკავშირებით. გამოიკვეთა მაკროპრუდენციული ინსტრუმენტების დანერგვის საჭიროება. კრიზისამდელ პერიოდში სახელმწიფო ვალებზე დაწესებული ზღვრები არ აღმოჩნდა საკმარისი კრიზისიდან მდგრადად

გამოსვლისათვის. დადგა მიმდინარე ანგარიშის დასაბალანსებლად ლიმიტების დაწესების საჭიროება.

ბლანშარის, რომერის, სპენსის და შტიგლიცის რედაქტირებით გამოსულ წიგნში „In the Wake of the Crisis”, ლიდერი ეკონომისტები კამათობენ ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, რომელიც კრიზისამდე, კრიზისის დროს და კრიზისის შემდგომ მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარებას შეეხება. (Blanchard, O., Romer, D., Spence, M., Stiglitz, J. E. 2012). 2008 წლის კრიზისის შემდგომ როგორც განვითარებულმა, ისე განვითარებადმა ქვეყნებმა მიმდინარე მოვლენების საპასუხოდ ფისკალური სტიმულირების პროგრამა შემოიღეს (Shome 2012). ეკონომიკის აქტიურობის ხელშეწყობისკენ მიმართული მონეტარული პოლიტიკა, რომელიც ფულის მასის ზრდას გულისხმობდა, შედეგს არ იძლეოდა, რადგან ფულის მულტიპლიკატორი და საბანკო მიმოქცევა ჩამოშლილი იყო. რადგან რიგ შემთხვევებში მონეტარული პოლიტიკა უძლური აღმოჩნდა, სიტუაციის გამოსასწორებლად ძირითადი იმედები ფისკალურ სტიმულებზე მყარდებოდა, რომელიც გადასახადების შემცირებისა და სახელმწიფო ხარჯების ზრდის გზით იძლეოდა მოქმედების შესაძლებლობას. მაგრამ ფისკალური მულტიპლიკატორის მნიშვნელობაც უცნობი იყო. დილემა კი შემდეგში მდგომარეობდა: შეძლებდა თუ არა ფისკალური სტიმული ერთი და იმავე ეფექტით მოქმედებას სხვადასხვა ქვეყანაში? უკვე გაზრდილი ფისკალური დეფიციტი ყოველ ერთეულ GDP-ზე კიდევ უფრო გაუარესდა და ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფო ვალის წილი მთლიან შიდა პროდუქტში გაორმაგდა კიდევ (Shome 2012).


მიუხედავად იმისა, რომ ფისკალური კონსოლიდაციის ზუსტი შედეგის ბუნდოვანი იყო, მოქმედების სტრატეგიები ამ მიმართულებით დაიწყო. მსგავსი სტრატეგიების შესახებ მოსაზრებები ერთმანეთის გამომრიცხავი იყო. ერთი ნაწილის აზრით ფისკალური პოლიტიკა უნდა შეზღუდულიყო, სხვები კი ამბობდნენ პირიქით, - უფრო მეტი სტიმულები უნდა წარმოშობილიყო სახელმწიფოს მხრიდან, ზოგს კი სჯეროდა, რომ საუკეთესო გადაწყვეტილება ამ ორ უკიდურესობას შორის მოიძებნებოდა.

ფისკალური პოლიტიკის შესაძლო ეფექტიანობის დათვლა, ანუ მთავრობის დანახარჯების ზრდისა თუ გარკვეული გადასახადების დაცემის ეკონომიკური შედეგების დათვლა ხდება მიახლოებული ფისკალური მულტიპლიკატორების

განგარიშებით (Ilzetki, E., Mendoza, E. G., Carlos A. V. 2010). პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ფისკალური მულტიპლიკატორების შეფასების არსებული მეთოდებით განგარიშებული მულტიპლიკატორის ზომა დიდი ინტერვალით მერყეობს, გვხვდება როგორც უარყოფითი მაჩვენებლები, ასევე შეიძლება ვნახოთ კვლევები, რომლებიც მნიშვნელოვნად დადებით მაჩვენებელს იღებს შედეგად. სწორედ ამიტომ, ჩნდება უნდობლობა ფისკალური მულტიპლიკატორის მიმართ (Alesina, A. F., Ardagna, S. 2009). ისინი, რომლებიც უარყოფითად უყურებენ დისკრეციულ ფისკალურ პოლიტიკას, ძირითადად პოულობენ მცირე ზომის მულტიპლიკატორებს და ისინი კი, ვინც მათ დისკრეციულ ფისკალურ პოლიტიკას ეთანხმება, პოულობენ უფრო დიდ რიცხვებს. თუმცა ეს ტენდენცია გადაქცეულია ჯანმრთელ კრიტიკად. ნაკლებად სავარაუდოა ფისკალური მულტიპლიკატორის განგარიშების მეთოდოლოგიაზე კონსენსუსამდე მისვლა, თუმცა სასარგებლო იქნება თუ სხვადასხვა მეთოდით განგარიშებული მულტიპლიკატორის მაჩვენებლების დიაპაზონი დავიწროვდება (Shome 2012).

ფისკალური მულტიპლიკატორების გამოყენების სიძნელები კარგად არის წარმოჩენილი ილზეცკისა და სხვათა ნაშრომში (Ilzetki, E., Mendoza, E. G., Carlos A. V. 2010), სადაც მათ აჩვენეს, რომ ფისკალური სტიმულის ეფექტი ეკონომიკის გარკვეულ თავისებურებებზეა დამოკიდებული. მაღალი ფისკალური მულტიპლიკატორები ახასიათებთ მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებს, ნაკლებად გახსნილი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს, დაფიქსირებული გაცვლითი კურსის მქონე სახელმწიფოებს, ნაკლები საჯარო ვალის მქონე და იმ ქვეყნებს, სადაც ინვესტიციები წამყვანია (გრაფიკი 2). იმის გამო, რომ ერთი და იგივე ფისკალური დეფიციტი ყოველ ერთეულ GDP-ზე სხვადასხვა ფისკალურ სტიმულს იძლევა ქვეყნების მიხედვით, ფისკალური დეფიციტის GDP-სთან თანაფარდობის ინდიკატორად გამოყენება რთულდება.

გრაფიკი 2. ფისკალური მულტიპლიკატორი სხვადასხვა ქვეყანაში კატეგორიების მიხედვით, 2010



წყარო: (Ilzetki, E., Mendoza, E. G., Carlos A. V. 2010)

რადგანაც ფისკალური მულტიპლიკატორები მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნების მახასიათებლებიდან გამომდინარე, ფისკალურ დეფიციტს ერთ ერთეულ GDP-ზე თითოეული ქვეყნისთვის განსხვავებული სტიმულების შექმნა შეუძლია. ქვეყნები, რომლებსაც დაბალი ფისკალური მულტიპლიკატორი აქვს, უწევთ მაღალი დეფიციტის შენარჩუნება, მაღალი ფისკალური მულტიპლიკატორის მქონე ქვეყნებისგან განსხვავებით. ამიტომ, ხელაღებით დეფიციტის შემცირების პოლიტიკა თანაბრად ვერ გაამართლებს სხვადასხვა ქვეყანაში (Ilzetki, E., Mendoza, E. G., Carlos A. V. 2010).

„როდესაც უკვე ნათელია, რომ კრიზისის პირას არის ქვეყანა, აუცილებელია მისი შეკავება ადრეულ ეტაპზე და ამისათვის კი საჭიროა ტრადიციულმა ინდიკატორებმა შეძლონ და კარგად ასახონ მონეტარული, ფისკალური და საგარეო სექტორები. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ისეთი ინდიკატორების არსებობა, რომელიც შეძლებს და ფინანსურ ფრიქციებს რეალურ დროში გვიჩვენებს. რამდენიმე ტრადიციული ინდიკატორი - მიმდინარე ანგარიში, საერთაშორისო რეზერვების დონე და საგარეო ვალი - ისევ გამოყენებადი იქნება. მაგრამ დიდი გამოწვევაა, რომ შევიმუშაოთ ინდიკატორი, რომელიც რეალურ დროში გვიჩვენებს რყევებს ფინანსურ სექტორში“ (Shome 2012).

ინდონეზიელი ეკონომისტი, რომელიც ამჟამად ინდონეზიის რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის პოსტს იკავებს, შრი მულიანი ინდრავატი მსჯელობს იმ საპასუხო ფისკალური პოლიტიკაზე, რომელიც ახლდა 2008 წლის გლობალურ ეკონომიკურ კრიზისს, გარდამავალი-საბაზრო ქვეყნების პერსპექტივიდან (Indrawati 2012).

განვითარებადი ეკონომიკებისთვის, 2008 წლის გლობალური ეკონომიკური კრიზისი 80-იანებისა და 90-იანების კრიზისებისგან თვისობრივად განსხვავებული იყო. 80-იანების და 90-იანების კრიზისების უმრავლესობა იყო პოლიტიკის ან გარდამავალი-ბაზრის ქვეყნებში ინსტიტუციური პრობლემების შედეგი. ეს პრობლემები მოიცავდა ცუდ მაკროეკონომიკურ პოლიტიკას, ცუდ მმართველობას, ან სუსტ ინსტიტუციებს, რაც იწვევდა არასტაბილურობას, ზრდის დაბალ ტემპს, მაღალ ინფლაციას, საკრედიტო კოლაფსსა და საგადახდელო ბალანსის პრობლემებს.

ახალი ათასწლეულის პირველი დეკადაში კი, წინა წლებისგან განსხვავებით განვითარებადმა ქვეყნებმა მნიშვნელოვანი ინვესტიციები განახორციელეს შიდა პოლიტიკის გასაძლიერებლად, რაც მდგრად მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას გულისხმობდა. განვითარებად და გარდამავალი ბაზრების მქონე ქვეყნებში ბევრმა ცენტრალურმა ბანკმა მოიპოვა დამოუკიდებლობა. მათ მიიღეს ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკა. ფისკალური პოლიტიკა გახდა უფრო პრუდენციული. საქართველოს მსგავსად, ზოგმა ქვეყანამ მიიღო ფისკალურ მაჩვენებლებზე შეზღუდვები, რომელიც მაგალითად ინდონეზიის შემთხვევაში ზღუდავდა ფისკალური დეფიციტის მთლიან სამამულო პროდუქტთან თანაფარდობას 3 პროცენტზე. ინდონეზიამ ასევე მიიღო სესხის GDP-სთან თანაფარდობის 60 პროცენტთან ზღვარი. თითქმის ყველა განვითარებადმა ქვეყანამ ჩადო ფული სტრუქტურულ რეფორმებში, არა მხოლოდ შემოსავლებისა და ხარჯების მიმართულებით, არამედ ინვესტიციების და სავაჭრო პოლიტიკის მიმართულებითაც (Indrawati 2012).

შედეგად, ბევრმა განვითარებადმა ქვეყანამ წინ წაიწია მაკროეკონომიკური და ფისკალური სივრცის განვითარებაში. ამ ბუფერებმა კიდევ უფრო გააძლიერეს ეკონომიკური ზრდა და სტაბილურობა. თუმცა, ძლიერმა შიდა სიტუაციამ ვერ აარიდა გარდამავალი ბაზრები გარე შოკებს, კონკრეტულად მაშინ როცა ქვეყნებმა სცადეს

ჰქონდათ უფრო გახსნილი სავაჭრო სივრცე და უცხოური ინვესტიციები და მეტად ინტეგრირებულნი ყოფილიყვნენ გლობალურ ეკონომიკასთან.

შედეგად, განვითარებადი ქვეყნების უმეტესობისთვის 2008 წლის კრიზისი განსხვავდებოდა წინა კრიზისებისგან. შოკის წყარო გარეგანი ფაქტორები იყო, რომელიც გლობალური ეკონომიკისგან მოდიოდა. ფინანსური ინსტიტუტებისადმი ნდობის გაუარესებამ საბანკო სისტემის საშუამავლო ფუნქციები დაარღვია. განვითარებადი ქვეყნებიდან კაპიტალის გადინებამ, რომელიც მოჰყვა კრიზისს, დამატებით გააუარესა საშინაო საბანკო და ფინანსური სისტემების სიტუაცია ამ ქვეყნებში. შედეგად, შემცირდა არა მხოლოდ გარე, არამედ შიდა მოთხოვნაც.

რა ვარიანტები ჰქონდათ განვითარებადი ქვეყნების პოლიტიკის გამტარებლებს, რომ მოთხოვნის სტიმულირებასთან ერთად, ალედგინათ ფინანსური სისტემის ნდობა? ფინანსურ სექტორთან მიმართებით, მათ გამოიყენეს არატრადიციული ზომები, რათა ალედგინათ ლიკვიდურობა და ნდობა. ინდრავატი, როგორც ინდონეზიის ფინანსთა მინისტრი, ჰყვება, თუ როგორ გადაიტანა ინდონეზიის მთავრობის ანგარიშიდან თანხები ცენტრალურ ბანკში და მიუთითა, რომ ეს ლიკვიდურობა გადაეტანათ კომერციული ბანკების სისტემაში (Indrawati 2012). თუმცა, ამ დროსაც კი, ამ ბაზრის სეგმენტში ნდობის ნაკლებობის გამო, თანხა ძალიან ნელა მოძრაობდა ფინანსურ სისტემაში. აზიის სხვა ქვეყნებმა გამოიყენეს დამატებითი საგარანტიო მექანიზმები ბანკის კრედიტზე.

გარდამავალი ეკონომიკებისთვის, ყველაზე კრიტიკული პოლიტიკური ბერკეტი გარე და შიდა მოთხოვნის შემცირებაზე საპასუხოდ იყო ფისკალური პოლიტიკის გამოყენება (Kabash 2016). ფისკალურმა პოლიტიკამ - შემოსავლებისა და ხარჯების მხარეს - გაუწია მნიშვნელოვანი დახმარება ამ ქვეყნებს ბოლო კრიზისის დროს.

პირველ რიგში, ფისკალური პოლიტიკის მთავარი მიზანი ამ კრიზისის დროს იყო ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებსაც ექნებოდა მყისიერი ეფექტი ეკონომიკაზე. ეს გულისხმობდა ისეთი პოლიტიკების იდენტიფიცირებას, რომლებიც სწრაფად ზრდიან მოთხოვნას და სწრაფად განხორციელებადია, მოითხოვდა ნაკლებ ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ პროცესებს, ნაკლებს იმპლემენტაციის დროს.

შესაძლებელი იყო ერთჯერადი გადასახადის შეღავათის არჩევა, იქნებოდა ეს საშემოსავლო გადასახადების შემცირება, შემცირებული გადასახადი დამატებით ღირებულებაზე ერთი წლის განმავლობაში, ან შემცირებული საიმპორტო ტარიფი ნედლეულზე. ხარჯების პოლიტიკის მაგალითი, რომელსაც აქვს სწრაფი გავლენა მოთხოვნაზე არის ნაღდი ფულის ტრანსფერი, რადგან ის პირდაპირ გავლენას ახდენს შემოსავალზე და ასევე იცავს დაბალ შემოსავლიან მოსახლეობას, რომლებიც დაზარალებულნი იყვნენ ეკონომიკური კრიზისის დროს (Indrawati 2012).

ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც აჩქარებს ფისკალური პოლიტიკის ეფექტს არის თუნდაც მოკლევადიანი, ავტომატური სტაბილიზატორები. ინდონეზიის 2009 წლის ბიუჯეტში, იყო შეთანხმება, რომ მთავრობას ექნებოდა უფლება გაეზარდა ხარჯები თუ ეკონომიკური ინდიკატორები გაუარესდებოდნენ შეთანხმებულ პარამეტრებზე მეტად. მთავრობას ჰქონდა ავტორიზაცია, რომ გაეზარდა ხარჯვა ეკონომიკის სტაბილიზაციისთვის, განსაკუთრებით სამუშაო ადგილებისა და ღირებულების დასაცავად; მაგალითად იმ შემთხვევაში, თუ კიდევ მოხდებოდა საბანკო კრიზისი ან ინფლაცია იქნებოდა მოსალოდნელზე უფრო მაღალი (Indrawati 2012). მთავრობისთვის ასეთი ფისკალური პოლიტიკის მოქნილობის მიცემა წლის შუაში კრიზისის შემთხვევაში პოლიტიკურ პროცესს უფრო სარგებლიანს ხდის. მთავრობისთვის ამ ავტორიტეტის მიცემა იყო პოლიტიკური კონსენსუსი.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ხარჯვა იყოს მიმართული ისეთ საკითხებზე, რაც სტრატეგიულად ხელს შეუწყობს მომავალ აღორძინებას/აღდგენასა და ზრდას. ბევრ განვითარებად ქვეყანას დღესაც არ აქვს საკმარისი ინვესტიცია გაწეული ინფრასტრუქტურის ზრდაში. ინვესტირება ინფრასტრუქტურაში, რომელიც ასტიმულირებს სამუშაო ადგილებს და ქვეყანას ამზადებს მომავალი ზრდისთვის, უნდა იყოს ფისკალური სტიმულის პროგრამების პრიორიტეტი კრიზისების პერიოდში.

გლობალური კრიზისის დროს, საერთაშორისო კოოპერაციას შეუძლია დიდი როლი ითამაშოს, განსაკუთრებით მაშინ, როცა პრობლემა მდგომარეობს ნდობაში. 2008 წლის ეკონომიკური კრიზისის პიკში, გლობალურ ლიდერებსა და ფინანსთა მინისტრებს შორის მიმდინარეობდა ინტენსიური დიალოგი. იმდროინდელი G-20-ის ლიდერების

მიერ მიღებულმა კოორდინირებულმა ქმედებებმა და საერთო ხედვებმა, ჯერ ვაშინგტონში და შემდეგ ლონდონში, გამოიწვია ნდობის მნიშვნელოვანი ზრდა (Times 2008). კოორდინირებულ ქმედებებს ხელს უწყობდა კრიზისის წარმოშობის წყაროს საერთო დიაგნოზისა და პრობლემების შედეგების აღიარება, რომელიც აწუხებდა ყველა ქვეყანას; ასევე, მსგავსი პოლიტიკა, რომელიც იქნებოდა საჭირო კრიზისის დასაძლევად (რაც გულისხმობს, ექსპანსიურ ფისკალურ და მონეტარულ პოლიტიკას სუსტი ეკონომიკებისთვის). ამჟამად, საერთაშორისო კოორდინაცია უფრო ძნელი და გართულებულია, რადგან ქვეყნები და რეგიონები კრიზისისა და აღდგენის სხვადასხვა ეტაპზე იმყოფებიან, რაც გულისხმობს სხვადასხვა პოლიტიკის გატარების აუცილებლობასა და განსხვავებული გამოსავლის ძიებას.


მძლავრი პოლიტიკის შემთხვევაშიც კი, გლობალური ეკონომიკის პირობებში, საერთაშორისო ფინანსური ბაზრები პესიმისტურად განწყობილნი იყვნენ, რაც იწვევდა მაღალ სარისკო პრემიუმს. გარდამავალი ბაზრების მქონე ქვეყნებს, რომლებიც ცდილობდნენ შესაბამისად გამოეყენებინათ ფისკალური სტიმულის პაკეტი, რათა ისევ გაეზარდათ შიდა და გარე მოთხოვნა, უჭირდათ ფინანსურად. საერთაშორისო ორგანიზაციებმა გამოჰყვეს სხვადასხვა სახის ფინანსური რესურსები, რომელიც ძალზე დაეხმარა სუსტ ეკონომიკებს. ეს იძლევა სიგნალს, რომ საერთაშორისო საზოგადოება დადებითად აფასებს ქვეყნის ფისკალურ გადაწყვეტილებას და მეტ სიძლიერეს მატებს ქვეყანას. ის საშუალებას აძლევს განვითარებად ქვეყანას თავიდან აიცილოს უაზროდ მაღალი საპროცენტო განაკვეთი, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბაზარი არარაციონალურია.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი ფინანსური რესურსები მასტიმულირებელი ფინანსური პოლიტიკის მნიშვნელოვანი წყარო გახდა საქართველოსთვის. ფინანსურ კრიზისთან ერთად, 2008 წლის აგვისტოში რუსულმა აგრესიამ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა საქართველოს ეკონომიკა. ომისშემდგომი საჭიროებებიდან გამომდინარე, 2008 წლის ოქტომბერში ქ. ბრიუსელში საქართველოს მხარდასაჭერად გაიმართა დონორების საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა 35-ზე მეტი ქვეყანა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაცია. საქართველომ კონფერენციაში მონაწილე დონორებისგან


მიიღო შეღავათიანი ფინანსური მხარდაჭერის დაპირებები საერთო მოცულობით 4.5 მილიარდი აშშ დოლარი, საქართველოს ეკონომიკური ზრდის წახალისებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით (სამინისტრო, mof.ge თ. გ.). დონორების ეს მხარდაჭერა ითვალისწინებდა გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტებისა და გრანტების გამოყოფას პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტებისა და პროგრამების დასაფინანსებლად: ტრანსპორტის, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, ურბანული და მუნიციპალური განვითარების სექტორებში, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტის მხარდასაჭერად და იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის¹ (გრაფიკი 3).

გრაფიკი 3. ბრიუსელის დონორთა საერთაშორისო კონფერენცია: ფინანსური მხარდაჭერის სტრუქტურა

დონორების მიხედვით (საჯარო სექტორში გაფორმებული თანხები)



სექტორების მიხედვით



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, mof.ge

კრიზისის დასაწყისში მთავარი გამოწვევა ფისკალურ პოლიტიკაში არის დროის, თანმიმდევრობისა და სტრატეგიის განსაზღვრა ფისკალური კონსოლიდაციისთვის. კონსოლიდაციის გზების განსაზღვრის პროცესში, თანამიმდევრულობა მნიშვნელოვანია. კონკრეტულად კი, ნდობის აღდგენა და ნდობის საბოლოოდ დასაწესებლად სტრუქტურული რეფორმების გატარება კრიტიკულია სანამ ქვეყანა დაიწყებს ხარჯების შემცირებას. ასევე, დროის სწორად არჩევას განაპირობებს გარე გარემოებები და შოკები. გლობალური ეკონომიკური კრიზისის დროს, მაშინაც კი

¹ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო: https://mof.ge/saxelmwifo_vali

როცა გაუმჯობესების ნიშნები ჯერ კიდევ სუსტია, გადაწყვეტილების მიმღებები სამართლიანად არიან შეწუხებულები გარე ფაქტორების არათანმიმდევრულობასა და გაურკვევლობის გამო. დღეს ეს მოიცავს მზარდ ფასებს პროდუქტებზე (საკვები და საწვავი), არასტაბილურობას შუა აღმოსავლეთში, და სახელმწიფო ვალთან დაკავშირებულ კრიზისებს. დამატებით, ნაწილობრივ სუსტი გლობალური აღდგენის გამო, ბევრი გარდამავალი ბაზარი ცდილობდა გამკლავებოდა სწრაფად მზარდი კაპიტალის შემოდინებას, რომელსაც შეუძლია გაართულოს სიტუაცია ე.წ ბუმტის შექმნისა და საინფლაციო წნეხის მიმართულებით. ფისკალური კონსოლიდაციის დრო და თანამიმდევრულობამ უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული გარე საფრთხის გამომწვევი ფაქტორები.

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის ფისკალური კონსოლიდაციის სტრატეგიებზე რამდენიმე ასპექტი უნდა გამოიყოს: პირველი - ბევრ განვითარებად ქვეყანას აქვს ვიწრო საგადასახადო ბაზა. მათთვის, სტრუქტურული რეფორმის პრიორიტეტია საგადასახადო ბაზის გაფართოება, შემოსავლების გაუმჯობესება და ავტომატური სტაბილიზატორების დამატება, რომლებიც ფარავენ რეალური ეკონომიკის უმეტეს ნაწილს; მეორე- ქვეყნებმა უნდა განსაზღვრონ ზედა ზღვარი დისკრეციულ ხარჯებზე, რაც ასევე ქმნის უკეთეს ფისკალურ დისციპლინას. ეს ასევე თავიდან იცილებს დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის პოლიტიზირებას კრიზისის დროს; მესამე - ქვეყნებს სჭირდებათ, რომ ფოკუსირდნენ მათი ხარჯვის ხარისხის გაუმჯობესებაზე, რაც მნიშვნელოვანი ხდება კრიზისის დროს. სოციალურ სექტორსა და ინფრასტრუქტურაში ხარჯების პრიორიტეტებად დაყოფა, ისევე როგორც იმის უზრუნველყოფა, რომ ხარჯვა არის მიზანმიმართული, შეიძლება აღმოჩნდეს უმნიშვნელოვანესი.

განვითარებადი ქვეყნის პერსპექტივა ასეთი გლობალური კრიზისის მართვაში შეიძლება განსხვავდებოდეს განვითარებული ქვეყნის მიდგომებისგან. თუმცა, ბოლო ეკონომიკურმა კრიზისმა აჩვენა რომ დღევანდელი გლობალური ეკონომიკა უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია აღმოიფხვრას საერთაშორისო ეკონომიკური დაპირისპირებები და ქვეყნებმა ისწავლონ ერთმანეთის გამოცდილებიდან.

საინტერესოა რა გაკვეთილები გამოიკვეთა ფისკალური პოლიტიკის შესახებ ბოლო ფინანსური კრიზისიდან. დევიდ რომერი, იმავე წიგნისთვის მომზადებულ სტატიაში „რა გვასწავლა ფინანსურმა კრიზისმა“ (Romer, What have we learned about the fiscal policy from the crises? 2012) მწვავე კითხვებს სვამს კრიზისამდელი მაკროეკონომიკური პოლიტიკის შესახებ არსებული ცოდნის ხელახლა გასააზრებლად. რომერი გამოყოფს 4 ძირითად საკითხს, რომლის გადაჭრაც მნიშვნელოვანია შემდგომი რისკების თავიდან ასარიდებლად. პირველი საკითხია ახალი ფისკალური ინსტრუმენტების შემუშავების საჭიროება, რათა შემცირდეს სტაბილიზაციის ვადები. რომერის თქმით, ახლა გაცილებით მეტი მტკიცებულება გააჩნია კაცობრიობას იმის სათქმელად, რომ ფისკალური პოლიტიკა ეფექტურია. ფისკალური სივრცე მნიშვნელოვანი და ფასეულია და მუდმივად უნდა იზრუნოს ქვეყანამ ჯანსაღი ფისკალური პოლიტიკის შესანარჩუნებლად, რათა ფისკალური პოლიტიკა აგრესიულად დაუპირისპიროს მოთხოვნის შემცირებას. მეოთხე საკითხად ის განიხილავს პოლიტიკური ეკონომიკის მნიშვნელობას კრიზისის დროს ფისკალური პოლიტიკის გატარების ჭრილში (Romer, What have we learned about the fiscal policy from the crises? 2012). დეტალურად განვიხილოთ აღნიშნული ოთხი საკითხი, გაკვეთილები, რომელიც კრიზისმა ასწავლა მსოფლიოს:

გაკვეთილი 1: მოკლევადიანი სტაბილიზაციისთვის საჭიროა ფისკალური მექანიზმები. კრიზისამდე, მაკროეკონომისტების ნაწილსა და კანონმდებლებს შორის არსებობდა კონსენსუსი, რომ მოკლევადიანი სტაბილიზაცია შედიოდა მხოლოდ მონეტარული პოლიტიკის კომპეტენციაში (Bernanke 2000). მონეტარული პოლიტიკა უფრო მოქნილია, უფრო ადვილად შეიძლება იყოს დაცული პოლიტიკური წნეხებისგან და უფრო ადვილად შეიძლება ჩაბარდეს დამოუკიდებელ ექსპერტებს. მაკროეკონომისტები თვლიდნენ, რომ ქვედა ნულოვან ზღვართან მიახლოება იქნებოდა თანამიმდევრობითი, ნელი პროცესი - და იმ იშვიათ შემთხვევაში როცა ნომინალური სარგებლის განაკვეთი მყისიერად მიუახლოვდებოდა ნულს, მონეტარული პოლიტიკის კანონმდებლებს ექნებოდათ პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთის შემცირების გარდა სხვა საჭირო ინსტრუმენტები.

დღეს უკვე ცნობილია, რომ ეს მცდარი შეხედულება იყო. ქვედა ნულოვანი შეზღუდვა აღმოჩნდა ზედმეტად მკაცრი (Rudebusch 2009) და ცენტრალურმა ბანკებმა გამოიყენეს

მხოლოდ პოლიტიკის განაკვეთი, ისიც იმაზე გაცილებით მცირე მასშტაბით, ვიდრე ეს ნულოვანი ქვედა ზღვრით გამოწვეული სტიმულის დანაკარგის ასანაზღაურებლად იქნებოდა საჭირო.

როგორც მონეტარული მექანიზმების ალტერნატივა, ყველა დიდმა ქვეყანამ მნიშვნელოვანი დისკრეციული ფისკალური სტიმული მექანიზმები შემოიღო კრიზისის დროს (Advisers 2009). ამ გაკვეთილმა გვასწავლა, რომ მოკლევადიანი სტაბილიზაციისთვის გჭირდება ფისკალური მექანიზმების შემუშავება.

გაკვეთილი 2: დღეს ჩვენ უფრო ძლიერი მტკიცებულება გვაქვს იმის, რომ ფისკალური პოლიტიკა უფრო ეფექტიანია ვიდრე გვეგონა კრიზისამდე. დიდი კრიზისის დროს მოთხოვნის ვარდნა სავარაუდოა, რომ იყოს მნიშვნელოვანი და გრძელვადიანი. შესაბამისად, დისკრეციულმა ფისკალურმა სტიმულმა სავარაუდოდ შეიძლება მიიღოს ტრადიციული ფორმები, როგორებიცაა ფართო საშემოსავლო გადასახადის შემცირება, გაზრდილი ტრანსფერები და მთავრობის გაზრდილი დანახარჯები (Caballero 2010). მეორე გაკვეთილის არსი იმაში მდებარეობს, რომ კრიზისიდან მიღებულმა მტკიცებულებამ უფრო ნათელი გახადა ფისკალური პოლიტიკის ქმედებების ეფექტურობა (Romer, What have we learned about the fiscal policy from the crises? 2012).

ფისკალური პოლიტიკის შედეგები დიდ წილად დამოკიდებულია მონეტარულ რეჟიმზე (Solow 2012). 1985-2005 წლების განმავლობაში ცენტრალური ბანკები აქტიურად ცდილობდნენ ეკონომიკაზე სხვა ძალების ზემოქმედების განეიტრალებას და მათ ჰქონდათ კიდევაც ამისთვის საჭირო ხელსაწყოები. იმ შემთხვევებში, როდესაც მონეტარული პოლიტიკა წარმატებული იყო, ითვლებოდა, რომ ფისკალური პოლიტიკის შეფასებული ეფექტიანობა იქნებოდა ნულთან ახლოს (Coenen 2010). თუმცა ეს არაფერს გვეუბნება ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობაზე იმ შემთხვევაში, როცა მონეტარული პოლიტიკის გამტარებლებს არ შეუძლიათ ან არ სურთ რომ გააბათილონ ერთობლივ მოთხოვნაზე მოქმედი ძალები.

საერთო ჯამში, დაგროვილი კვლევები მიუთითებს (თუმცა არა ერთხმად), რომ როდესაც მონეტარული პოლიტიკა არ მოქმედებს, ტრადიციული ფისკალური

სტიმული საკმაოდ ეფექტიანია. ქვეყნების დონეზე ანალიზი მოცემული აქვთ ჩოდოროუ-რეიხს, ფივერსონს, ლისქოუსა და ვულსტონს, (Chodorow-Reich, G., Feiveson, L., Zachari, L., Woolston, V. G. 2012), ასევე სუერეს სერატოსა და ვინგენდერს (Serrato, S., Carlos, J., Wingender, P. 2011), შოაგს (Shoag 2010), ფიშბექსა და კაჩანოვსკაიას (Fishback, P., Kachanovskaya, V. 2010), ნაკამურასა და სტეინსონს (Nakamura, E., Stainsson, J. 2011). ქვეყანათაშორისი მტკიცებულებებისთვის იხილეთ საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2010 წლის ანგარიში (Fund, Will it hurt? Macroeconomic Effect of Fiscal Consolidation 2010), ასევე კრაი (Kraay 2011). ამ ხედვის დეტალური ანალიზი არ ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ როდესაც მონეტარული პოლიტიკა არის შემზღვეველი, შემზღვეველ ფისკალურ პოლიტიკას შეიძლება ჰქონდეს ექსპანსიური ეფექტი (Fund, Will it Hurt? Macroeconomic Effects of Fiscal consolidation 2010).

ამ მრავალფეროვანი მტკიცებულებების საფუძველზე - არაფერი რომ არ ვთქვათ კრიზისის წინა დროინდელ ვრცელ ნაშრომებზე ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობის შესახებ, კითხვა იმის შესახებ ეფექტიანია თუ არა ფისკალური სტიმული გადაჭრილად უნდა ჩავთვალოთ.

გაკვეთილი 3: ფისკალური სივრცე მნიშვნელოვანია. ჯანსაღი ფისკალური გარემო მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ აგრესიულად ვუპასუხოთ სწრაფად ვარდნად მოთხოვნას. ერთი გზა, რომლითაც შეგვიძლია დავინახოთ ფისკალური სივრცის მნიშვნელობა შეიძლება განვიხილოთ წარმოსახვითი ექსპერიმენტი. წარმოიდგინეთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატებში ან ევროპის ქვეყნებში წარმოიშვა კრიზისი დაბალი ვალის GDP-სთან თანაფარდობის პირობებში და იმ რწმენით რომ კანონმდებლები არ მისცემენ დროებით სტიმულს უფლებას მიიღოს მუდმივი ხასიათი. სავარაუდოა, რომ ასეთ დროს გადაწყვეტილებების მიმღებები გააფართოებენ ფისკალურ სტიმულს. თუკი ისინი შემოიღებენ სხვადასხვა დროით საგადასახადო შეღავათებს, მივიღებდით ნაკლებად მძაფრ ეკონომიკურ ვარდნას და უფრო სწრაფ გაუმჯობესებას (Romer, What have we learned about the fiscal policy from the crises? 2012).

კიდევ ერთი გზა რომ დავინახოთ ფისკალური სივრცის მნიშვნელობისა ის არის, რომ შევხედოთ იმ ქვეყნების მაგალითს, რომლებსაც ჰქონდათ ჯანსაღი ფისკალური

სივრცე. მონაცემთა სისტემური ანალიზის გარეშე რთულია ზუსტი დასკვნების გამოტანა; თუმცა, ჩინეთმა, კორეამ და ავსტრალიამ, რომლებსაც ჰქონდათ მყარი ფისკალური მდგომარეობა, დაიწყეს საკმაოდ დიდი ფისკალური ექსპანსია, მიუხედავად იმისა, რომ მათ განსაკუთრებით ძლიერად არ შეეხო ეკონომიკური ვარდნა და ჯერ კიდევ ჰქონდათ სივრცე მონეტარული პოლიტიკის გამოსაყენებლად. და ასევე ისლანდია, რომელიც შევიდა კრიზისში დაბალი ვალის მთლიან სამამულო პროდუქტთან ფარდობით და მაინც გაატარა ფისკალური პოლიტიკა, რომელმაც გაზარდა ვალის GDP-სთან შეფარდება დაახლოებით ასი პროცენტული პუნქტით.

შესაბამისად, აგრესიულ ფისკალურ სტიმულს შეუძლია საგრძნობლად შეამციროს მაკროეკონომიკური კრიზისის ხარჯები, მაგრამ არაჯანსაღი ფისკალური სივრცის შემთხვევაში ეს სტიმული შეიზღუდება. აქედან გამომდინარეობს, რომ ფისკალური პოლიტიკის გასატარებლად ჯანსაღი სივრცის ქონა არის ფასეული და მნიშვნელოვანი.

გაკვეთილი 4: პოლიტიკური ეკონომიკის გათვალისწინება ძალიან მნიშვნელოვანია.

მეოთხე და ბოლო გაკვეთილს უფრო ზოგადი ხასიათი აქვს. კრიზისებისათვის საპასუხო ფისკალური პოლიტიკის გასაცნობიერებლად პოლიტიკური ეკონომიკის გათვალისწინება მნიშვნელოვანია (Romer, What have we learned about the fiscal policy from the crises? 2012).

კრიზისის დროს ძალიან მძაფრი მოკლევადიანი სტიმული უნდა იყოს განხორციელებული იმ ზომების გათვალისწინებით, რომლებიც გრძელვადიანი ფისკალურ გაუმჯობესებას გვაძლევს. გრძელვადიან პერიოდზე გათვლილი შემზღუდველი ფისკალური პოლიტიკის დაწყების დრო უნდა იყოს მიზნული მონეტარული პოლიტიკის ჩახსნის დროს: ფისკალური პოლიტიკა უნდა ამოქმედდეს მხოლოდ იმ ნაწილში, სადაც მონეტარული პოლიტიკის გამტარებლებს შეძლებოდათ, გაეზარდათ სარგებლის განაკვეთი. ზოგიერთ ცვლილებას შეუძლია ერთდროულად იმოქმედოს როგორც მოკლევადიანი კრიზისის დაძლევის მექანიზმი, ასევე გრძელვადიანად ფისკალური გარემოს გაუმჯობესების მექანიზმი. ამის ერთი მაგალითია დამატებითი ღირებულების გადასახადის ეტაპობრივი ზრდა, რომლებიც მოქმედებენ როგორც რეალური საპროცენტო განაკვეთის შემცირება და დროთა განმავლობაში საბიუჯეტო შემოსავალს აგენერირებს. პოლიტიკა იქნებოდა

ეტაპობრივი: ზომების ნაწილი მიღებული იქნებოდა კრიზისის დასაწყისის საპასუხოდ და შემდეგ გაფართოვდებოდა ან შევიწროვდებოდა კრიზისის სიმწვავიდან გამომდინარე.

რეალურად კი მცირე გამონაკლისების გარდა, ქვეყნებს არ მიუღიათ საკმარისი ფისკალური შეზღუდვები მოკლევადიან სტიმულთან ერთად. სტიმულის მასშტაბი იყო გაცილებით მცირე ვიდრე ის იქნებოდა იმ შემთხვევაში თუ მას გამოიყენებდნენ გრძელვადიან კონსოლიდაციასთან ერთად. ისეთი ზომები, რომლებიც ერთდროულად პასუხობდა მოკლევადიან და გრძელვადიან პრობლემებს იყო ძალიან იშვიათი.

რეალურ პოლიტიკასა და ზემოთ აღწერილ პოლიტიკას შორის რეალურად არსებული მნიშვნელოვანი განსხვავება პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებაში უნდა ვეძიოთ.

თეორია და პრაქტიკა მიგვითითებს იმაზე, რომ ახსნა, რატომაც პოლიტიკურ პროცესებს მივყავართ არასასურველ შედეგებამდე არ მოიძებნება რაციონალური აგენტის მოდელებში. ამის ახსნა შეგვიძლია ვეძებოთ იმ ფაქტში, რომ ამომრჩეველთა სტიმული რომ გაერკვნენ რთულ პოლიტიკურ პროცესებში, არის მინიმალური. შედეგად, ისინი - როგორც მოსალოდნელია - დამოკიდებულები არიან ინტუიციასზე, ზედაპირულ წარმოდგენებზე და ემოციებზე პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების დროს (Caplan 2007) (Romer, Misconceptions and Political Outcomes 2003).

ცალსახად ბიუჯეტის პრობლემების საპასუხოდ მიღებული ფისკალური პოლიტიკა დიდად სარგებლიანია, თუმცა ეს უპირატესობა არ არის საკმარისი, იმისათვის, რომ გადავფაროთ ბარიერი, რომელიც საზოგადოების დაბალი ფისკალური განათლების გამო წარმოიქმნება. გრძელვადიანი ფისკალური პოლიტიკის შესახებ საზოგადოების დაბალი განათლებიდან გამომდინარე, მოქალაქეები უარყოფითად აფასებენ გეგმას, რომელიც შეეხება მოხმარების შემცირებას ან არსებულ პოლიტიკასთან შედარებით გადასახადების ზრდას.

რომერი თვლის, რომ გაკვეთილები, რომელიც მსოფლიომ 2008 წლის კრიზისის დროს მიიღო ძალიან ცუდ დღეში აგდებს დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებს და იმ

კანონმდებლებს, რომლებსაც სჯერათ ამ გაკვეთილების. მათ წინაშეა, როგორც სერიოზული მოკლევადიანი პრობლემები, ისე გრძელვადიანი პოლიტიკის დაგეგმვის წინააღმდეგ აღმართული საზოგადოება. მოკლევადიანი კრიზისები გამუდმებით გვხვდება, რადგან ქვეყნები ჯერ კიდევ 2008 წლის კრიზისიდან ამოსვლის პროცესში არიან. შესაბამისად გრძელვადიანი პოლიტიკის დაგეგმვისას გასათვალისწინებელია, რომ შეიძლება უახლოეს ათწლეულებში ისევ გადავეჩქოთ კრიზისს. დიდმა დეპრესიამ მოიტანა ინსტიტუციური ცვლილებები - სადეპოზიტო დაზღვევა, ფინანსური რეგულაციები და სტაბილურობის პოლიტიკისადმი ყურადღების გამახვილების საჭიროება - რომლებმაც შეამცირა განმეორების შანსი. არაფერი მნიშვნელოვანი არ შეგვიძლია ავიღოთ ბოლო კრიზისიდან. მსოფლიოს გარშემო იყო რამდენიმე ფინანსური რეგულაციის რეფორმა, მაგრამ მათი ეფექტიანობა ჯერაც გაურკვეველია. პოლიტიკურმა გარემომ შეიძლება უფრო რთული გახადოს მომავალი კრიზისების დროს მონეტარული, ფინანსური და ფისკალური ხელსაწყოების გამოყენება. ფინანსურმა კრიზისმა გააუარესა ქვეყნების გრძელვადიანი ფისკალური პრობლემები. ეს თავის მხრივ ამცირებს ფისკალური პოლიტიკის სივრცეს, რომელიც უნდა იქცეს მომავალი კრიზისების დროს საპასუხო რეაგირების გარანტიად.

რომერის რეკომენდაციით, ეკონომისტებმა უნდა გააგრძელონ იმაზე კამათი, იყო თუ არა კრიზისის შემდგომ მიღებული პოლიტიკა დადებითი. “შეგვიძლია მხარი დავუჭიროთ იმ რეფორმებს, რომლებიც ფინანსურ სისტემას უფრო მდგრადს გახდის. შეგვიძლია მხარი დავუჭიროთ იმ რეფორმებს რომლებიც გააძლიერებენ კრიზისზე ფისკალური პოლიტიკის რეაგირებას და ბოლოს, შეგვიძლია ავხსნათ გრძელვადიანი კონსოლიდაციის საჭიროება” (Romer, What have we learned about the fiscal policy from the crises? 2012).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფისკალური უსაფრთხოების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პორტუგალიელი ეკონომისტი ვიტორ გასპარი „პროგრესი და დაბნეულობა“ წიგნისთვის (Blanchard, O., Rajan, R. G., Rogoff, K. S., Summers, L. H. 2016) მომზადებულ სტატიაში მწვავედ განიხილავს სახელმწიფო პოლიტიკის დროულობის, რისკების შეფასებისა და ინტერვენციის ეფექტიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს (Gaspar 2016). მისი აზრით, საჯარო ფინანსები და

ფისკალური პოლიტიკა ახალ პარადიგმას საჭიროებს. რიჩარდ მასგრეისმა საჯარო ფინანსების ფუნქციები შემდეგნაირად განსაზღვრა: განაწილება, მიწოდება და სტაბილიზაცია (Musgrave 1959). მისეული განსაზღვრება ნახევარი საუკუნის შემდეგ უკვე მოძველებულია და აქტუალობას კვარგავს. მსგავსად წინამორბედისა, მომდევნო პარადიგმა, რომელიც მთავრობის ჩარევას საბაზრო ჩავარდნით ხსნის, დროს ვერ უძლებს. თეორიული დაშვებები, რომლებიც აუცილებელია ბაზრის ეფექტიანად ფუნქციონირებისთვის ნაკლებად სავარაუდოა, რომ რეალურ სამყაროში მოქმედებდეს. დღეს უკვე ვიცით, რომ საბაზრო ჩავარდნა თანამედროვე მსოფლიოში გავრცელებულია და რთულია იმის განსაზღვრა თუ როდისაა აუცილებელი მთავრობის ჩარევა და როდის - არა. ცხადია, რომ სრული სიმეტრიული ინფორმაცია, სრულყოფილი ბაზრები, გარე ფაქტორების არარსებობა, სრულყოფილი კონკურენცია და გარიგებებთან დაკავშირებული ხარჯები და დაშვებები ნამდვილ სამყაროში არარეალურია. ამას ემატება მთავრობის ინტერვენციების შესაძლო ჩავარდნაც. როგორც ბრედფორდ დელონგი ამბობს: „ისედაც მძიმე საბაზრო ჩავარდნები მთავრობის წყალობით შესაძლოა უფრო მტკივნეული გახდეს“ (DeLong 2015).

თუმცა, კონცეპტუალური კითხვები უფრო ღრმაა. რომელ სფეროებში წარმოადგენს სამთავრობო ინტერვენციები უკეთ საზოგადო ინტერესებს ვიდრე კერძო შეთანხმებები; როგორ უნდა მოეწყოს საჯარო სექტორის ორგანიზაციები ისე, რომ საჯარო პირებს ჰქონდეთ სტიმული აკეთონ ის, რასაც ორგანიზაციის შექმნა ემსახურებოდა მიზნად; როგორ შეიძლება შესრულდეს ანგარიშვალდებულებები; როგორ შეიძლება შეთანხმდეს მთავრობა და ბაზარი ისე, რომ ხალხის ინტერესს იცავდნენ. ეს და სხვა მრავალი კითხვა უპასუხოდ რჩება.

ამ ეტაპზე არ ჩანს არსებული პარადიგმის ალტერნატივა. საჯარო ფინანსების სფეროს წარმომადგენლები აქტიურად ეძებენ იმ მიმართულებებს, რომლებშიც სახელმწიფო უნდა ჩაერიოს. მათ შორისაა:

- მაკროეკონომიკური სტაბილურობა და ეკონომიკური ზრდა;
- საჯარო სერვისების მიწოდება;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოების ქსელის ჩამოყალიბება;
- თანაბარი განაწილება;

- ბაზრის რეგულირება და კონკურენცია;
- დაზღვევა ბუნებრივი კატასტროფებისგან.

ეს სია მხოლოდ არასრული ჩამონათვალია. მაგალითად, ამ სიაში არ არის გათვალისწინებული საერთაშორისო ასპექტები. იმისათვის რომ შეფასდეს უმოქმედობის შედეგების მნიშვნელობა, საკმარისია, გავიხსენოთ გლობალური დათბობა. კრიტიკული განზომილება საჯარო ფინანსებში არის ის, თუ რის საშუალებით, რა მეთოდებით ცდილობს სახელმწიფო, დააფინანსოს მსგავსი ინტერვენციები. მაქს ვებერის მიხედვით (Weber 1978) „სახელმწიფო წარმოადგენს ადამიანების ადამიანებზე ბრძანებულების ურთიერთობას, რომელიც ეყრდნობა ლეგიტიმურ (ანუ ლეგიტიმურად მიჩნეულ) ძალადობას, როგორც საშუალებას“. შუმპეტერმა განსაზღვრა კიდევ ერთი არსებითი დამახასიათებელი თვისება თანამედროვე სახელმწიფოსი, მისი დამოკიდებულება დაბეგვრასთან დაკავშირებით. საგადასახადო სახელმწიფო ანალოგიურად შეიძლება განისაზღვროს, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც ეყრდნობა კერძო სექტორის რესურსების სავალდებულო მობილიზებას მრავალჯერადი საქმიანობის დასაფინანსებლად.

თუმცა, 21-ე საუკუნეში სახელმწიფოს შესაძლებლობა აკრიფოს გადასახადები, რათა დააფინანსოს გაზრდილი ბიუჯეტის დანახარჯები, დღითი დღე უფრო სუსტდება. საჯარო ფინანსების ფორმირება დაკავშირებულია ევოლუციურ დინამიკასთან-გლობალიზაცია, ტექნოლოგიის განვითარება, დემოგრაფიული ცვლილებები, რეგიონალური ინტეგრაცია და მრავალი სხვა (Gaspar 2016). სხვადასხვა შოკი კიდევ უფრო ზღუდავს სახელმწიფოს მოქმედების შესაძლებლობას. ჯერ კიდევ შუმპეტერმა ასი წლის წინ დასვა შეკითხვა: რა არის საგადასახადო სახელმწიფოს საზღვრები? (Schumpeter 1918).

ეს კითხვაც უპასუხოდ რჩება, თუმცა გასპარი მსჯელობს საკითხებზე, რომელმაც ადრე თუ გვიან, პასუხამდე უნდა მიგვიყვანოს. ეს საკითხები უკავშირდება საჯარო ფინანსებს, მაკროეკონომიკურ სტაბილურობას და ეკონომიკურ ზრდას.

დისკუსია ძირითადად მოიცავს ორ საკითხს. პირველი, როგორ უნდა შევიმუშაოთ ფისკალური პოლიტიკა ისე, რომ მინიმუმამდე დავიყვანოთ მომავალში შესაძლო

ეკონომიკური და ფინანსური კატასტროფები. მეორე, როგორ შეიძლება ფისკალურმა პოლიტიკამ, როგორც წესების თანმიმდევრულმა ერთობლიობამ, ხელი შეუწყოს მაკროეკონომიკურ სტაბილურობასა და ეკონომიკურ ზრდას (Gaspar 2016).

განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში, მიმდინარე პერიოდში, რომელსაც შეიძლება მშვიდობის პერიოდიც ვუწოდოთ, სახელმწიფო ვალი უპრეცედენტო დონეებს აღწევს. საჯარო ფინანსების რისკები, დღესდღეობით, ფართო და მრავალფეროვანია. არსებული რისკები ზოგიერთ განვითარებულ ეკონომიკაში დაბალი ეკონომიკური ზრდის და ინფლაციის შედეგად წარმოიქმნება (Gaspar, V., Hughes, R., Jaramillo, L. 2015). განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნები სავალუტო კურსის გაუფასურების რისკის ქვეშ დგანან. საქონლის მერყევი ფასები საფრთხეს უქმნის საქონლის ექსპორტიორებს. წამყვანი ეკონომიკის ქვეყნებში, მონეტარული პოლიტიკის განსხვავებულად წარმართვის პირობებში, არსებობს საპროცენტო განაკვეთების სწრაფად მატების რისკი, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ვალის მდგრადობას (O. Blanchard 2014). გარდა ამისა, დემოგრაფიული ტენდენციები ფისკალური პოლიტიკის გამტარებლებისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა ყველა ქვეყანაში. მაშინ, როცა ქვეყანაში ინსტიტუციური მოწყობა სუსტია, ვალდებულებების წარმოქმნის წინასწარ განსაზღვრა რთულდება, რადგან სახელმწიფო ძირითადად გამოდის უკანასკნელი დამზღვევის როლში, როდესაც რაიმე რიგზე ვერაა ეკონომიკაში (Fund, Debt Sustainability Analysis for Market Access Countries 2018). ასეთი სიტუაცია მალევე შეიძლება გადაიზარდოს რეგიონულ ან თუნდაც გლობალურ კრიზისში.

მაღალი ვალისა და ლატენტური რისკების პირობებში რამდენიმე ძირითადი პოლიტიკის კითხვა დგება დღის წესრიგში. ფისკალური რისკების ანალიზისთვის გამოყენებული ძირითადი ჩარჩოები, პირდაპირ ან ირიბად ეყრდნობა რეალურ სამყაროში გამოუკვლევ დაშვებებს. უფრო კონკრეტულად, არსებობს შემდეგი დაშვებები, ფისკალური რისკების ერთმანეთისგან დამოუკიდებლობა (ერთი რისკის რეალიზაცია არ ახდენს ზეგავლენას სხვა რისკების მოხდენის ალბათობაზე), სიმეტრიულობა (დადებითი და უარყოფითი საჯარო ფინანსების შოკი თანაბრად სავარაუდო და თანაბრად მომგებიანი ან ხარჯიანი), და წრფივობა (ხარჯები და

სარგებელი იზრდება მისი განმსაზღვრელი ფაქტორების პროპორციულად) (Gaspar 2016).

გლობალურმა კრიზისმა გამოკვეთა დაშვებების შეზღუდული არეალი და კიდევ ერთხელ გაუსხვა ხაზი, რომ ფაქტობრივად:

1. ფისკალური რისკები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია (O. Blanchard 2014). როცა საქმე ეხება საჯარო ფინანსებს, ცუდ ახალ ამბებს ჯაჭვური ეფექტი აქვს. სახელმწიფო ვალების ზრდა კრიზისის დროს ერთდროულად რამდენიმე ფაქტორმა გამოიწვია, რომლებიც სისტემურად იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი: ბიუჯეტის დეფიციტი, უარყოფითი მაკროეკონომიკური განვითარება; ფინანსური სექტორის სისტემური ვალი, სახელმწიფო მფლობელობაში არსებული საწარმოები, კერძო და საჯარო ინსტიტუციების პარტნიორობა; მთავრობის დისკრეციული პოლიტიკური რეაგირება კრიზისისადმი.

2. ფისკალური რისკები ასიმეტრიულია (Caballero 2010). პოლიტიკოსები სწრაფად ახერხებენ განჭვრიტონ რისკების შესაძლო პოზიტიური მხარეები, მაშინ როცა ნეგატიურ მხარეებს ნაკლები სიზუსტით აფასებენ. ეს ყოველივე ცხადად ჩანს ქვეყნების მიერ საკუთარ აქტივებთან და ვალდებულებებთან მოპყრობით. სამთავრობო პროგნოზები ხშირად შეიცავს შემოსავლებს სამომავლო აქტივების რეალიზაციიდან, რაც მიზნად ისახავს სესხებისათვის მოთხოვნების შემცირებას, მიუხედავად იმისა, რომ რეალიზაციის დრო გაურკვეველია. ამის საწინააღმდეგოდ, მთავრობა, როგორც წესი, უგულვებელყოფს პირობითი ვალდებულებების ერთობლიობას, როგორცაა: გარანტიები, რადგან გაურკვეველია როდის ან საერთოდ თუ დადგება მათი მიღების საჭიროება. შედეგად ვიღებთ პროგნოზს, რომელიც დაუბალანსებელია და რისკების უარყოფითი მხარეები არაა ჯეროვნად შეფასებული.

3. ფისკალური რისკები არაწრფივია (Blanchard, O., Rajan, R. G., Rogoff, K. S., Summers, L. H. 2016). მცირე შოკების დროს, მიზანშეწონილია დავუშვათ, რომ დანახარჯები იზრდება შოკის მდგომარეობის პროპორციულად. თუმცა, ექსტრემალურ პირობებში მასთან ასოცირებული ფინანსური, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური შედეგები შეიძლება გაცილებით მტკივნეული აღმოჩნდეს. მას შემდეგ, როცა ბაზარი გააცნობიერებს მთავრობის ვალის არამდგრადობას, ჯაჭვურად მიჰყვება საპროცენტო განაკვეთების ზრდა და ვალუტის გაუფასურება (Fund, Debt Sustainability Analysis for

Market Access Countries 2018). ამ კონტექსტში, მნიშვნელოვანია სახელმწიფო ვალის გაფართოებასა და რამდენიმე წონასწორობის არსებობას შორის შესაძლო არაწრფივი დამოკიდებულების არსებობა. მაღალი ვალის დონისა და ფისკალური რისკების კომბინაცია მჭიდრო კორელირებული, ასიმეტრიული და არაწრფივია, რამაც განაპირობა ახალი მიდგომის ჩამოყალიბება ფისკალური პოლიტიკის გატარებისათვის. ეს მიდგომა თავის თავში მოიაზრებს რისკების აქტიურ ანალიზს, რაც არსებითია მნიშვნელოვანი ფისკალური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში (DeLong 2015).

საერთაშორისო სავალუტო ფონდი აქტიურად განიხილავს გზებს, თუ როგორ შეიძლება უკეთ გაიზომოს და მაქსიმალურად შემცირდეს ფისკალური რისკები, იმის გათვალისწინებით, რომ მათ შორის მჭიდრო კორელაციაა, ინფორმაცია ასიმეტრიულია და ხასიათდება არაწრფივი კავშირით (Department 2010). ასევე მნიშვნელოვანია ფისკალური რისკების შეფასების შედეგების გამოყენება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ეს ყოველივე დააბალანსებს ინკლუზიურ ზრდას, სტაბილურობასა და ხელს შეუწყობს რისკების მართვის განვითარებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონეტარულ კავშირებში, როგორც მარკო ბუთი აღნიშნავდა. ანალიზმა, ასევე ყურადღება უნდა გაამახვილოს ფისკალურ პოლიტიკაზე, როგორც ეკონომიკური მდგრადობისა და ზრდის ხელშემწყობ მექანიზმზე, როგორც მოკლე ისე საშუალოვადიან პერიოდში (Fund, Will it Hurt? Macroeconomic Effects of Fiscal consolidation 2010). როგორც მარტინ ფელდშტეინი ამბობდა (Feldstein, The Future of Fiscal Policy 2016), ფისკალური პოლიტიკა თამაშობს არსებით როლს, როცა მოსალოდნელია ეკონომიკური რყევების გამწვავება. ასეთ დროს წამახალისებელმა ფისკალურმა პოლიტიკამ შესაძლოა, ხელი შეუწყოს კერძო ინვესტიციების ზრდას, რაც ასოცირდება უფრო დაბალ რისკთან ვიდრე მონეტარული პოლიტიკის ალტერნატივა. ფელდშტეინი, ასევე მიიჩნევს, რომ შემოსავლებისგან ნეიტრალური საგადასახადო პოლიტიკა ინვესტიციების წახალისების ალტერნატივაა.

არსებითია ფისკალური ჩარჩოს არსებობა საჯარო ფინანსებთან დაკავშირებული რისკების მართვისთვის. კარგად ორგანიზებული ფისკალური წესები და საშუალო ვადიანი პერიოდის სამოქმედო გეგმა ეხმარება ეკონომიკას სესხებისათვის

ხელსაყრელი პირობების შექმნაში (Gaspar 2016). დანახარჯების კონტროლი ციკლის ნებისმიერ ფაზაში ზრდის გამოშვების შოკების მიმართ მდგრადობას.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი ფისკალური პოლიტიკის შემუშავების დროს არის „წესების“ შემოღება, რომლებიც შეასრულებენ ავტომატური სტაბილიზატორების როლს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების პარალელურად. მაგალითისთვის:

- გადასახადების სისტემა, რომელიც დამოკიდებულია შემოსავლის რაოდენობაზე. სოციალურ პროგრამებს, როგორცაა უმუშევართა შემწეობა, შეუძლია გაზარდოს ერთობლივი მოთხოვნა რეცესიის დროს და შეამციროს ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში (Fund, Now is the Time: Fiscal Policies for Sustainable Growth 2015). შემოსავალზე დამოკიდებული გადასახადების სისტემა ეფექტიანია ფისკალური სტაბილურობის კუთხით, რადგან ის მუშაობს რეალურ დროში პოლიტიკური გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად და არ სდევს თან ქმედებასა და შედეგს შორის დროითი ლაგი.

- გადასახადების ავტომატური გამოქვითვა რეცესიის დროს, შესაძლოა, მასტაბილიზებელი აღმოჩნდეს, რადგან ის ამცირებს კაპიტალის ფასს და ამარტივებს საკრედიტო შეზღუდვებს, რაც თავის მხრივ ეხმარება ინვესტიციების სტიმულირებას. შვედეთში ეს პროგრამა გამოიყენებოდა კონტრაციკლურ ფისკალურ მექანიზმად 1950-იან და 1970-იან წლებში (Jonung 2014).

- ციკლური დანაკარგების ზარალად დღეს აღიარების პოლიტიკა ამცირებს კორპორატიული გადასახადებიდან დანაკარგებს და ზრდის ზედმეტად გადახდილი გადასახადების დაბრუნების შესაძლებლობას რეცესიის დროს (Gaspar 2016). კანადა, საფრანგეთი, გერმანია, გაერთიანებული სამეფო და აშშ მხარს უჭერს ამ მიდგომას.

მიუხედავად იმისა, რომ გლობალური ფინანსური კრიზისის პიკმა უკვე ჩაიარა, მემკვიდრეობად მივიღეთ მრავალ რეგიონში დაბალი ეკონომიკური ზრდის ტემპი და მყიფე ფისკალური პოზიცია მრავალ ქვეყანაში. საჯარო ფინანსების მთავარი გამოწვევა 21-ე საუკუნეში მდგრადი და ინკლუზიური ზრდის მხარდაჭერაა, რომ თავიდან ავირიდოთ მომდევნო კრიზისი.

ფისკალური პოლიტიკის მომავალზე მსჯელობს ფელდშტეინიც და აკეთებს ფისკალური და მონეტარული პოლიტიკების შედარებით ანალიზს (Feldstein, The Future of Fiscal Policy 2016). რასაკვირველია, ფისკალური პოლიტიკის მომავლის შესახებ ბევრი აქტუალური საკითხია დღის წესრიგში, განცალკევებით უნდა გამოვყოთ გრძელვადიანი პოლიტიკა, რაც მოიცავს სახელმწიფო ვალის ზომასა და გადასახადების სტრუქტურას. ყურადღება უნდა გავამახვილოთ შემდეგ კითხვაზე: შესაძლებელია თუ არა, რომ ფისკალური პოლიტიკა იყოს უფრო ეფექტიანი, ვიდრე მონეტარული პოლიტიკა ინვესტიციების მოსაზიდად დაბალი ნომინალური სარგებლის განაკვეთის არსებობის შემთხვევაში (ZLB), ფულის ზრდასთან დაკავშირებული პოტენციური რისკების წარმოშობის გარეშე?

უფრო კონკრეტულად კი, უნდა დაისვას შემდეგი ორი კითხვა:

პირველი, შესაძლოა თუ არა ფისკალური პოლიტიკა უფრო ეფექტიანი იყოს ვიდრე მონეტარული პოლიტიკა ინვესტიციების სტიმულირებასთან მიმართებით?

მეორე, შეუძლია თუ არა ფისკალურ პოლიტიკას ინვესტიციების სტიმულირება ისე, რომ თავიდან ავირიდოთ ფინანსური რისკები, ასოცირებული ფულის მიწოდების ზრდასთან?

თავდაპირველად შევეცადოთ პასუხი გავცეთ მეორე კითხვას, რომელიც შედარებით უფრო მარტივია. პასუხი ცალსახაა: ფისკალური პოლიტიკა არ შეიცავს ფულის მიწოდების ზრდასთან დაკავშირებულ რისკს (Feldstein, The Future of Fiscal Policy 2016).

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ფულის მიწოდების ზრდა-აქტივების ფართომასშტაბიანი შესყიდვისა და დაბალი მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების ხანგრძლივად შენარჩუნება - ინვესტორებსა და გამსესხებლებს უბიძგებს მიმართონ ისეთ სტრატეგიებს, რომლებიც დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკებთან.

ჩვენ ვხედავთ, კონკურენციის გამწვავების გამო კაპიტალზე ფასების ზრდას. ასევე შესაძრწევია დაბალი სარგებელი გრძელვადიან ობლიგაციებზე, სახაზინო და მაღალი რისკის მქონე ობლიგაციებს შორის სარგებლის გათანაბრების ტენდენცია. ამასთან

ერთად, გაიზარდა არასაიმედო ობლიგაციების მიწოდება, რომლებიც დღეს უფრო ნაკლებ სარგებელს იძლევა, ვიდრე მანამდე.

ბანკები და სხვა საკრედიტო ორგანიზაციები გასცემენ სესხებს საექვო მსესხებლებზე, რის ხარჯზეც ზრდიან საკუთარი პორტფელის მოცულობას რისკიანი მსესხებლებისთვის. ასევე, გავრცელებულია სესხის გაცემა გამარტივებული პირობებით.

ზემოთ აღნიშნული პროცესების თანმდევი რისკების განეიტრალება შესაძლებელია მაკროპრუდენციული პოლიტიკით (Feldstein, The Future of Fiscal Policy 2016). თუმცა, პრაქტიკაში იშვიათია მსგავსი სახის პოლიტიკის გატარება, თუ არ ჩავთვლით კაპიტალის რაოდენობაზე მოთხოვნებს, რაც განსაზღვრულია კომერციული ბანკებისათვის. არ არსებობს რაიმე ახალი მაკროპრუდენციული პოლიტიკა, რომელიც დაარეგულირებდა სადაზღვევო კომპანიებს, არალეგალურ კრედიტორებსა და სხვებს. მოკლედ, ფულის მიწოდების გაზრდის პოლიტიკა შეიცავს ფინანსურ რისკებს, რომლის კომპენსაციასაც ვერ ახდენს მაკროპრუდენციული პოლიტიკის ღონისძიებები.

ამის საპირისპიროდ, ფისკალური პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ინვესტიციების სტიმულირებას არ არის მსგავსი ფინანსური სექტორის რისკების მატარებელი (Blanchard, O., Rajan, R. G., Rogoff, K. S., Summers, L. H. 2016).

მივდივართ მთავარ კითხვასთან: შეუძლია ფისკალურ პოლიტიკას იყოს უფრო ეფექტიანი ინვესტიციების სტიმულირებასთან მიმართებით ვიდრე მონეტარული პოლიტიკა?

გაურკვეველია, რატომ უნდა გულისხმობდეს ფისკალური პოლიტიკის მიმზიდველობა აუცილებლად მონეტარულ პოლიტიკაზე უპირატესობას. არ იქნებოდა ფისკალური პოლიტიკა მიმზიდველი იგივე ეფექტი რომ ქონდეს, რაც მონეტარულ პოლიტიკას? ნებისმიერ შემთხვევაში, ფისკალური სტიმულების ეფექტიანობა დამოკიდებულია პოლიტიკის განსახორციელებლად საჭირო დროზე.

ფელდშტეინი აღიარებს (Feldstein, The Future of Fiscal Policy 2016), რომ მონეტარულ პოლიტიკას შეუძლია ინვესტიციების ზრდის ხელშეწყობა. თუმცა, მას ასევე სჯერა,

რომ ფისკალური პოლიტიკის მეშვეობითაც შესაძლებელია იმავე მიზნის მიღწევა, თანაც ფინანსური სექტორის თანმდევი რისკების გარეშე.

მნიშვნელოვანია, განვასხვავოთ ორი სახის ფისკალური სტიმული. პირველი დაკავშირებულია გადასახადების შემცირებასთან, რაც ზრდის ფისკალურ დეფიციტს, მაგრამ ამასთან ერთად ზრდის მთლიან სამამულო პროდუქტსაც ტრადიციული კეინზიანური არხებით (Alesina, A. F., Ardagna, S. 2009). ეს შეიძლება იყოს საშემოსავლო ან მოგების გადასახადის შემცირება. მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდა იწვევს ინვესტიციების სტიმულირებას უფრო მაღალ სარგებლიანობას და მეტ მოგებას.

მეორე სახის ფისკალური სტიმული დაკავშირებულია ინვესტიციების წახალისებასთან, როგორცაა ინვესტიციებზე დაწესებული გადასახადის შემცირება და ცვეთის დარიცხვის დაჩქარება, რაც ზრდის ინვესტიციების მომგებიანობას (Alesina, A. F., Ardagna, S. 2009). მრავალი კვლევა ადასტურებს, რომ ინვესტიციების წახალისებაზე გამიზნული სტიმულები ეფექტიანია ინვესტიციების რაოდენობის ზრდისთვის.

თუმცა, არსებობს კითხვაც თუ რამდენად ღირს ასეთი სახის წახალისება ეკონომიკაში მაშინ, როდესაც ისედაც მაღალი ბიუჯეტის დეფიციტი და სახელმწიფო ვალია ქვეყანაში (Afonso 2012). ალბათ, შესაძლოა ასეთი წახალისებისგან გამოწვეული ხარჯების დაფარვა კორპორატიული გადასახადების გაზრდის ხარჯზე. უფრო კონკრეტულად, შემოსავლისგან დამოუკიდებელი ფისკალური სტიმულები უნდა გახდეს ინვესტიციებზე დაწესებული გადასახადების შემცირებისა და მომდევნო ორ წელიწადში დროებითი კორპორატიული გადასახადების კომბინაცია (Feldstein, Rethinking the Role of Fiscal Policy 2009).

მთავარი საკითხი არის ის, რომ ახალ ინვესტიციებზე გადასახადი კი შემცირდება, მაგრამ გაზრდილი გადასახადი დააწვება უკვე არსებულ კაპიტალს. ბიზნესს გაუჩნდება სტიმული ინვესტიცია მომდევნო ორი წლის განმავლობაში განახორციელოს (Christiano, L., Motto, R., Rostagno, M. 2010). მაღალი კორპორატიული გადასახადები ასევე გაზრდის ცვეთის ღირებულებას, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო წახალისებს ინვესტიციას.

რა თქმა უნდა, დრო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რაც განსაზღვრავს როგორც მონეტარული, ისე ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობას. ფელდშტეინის აზრით (Feldstein, The Future of Fiscal Policy 2016), დროის ფაქტორი მოთხოვნის სტიმულირებაში მონეტარულ პოლიტიკას ფისკალურთან შედარებით უფრო მიმზიდველს ხდის, რადგან ფისკალური სტიმულების ამოქმედება დროში მეტად იწელება.

ტრადიციულად რეცესიები გასულ საუკუნეში საშუალოდ ათი თვე გრძელდებოდა. თუმცა, ეს იმაზე ნაკლები დროა, რაც ფისკალური პოლიტიკის სტიმულების განხორციელებას სჭირდება. გადასახადების შეცვლის შესახებ ახალი კანონის განხილვა, მისი ძალაში შესვლა და ბოლოს იმის ლოდინი თუ რა ზეგავლენას მოახდენს ეს ეკონომიკაზე. ასე, რომ შესაძლოა, ფისკალურმა პოლიტიკამ მოქმედება დადმავლობის ციკლის დასრულების შემდეგ დაიწყოს.

ამიტომ, განსაკუთრებით მომგებიანი იქნება ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკის გამოყენება მაშინ, როცა რეცესიის განჭვრეტა წინასწარ არის შესაძლებელი და მოსალოდნელი რეცესია დიდხანს გასტანს მძიმე შედეგებით. ასე რომ დროის ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია. მაგალითად, ბოლო რეცესიის საშიშროება უკვე ცხადი იყო 2007 წლის ბოლოსთვის.

დროის პრობლემა ასევე ზეგავლენას ახდენს მონეტარულ პოლიტიკაზეც. 2006-დან 2008 წლამდე მიღებული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მონეტარული პოლიტიკის შემსუბუქების ნაბიჯების სწრაფად გადადგმაც რთულია. საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა ფედერალურ სარეზერვო სისტემას, იმის გასაცნობიერებლად თუ რამდენად მასობრივი ნაბიჯი უნდა გადაედგა რეცესიასთან საბრძოლველად. მაშინ როცა საპროცენტო განაკვეთებმა ნულოვან ნიშნულს მიაღწია, ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ დაიწყო სხვადასხვა სახის წამახალისებელი მონეტარული პოლიტიკის შემუშავება. მას შემდეგ, რაც ახალი პოლიტიკა შევიდა ძალაში, მაინც დიდი დრო დასჭირდა ერთობლივი მოთხოვნის სასურველ რაოდენობამდე გაზრდას.

მიუხედავად იმისა, რომ ფისკალური სტიმულების განხორციელებას დიდი დრო სჭირდება, ფელდშტეინი ასკვნის (Feldstein, The Future of Fiscal Policy 2016), რომ

ინვესტიციების ზრდის ხელშეწყობის მიზნით ის მაინც უნდა გამოვიყენოთ მაშინ, როცა მოსალოდნელია ღრმა და გრძელვადიანი რეცესია. შედეგად არ მივიღებთ ფინანსური სექტორის რისკს, რაც თან სდევს მონეტარულ პოლიტიკას.

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ როდესაც ფინანსური სისტემა გაიყინა და მონეტარული პოლიტიკის გავლენა შესუსტდა, განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტებს მიმართა ვარდნადი ერთობლივი მოთხოვნის შესაჩერებლად, რომლის შედეგიც საბოლოოდ სახელმწიფო ვალის GDP-სთან გაზრდილი მაჩვენებლები ამის შემდეგ სახელმწიფოები ეკონომიკის სტიმულირებიდან ვალის სტაბილიზაციის პოლიტიკისკენ გადაერთვნენ. ვიტორ გასპარი (Gaspar 2016) ფისკალური პოლიტიკის ორ ძირითად ასპექტზე ამახვილებს ყურადღებას. ერთი ის არის, რომ რისკები ერთმანეთთან მაღალ კორელაციაშია, ასიმეტრიულია და არაწრფივი. იმისათვის რომ უკეთ გავზომოთ ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობა წრფივობის და სიმეტრიულობის შესახებ დაშვებების გაკეთება არარელევანტური იქნება მომავალში. მეორე საკითხია ფისკალური სტაბილიზაციის მნიშვნელობა მაკროეკონომიკური მერყეობის შემცირებისა და ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერისთვის. ფისკალური სტაბილიზაციის კოეფიციენტი (FISCO), რომელსაც სსფ-ის მეთოდოლოგიით წარმოგვიდგენს გასპარი (Fund, Fiscal Monitor 2015), საქართველოსთვის გაანგარიშებულია ნაშრომის მესამე თავში. აღნიშნული კოეფიციენტი ზომავს ფისკალურ კონტრაციკურობას, სადაც მაღალი მაჩვენებელი გამოხატავს ფისკალური სტაბილიზაციის უფრო დიდ როლს მაკროეკონომიკურ სტაბილურობაში. ფელდშტეინის დასკვნით (Feldstein, The Future of Fiscal Policy 2016) რეცესიები და განსაკუთრებით ფინანსური კრიზისით გამოწვეული რეცესიები საკმარისად ხანგრძლივად გრძელდება იმისთვის, რომ დისკრეციული ფისკალური პოლიტიკა იქნას გამოყენებული როგორც მასტიმულირებელი მექანიზმი. მისი აზრით ფისკალური პოლიტიკის გატარება არ გულისხმობს აუცილებლად დეფიციტის ან სიჭარბის წარმოშობას, პოლიტიკის დაგეგმვა შესაძლებელია ბიუჯეტის კომპოზიციის ცვლილებით. მარკო ბუტი (Buti 2016) ყურადღებას ამახვილებს ფისკალური პოლიტიკის გრძელვადიან პერიოდზე გათვლილი დაგეგმვის მნიშვნელობაზე, იმისათვის, რომ კრიზისულ პერიოდებში ქვეყნებმა თამამად შეძლონ საჭირო ინსტრუმენტების გამოყენება. ბრედფორდ

დელონგი (DeLong 2015) დისკუსიის მნიშვნელოვან ნაწილად ოცდამეერთე საუკუნეში არსებულ სახელმწიფო ვალის დონესა და გაზრდილ სახელმწიფო დანახარჯებს ასახელებს. მისი აზრით უნდა მოველოდეთ სახელმწიფო ზომების ზრდას, რამდენადაც ეკონომიკების უმრავლესობა ნელ-ნელა ინაცვლებს ისეთი სექტორებისკენ, სადაც საბაზრო ჩავარდნების თავიდან არიდება შეუძლებელია (განათლება, ჯანდაცვა, საინფორმაციო საქონელი) და სწორედ ამიტომ ფისკალური პოლიტიკის როლი მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება.

1.3 ფისკალური მულტიპლიკატორი და მისი გავლენა მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე

თანამედროვე ლიტერატურის უდიდესი ნაწილი, ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობის შესაფასებლად იყენებს ე.წ. ვექტორულ ავტორეგრესიულ (VAR) და დინამიურ სტოქასტურ ზოგადი წონასწორობის (DSGE) მოდელებს. ეს მიდგომა არაპირდაპირ გულისხმობს დაშვებებს მონეტარული პოლიტიკის რეაგირების შესახებ. როგორც ვიცით მონეტარული პოლიტიკის პოზიციონირება გავლენას ახდენს ფისკალურ მულტიპლიკატორზე. იმის მიხედვით, მონეტარული პოლიტიკის საპასუხო რეაქცია რა იქნება (ფისკალური ექსპანსიით გამოწვეული ინფლაციის საპასუხოდ გაზრდის ნომინალურ და რეალურ სარგებლის განაკვეთებს თუ შეინარჩუნებს ნომინალური სარგებლის განაკვეთს მოცემულ დონეზე და ამით საშუალებას მისცემს რეალური სარგებლის განაკვეთს რომ შემცირდეს), სარგებლის განაკვეთის მიმართ მგრძობიარე კერძო დანახარჯები შეიძლება გამოიღვენოს ან პირიქით გაიზარდოს. ამ კვლევაში გამოყენებული ფისკალური მულტიპლიკატორის შეფასებისას ვიგულისხმებთ, რომ სარგებლის განაკვეთის მიმართ მგრძობიარე კერძო დანახარჯებიცა და ინვესტიციებიც არის მუდმივია (კონსტანტა). შესაბამისად, ნაშრომში წარმოგენილი ფისკალური მულტიპლიკატორის გაანგარიშების მეთოდი არ წარმოშობს მონეტარული პოლიტიკის პასუხის აუცილებლობას.

ასევე, საქართველოსთვის, როგორც მცირე ზომის ღია ეკონომიკისთვის, იმპორტის გათვალისწინება მაკროეკონომიკური ფაქტორების შეფასებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებით ნაშრომში გამოყენებულია ფისკალური მულტიპლიკატორის შეფასების ის მოდელი, რომელიც ადგილობრივ

მოხმარებასა და ექსპორტში იმპორტის ინტენსივობას ითვალისწინებს. გაანგარიშებისთვის გამოყენებულია დანახარჯები-გამოშვების ცხრილები, რომელიც სპეციალურად ამ კვლევისთვის შედგა საქართველოსთვის. ამ მიდგომის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ მოდელი ითვლის თუ რა ზომისაა მოხმარებით და ექსპორტით გამოწვეული იმპორტი, ახდენს მის იზოლირებას და ანგარიშობს ფისკალური პოლიტიკის ეფექტს მხოლოდ წმინდად ადგილობრივი გამოშვებისთვის. მაშინ, როდესაც ქვეყანაში იმპორტის წილი დიდია და ასევე ექსპორტში პირდაპირ და არაპირდაპირ იმპორტი მნიშვნელოვნად მონაწილეობს, ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკით შექმნილი ეფექტების გადინება ხდება.

კვლევის მეთოდოლოგია იწყება მულტიპლიკატორის სტანდარტული განმარტების შესწავლით სადაც გამოკვეთილია, რომ ღია ეკონომიკისთვის სახელმწიფო დანახარჯებისა და შემოსავლების მულტიპლიკატორების განმარტება შეუსაბამოა, რადგან, გათვალისწინებული არ არის იმპორტის ინტენსივობა. სწორხაზოვნად, იმპორტის ინტენსივობა იანგარიშება მთლიან სამამულო პროდუქტთან მიმართებით, მაშინ როდესაც იმპორტის ნაწილი შეიძლება გამოყენებული იყოს საექსპორტო პროდუქტის წარმოებაშიც (ანუ იმპორტის ინტენსივობის ექსპორტში, რომლის გაანგარიშებაც საჭიროა). იმპორტის მოცულობა დავაკავშირეთ საბოლოო გამოშვების მოცულობასთან, რომელიც არის ადგილობრივი მოხმარებისა (მოხმარება+სახელმწიფო დანახარჯები+ინვესტიციები) და ექსპორტი ჯამი (და არა GDP-სთან, რომელიც არის $C+G+I+X-M$) (Samuelson 1948). რადგან ქვეყნების უმრავლესობისთვის საბოლოო გამოშვება უფრო მაღალია, ვიდრე მთლიანი სამამულო პროდუქტი, მულტიპლიკატორის მნიშვნელობაც შესაბამისად უფრო მაღალი უნდა მივიღოთ იმპორტის ინტენსივობის სწორად გათვალისწინების შემთხვევაში.

კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურა სხვადასხვა დასკვნებს აკეთებს მულტიპლიკატორის ზომის შესახებ. ისეთი ისეთი ცნობილი მეცნიერი, როგორცაა რობერტ ბარო (R. Barro 1981), ამბობს, რომ ფისკალური მულტიპლიკატორი დაახლოებით 0.8-ის ტოლია, მაშინ როდესაც რამის (V. A. Ramey 2010) გაანგარიშებით, მულტიპლიკატორი 1.2-თან არის ახლოს, ხოლო ჰოლმა დაასკვნა, რომ სახელმწიფო შესყიდვების მცირედით უარყოფითი გავლენა აქვს გამოშვებაზე (Hall 1986).

განსხვავებული შედეგების მიზეზების გასაგებად განვიხილოთ რა განსხვავებული მოდელებით შეიძლება შეფასდეს ფისკალური მულტიპლიკატორი.

თავდაპირველად განვიხილოთ ნეოკეინზიანური ლიტერატურა, რომელიც აფასებს სახელმწიფო დანახარჯების გავლენას გამოშვებაზე, დინამიური ზოგადი წონასწორობის მოდელით, რომელშიც ფასები და/ან ხელფასები ხისტია (ასეთი კვლევებია, მაგალითად, რომელიც იყენებს ვექტორულ ავტორეგრესიას (VAR) მულტიპლიკატორის შესაფასებლად).

ნეოკეინზიანური მოდელების მიხედვით, რომელშიც მომხმარებლის ლიკვიდურობა არ არის შეზღუდული, ფისკალური ექსპანსია ზრდის გამოშვებას, ინფლაციასა და რეალური სარგებლის განაკვეთს; შედეგად გამოდევნის მოხმარებას, მაშინ როდესაც გავლენა ინვესტიციებზე უცნობია და დამოკიდებულია მოდელში შემავალი პარამეტრების კალიბრაციასა და დაშვებებზე. შედეგად, ასეთი მოდელით გაანგარიშებული მულტიპლიკატორები 1-ზე ნაკლებია. გალი და სხვები (Gali, J., Lpez-Salido, J., Valls, J. 2007) აჩვენებენ, რომ თუ მომხმარებლის ლიკვიდურობა საკმარისად მაღალია და შეზღუდულები არ არიან საკუთარი განკარგვადი შემოსავლების განაწილებაში, მოხმარება შეიძლება გაიზარდოს სახელმწიფო დანახარჯების საპასუხოდ და მულტიპლიკატორიც მნიშვნელოვნად 1-ზე მაღალი იქნება. გალის მიხედვით (Gali, J., Lpez-Salido, J., Valls, J. 2007), მაგალითად თუ დავუშვებთ, რომ მომხმარებლის ლიკვიდურობის შეზღუდვა აღწევს 50%-ს, მაშინ მულტიპლიკატორი 1.8-ს ტოლია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზუსტი კალიბრაცია იმისა თუ რამდენია ლიკვიდურობის შეზღუდვა და შესაბამისად, სახელმწიფო დანახარჯების ზრდა გამოდევნის თუ პირიქით, ზრდის მოხმარებას, ჯერ კიდევ საკამათოა და შედეგები ურთიერთგამომრიცხავი.

მსოფლიოში ფისკალური პოლიტიკის მულტიპლიკატორის გაანგარიშების მიმართ ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა ბოლო 2008-2009 გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ. ფინანსური კრიზისის დაწყებამ განსაკუთრებული ინტერესი გააჩინა ფისკალური დანახარჯების მულტიპლიკატორზე მოქმედი ფაქტორების მიმართ, განსაკუთრებით კი ეკონომიკური გარემოსა და მონეტარული პოლიტიკის პოზიციის მიმართ. განვითარებული ქვეყნების მონეტარული პოლიტიკის გავლენის

მნიშვნელოვანი შემზღვეველი ფაქტორია არსებული დაბალი ნომინალური სარგებლის განაკვეთები (zero lower bound-ZLB) (Almunia, M., Benetrix, A., Eichengreen, B., O'Rourke, K., Rua, G. 2010). მოკლევადიანი დაბალი მონეტარული განაკვეთები ეკონომიკაში იწვევს ლიკვიდურობის ხაფანგს და ზღუდავს ცენტრალური ბანკების შესაძლებლობებს ეკონომიკის სტიმულირების პოლიტიკის გატარებაში. ასეთ დროს ფისკალური პოლიტიკის როლი ეკონომიკაში კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. ქრისტიანომ და სხვებმა (Christiano, L., Rebelo, S., Eichenbaum, M. 2009) აჩვენეს, რომ მონეტარული პოლიტიკის ასეთი პოზიციონირების დროს, ფისკალური პოლიტიკის ეფექტი უფრო ძლიერია და მულტიპლიკატორი 1-ზე მეტია. სახელმწიფო დანახარჯების ზრდა იწვევს გამოშვებისა და ინფლაციის ზრდას, შედეგად მცირდება რეალური სარგებლის განაკვეთი და დადებით გავლენას ახდენს მოხმარებასა და ინვესტიციებზე. მაგალითად, დინამიური სტოქსტური ზოგადი წონასწორობის მიდელის (DSGE) შეფასებით, ამერიკის შეერთებული შტატებისთვის დაბალი ნომინალური სარგებლის განაკვეთის (ZLB) არსებობის დაშვებით, რომელიც ვრცელდება 8 კვარტლის მანძილზე, მულტიპლიკატორი მერყეობს 1.9-დან 3-მდე, რაც ადასტურებს იმ ჰიპოთეზას რომ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენების შეზღუდვის (ZLB-ის სრსებობის დროს) პირობებში, ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკა კიდევ უფრო ეფექტიანია.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის Global Integrated Monetary and Fiscal (GIMF) მოდელით, ფრიდმანი (Freedman 2010) ადასტურებს, რომ საკმარისად ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკის მქონე ქვეყანაში სახელმწიფო ხარჯების მულტიპლიკატორი შეიძლება იყოს 2 ან უფრო დიდი. ისევე როგორც ბერნანკემ (Bernanke, B. S., Gertler, M., Gilchrist, S. 1999) და ქრისტიანომ (Christiano, L., Motto, R., Rostagno, M. 2010), მათაც აჩვენეს, რომ როდესაც მონეტარული პოლიტიკა შეზღუდულია დაბალი ნომინალური სარგებლის განაკვეთით (ZLB-ით), ფინანსური აქსელერატორების შემოღებით იზრდება როგორც მულტიპლიკატორი, ისე გამოშვების რეაგირების მდგრადობა.

ფინანსური აქსელერატორი როგორც წესი მოქმედებს საკრედირო ბაზრის გავლით და მან შეიძლება წარმოშოს როგორც ბუმი, ასევე კრიზისი ეკონომიკაში (Bernanke, B. S.,

Gertler, M., Gilchrist, S. 1999). ფინანსური აქსელერატორი პირველად განიმარტა ბერნანკეს მიერ და მისი მიზანი იყო დაედგინა თუ როგორ ახდენს თუნდაც მცირედი მონეტარული პოლიტიკის ცვლილება ან საკრედიტო ბაზარზე პირობების ცვლილება გავლენას მთელს ეკონომიკაზე.

დღემდე, ლიტერატურა, რომელიც ვექტორულ ავტორეგრესიულ მოდელს (VAR) იყენებს, რომელიც ადგენს ფისკალური დანახარჯების შოკების გავლენას გამოშვებაზე, ასევე განსხვავებულ დასკვნებს აკეთებს. დასკვნები დამოკიდებულია იმ მეთოდებზე, თუ როგორ განვასხვავებთ ერთმანეთისგან დანახარჯების ჭეშმარიტად მოულოდნელ შოკს, ეკონომიკური აგენტების მიერ მოსალოდნელი დანახარჯებისაგან. მიდგომა, რომელიც ამჯობინებს ბლანშარდმა და პეროტმა (Blanchard, O., Perotti, R. 2002) და გალიმ (Gali, J., Lopez-Salido, J., Valls, J. 2007) ეყრდნობა გადასახადებზე, ტრანსფერებსა და დანახარჯებზე ინსტიტუციურ ინფორმაციას. მათ ნახეს, რომ კერძო მოხმარება იზრდება ფინანსური ექსპანსიის საპასუხოდ და მულტიპლიკატორი მერყეობს 0.87-დან 2.5-მდე. ამის საპირისპიროდ, რამმა (Ramey, V. A. 2010) და რამმა (V. A. Ramey 1998) გამოიყენეს „ომის მონაცემები“ და ინფორმაცია დანახარჯების შესახებ მოაგროვეს ბიზნეს ჟურნალ-გაზეთებიდან, რათა მოეხდინათ თავდაცვის დანახარჯების არაპროგნოზირებადი დანახარჯების იდენტიფიცირება. მათ აჩვენეს, რომ სახელმწიფო დანახარჯების ზრდა გამოდევნის კერძო მოხმარებას და ტიპური მულტიპლიკატორი 1-ზე ნაკლებია.

ზემოთ განხილული თეორიული მოდელების მიხედვით ეკონომიკური მდგომარეობის კონტროლით VAR მოდელში შეიძლება თავიდან ავირიდოთ ურთიერთგამომრიცხავი შედეგები და დასკვნები. მაგალითად, რამის (Ramey, V. A. 2010) მიერ მიღებული მულტიპლიკატორის დაბალი ზომა შეიძლება აიხსნას იმით, რომ სამხედრო შეიარაღების ზრდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში მიმდინარეობდა იმ ფონზე, როდესაც მონეტარული პოლიტიკა არ იყო შემოსაზღვრული დაბალი ნომინალური სარგებლის განაკვეთით (ZLB-ით) რამდენადაც იყო ეკონომიკური ბუმი. ამგვარად, კერძო დანახარჯების გამოდევნა მოსალოდნელი იყო. აუბრაიხმა (Auerbach, A. J., Gorodnichenko, Y 2010) და ალმუნია (Almunia, M., Benetrix, A., Eichengreen, B., O'Rourke, K., Rua, G. 2010) წარმოადგინეს იმის

მტკიცებულებები, რომ მოცემული პერიოდისთვის ეკონომიკური მდგომარეობის კონტროლი მოდელში მნიშვნელოვანია. აუბრაიხმა (Auerbach, A. J., Gorodnichenko, Y 2010) გამოიყენა გლუვი გარდამავალი ვერქტორული ავტორეგრესიული მოდელი (STVAR) და მიიღო, რომ სახელმწიფო დანახარჯების ზოგადი მულტიპლიკატორი 2-ზე მეტია რეცესიის დროს, ხოლო 1-ზე ნაკლებია ან უარყოფითია ეკონომიკური აღმავლობის დროს.

ალმუნია (Almunia, M., Benetrix, A., Eichengreen, B., O'Rourke, K., Rua, G. 2010) შეაფასა VAR მოდელი, რომელშიც აღწერილია თავდაცვითი დანახარჯები, მთლიანი სამამულო პროდუქტი, სახელმწიფო შემოსავლები და დისკონტის განაკვეთი 27 ქვეყნის პანელური მონაცემებისთვის 1925-1939 წლებისთვის. ამ პერიოდის განმავლობაში მონეტარული პოლიტიკა შემოსაზღვრული იყო ჯერ ფიქსირებული გაცვლითი კურსის დაცვის გამო, შემდეგ კი დაბალი ნომინალური სარგებლის განაკვეთის (ZLB-ის) გამო. მათ მიერ შეფასებული ფისკალური მულტიპლიკატორი 2.5-ის ტოლია.

ამრიგად ორივე, გამოყენებითი თეორიულიც და ემპირიული ლიტერატურაც აჩვენებს, რომ ზოგადი ეკონომიკური სიტუაცია და მონეტარული პოლიტიკის პოზიციონირებაც გავლენას ახდენს ფისკალურ მულტიპლიკატორზე. იმის მიხედვით, მონეტარული პოლიტიკის საპასუხო რეაქცია რა იქნება (ფისკალური ექსპანსიით გამოწვეული ინფლაციის საპასუხოდ გაზრდის ნომინალურ და რეალურ სარგებლის განაკვეთებს თუ შეინარჩუნებს ნომინალური სარგებლის განაკვეთს მოცემულ დონეზე და ამით საშუალებას მისცემს რეალური სარგებლის განაკვეთს რომ შემცირდეს), სარგებლის განაკვეთის მიმართ მგრძობიარე კერძო დანახარჯები შეიძლება გამოიდევენოს ან პირიქით გაიზარდოს. ამ კვლევაში გამოყენებული ფისკალური მულტიპლიკატორის შეფასებისას ვიგულისხმებთ, რომ სარგებლის განაკვეთის მიმართ მგრძობიარე კერძო დანახარჯებიცა და ინვესტიციებიც არის მუდმივი (კონსტანტა). აქედან გამომდინარე, ჩვენი შეფასება წარმოადგენს ფისკალური მულტიპლიკატორის კონსერვატიულ შეფასებას ღრმა, მოთხოვნის შოკით გამოწვეული რეცესიის დროს. რა თქმა უნდა, ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც ეკონომიკის დასტაბილურებისკენ მიმართული მოქმედება ყველაზე მეტადაა

აუცილებელი. ნაშრომში ჩვენ დავითვლით ფისკალურ მულტიპლიკატორს ღია ეკონომიკისთვის და ძირითად ყურადღებას მივმართავთ იმპორტისადმი მიდრეკილების სწორად გაანგარიშებაზე. ბოლოს, კვლევაში მოცემული იქნება სახელმწიფო დანახარჯების მულტიპლიკატორები სამი განსხვავებული ტიპის ხარჯისათვის, რომელიც იშვიათად თუ შეგვხვდება ლიტერატურაში.

თავი II. ფისკალური მულტიპლიკატორის მოდელი დანახარჯები-გამოშვების ცხრილების მეშვეობით (საქართველოს მაგალითი)

ამ ნაწილში ვიმსჯელებთ თუ რით განსხვავდება კვლევისთვის შერჩეული ღია ეკონომიკისთვის დანახარჯები-გამოშვების მოდელი სახელმძღვანელოებში მოცემული ფისკალური მულტიპლიკატორის გაამგარიშების მოდელისაგან.

2.1. ფისკალური მულტიპლიკატორის თავისებურებები

ფისკალური მულტიპლიკატორი მარტივი შემოსვლებისა და დანახარჯების მოდელში ღია ეკონომიკისთვის ანგარიშდება იმ დაშვებით, რომ მოხმარება (C) და იმპორტი (M) მთლიანი სამამულო პროდუქტის ფიქსირებულ წილს წარმოადგენს და აღინიშნება შესაბამისად c_p და m -ით. ანუ გვაქვს:

$C = c_p Y$ და $M = mY$, რომელშიც Y აღნიშნავს GDP-ს და მოცემულია ჩვენთვის ნაცნობი იგივეობით:

$$Y = C + G + I + X - M$$

რომელშიც I , G და X აღნიშნავენ ინვესტიციებს, სახელმწიფო დანახარჯებსა და ექსპორტს შესაბამისად. ფისკალური მულტიპლიკატორის კლასიკური ფორმულა შემდეგნაირად გამოიყურება:

$$Y = c_p Y + I + G + X - mY$$

$$(1 - c_p + m)Y = I + G + X$$

მიღებულ ტოლობას თუ გავაწარმოებთ G -ის მიმართ, მივიღებთ:

$$\frac{dY}{dG} = \frac{1}{1 - c_p + m} \quad (1)$$

ამ ფორმულით მარტივად არის შესაძლებელი მოცემული მულტიპლიკატორის გაანგარიშება ეროვნული შემოსავლების სტატისტიკის გამოყენებით. საკმარისია, მარტივად დავითვალოთ $m = \frac{M}{Y}$ და $c_p = \frac{C}{Y}$, და მულტიპლიკატორის ზომასაც გავიგებთ.

ფორმულა (1) წარმოადგენს მულტიპლიკატორის ტრადიციულ გაგებას, თუმცა მისი გაანგარიშებით მიღებული შედეგები ხშირად წარმოქმნის სირთულეებს. ამ ფორმულის სიზუსტე ხშირად ხდება დებატების საგანი, როდესაც მისაღებია გადაწყვეტილება რა პოლიტიკური შედეგები ექნება დამდგარ ან მოსალოდნელ კრიზისთან ბრძოლისთვის სახელმწიფო ვალით დაფინანსებულ საბიუჯეტო დანახარჯების ზრდას, რამდენად მოახდენს ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკა ეკონომიკის გამოცოცხლებას და ბიზნესის სტიმულირებას. ასევე აქტიურია ამ ფორმულის განხილვა, როდესაც მსჯელობენ ზოგადად ფისკალური პოლიტიკის შეზღუდვის შესაძლო შედეგებზე. ასეთი გადაწყვეტილებების მიღება საჭიროა მაგალითად, როდესაც სახელმწიფო ცდილობს არ გაზარდოს ბიუჯეტის დეფიციტი, მაშინ როდესაც საბიუჯეტო შემოსავლები შემცირდა გადატანილი რეცესიის გამო. ორივე შემთხვევაში აქტუალურია შეკითხვა: რა იქნება სახელმწიფო დანახარჯების ზრდის/შემცირების მულტიპლიკაციური ეფექტი? შეგვიძლია დავეყრდნოთ (1) ფორმულას ეფექტიანობის დასადგენად? პასუხია არა, რადგან მსგავსი გაანგარიშება არ იქნება ზუსტი.

მნიშვნელოვანი ყურადღება ჩვენი კვლევის შემდგომ ეტაპზე ეთმობა იმპორტის ინტენსივობას საბოლოო წარმოებაში, ადგილობრივ მოხმარებასა და ექსპორტში. ჩვენ პასუხი უნდა გავცეთ ისეთ მნიშვნელოვან შეკითხვას როგორცაა: როგორ უნდა იქნეს განსაზღვრული იმპორტის ინტენსივობა ფისკალური პოლიტიკის მულტიპლიკატორის გაანგარიშების მიზნისთვის? იმპორტის ინტენსივობა განსაზღვრულია, როგორც ფარდობა მთლიანი იმპორტის მოცულობასა და მთლიან სამამულო პროდუქტს შორის. მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის გამოდის, რომ იმპორტის ინტენსივობა არის 0.7-0.8 და მეტი. სამართლიანი იქნება თუ ვივარაუდებთ, რომ c_p დაახლოებით 0.6-ია, $1 - c_p$ გამოდის 0.4 და ჯამი $(1 - c_p) + m$ მარტივად არის 1-ზე მეტი. ე.ი. მცირე, ღია ეკონომიკისთვის ფისკალური მულტიპლიკატორი თითქმის ყოველთვის გამოდის 1-ზე ნაკლები.

პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ იმპორტის ინტენსივობა კლასიკურად განიმარტება როგორც იმპორტის დამოკიდებულება მთლიანი სამამულო პროდუქტის მიმართ ($m = \frac{M}{Y}$). ეს განმარტება ნიშნავს იმას, რომ იმპორტი არის ადგილობრივი

მოხმარების პროპორციული, ე.ი. $C+I+G$ -ს პროპორციული და წმინდა ექსპორტის პროპორციული, ე.ი. $X-M$ -ის პროპორციული. სახელმწიფო დანახარჯების მულტიპლიკატორის გაანგარიშება იმპორტის ინტენსივობის განსხვავებულ განმარტებას მოითხოვს (Palley, T. I., 2009).

C , I და G სამივე წარმოადგენს საბოლოო საქონელსა და მომსახურებას: მათ შორის ნაწილი არის ადგილობრივი წარმოება, ნაწილი კი იმპორტირებულია. ასევე იმ ნაწილში, რომელიც ადგილობრივად არის წარმოებული, წარმოებისას გამოყენებულია იმპორტირებული შუალედური საქონელი. $X-M$ არ არის საბოლოო საქონელი და მომსახურება, რადგან იმპორტის ნაწილი შუალედური საქონელია, რომელიც გამოიყენება ადგილობრივ წარმოებაში (ე.ი. ადგილობრივ მოხმარებაში და საექსპორტო საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად). გაუგებარია, რატომ უნდა იყოს იმპორტირებული შუალედური საქონლისა და მომსახურების რაოდენობის განმსაზღვრელი წმინდა ექსპორტი და არა მხოლოდ ექსპორტი, რომელიც საბოლოოა. ე.ი. იმპორტის ის ნაწილი, რომლის ზრდა გამოწვეულია ადგილობრივი წარმოებით, უნდა იყოს ქვეყანაში წარმოებული საბოლოო საქონლისა და მომსახურების პროპორციული (Palley, T. I., 2009) (Laski 2010).

იმპორტის ინტენსივობა უნდა განვმარტოთ შემდეგნაირად:

$m_{FG} = \frac{M}{FG}$, სადაც FG (Final Goods) არის ქვეყანაში არსებული საბოლოო საქონელი და მომსახურება, $FG = C + I + G + X$

იმის გათვალისწინებით რომ FG არის უფრო დიდი ვიდრე Y (მაშინ როდესაც იმპორტი დადებითია, $M > 0$), m კოეფიციენტი ყოველთვის უფრო დიდი იქნება, ვიდრე m_{FG} . ისევე, როგორც m , m_{FG} -ს გაანგარიშებაც მარტივად შეიძლება ეროვნული ანგარიშების სტატისტიკიდან (Pusch, T., Rannenberg. A. 2011).

ვნახოთ რისი ტოლი იქნება მულტიპლიკატორი იმპორტის ინტენსივობის ახალი განმარტების შემდეგ:

$$Y = C + I + G + X - M$$

$$M = m_{FG}(C + I + G + X)$$

$$Y = c_p Y + I + G + X - m_{FG}(c_p Y + I + G + X)$$

$$(1 - c_p(1 - m_{FG})Y = I + G + X - m_{FG}(I + G + X)$$

გავაწარმოთ G -ის მიმართ და მივიღებთ სახელმწიფო დანახარჯების ახალ მულტიპლიკატორს:

$$\frac{dY}{dG} = \frac{1 - m_{FG}}{1 - c_p(1 - m_{FG})} \quad (2)$$

ღია ქვეყნისთვის, ანუ ისეთი ქვეყნისთვის, რომლის მთლიან სამამულო პროდუქტში იმპორტისა და ექსპორტის წილი მაღალია, მულტიპლიკატორის გაანგარიშების ტრადიციული მიდგომა ამცირებს (underestimates) ფისკალური პოლიტიკის მულტიპლიკატორს, რადგან ზედმეტად აფასებს (overestimates) ადგილობრივ მოთხოვნას იმპორტზე (Laski 2010). ეს გამოწვეულია იმით, რომ იმპორტის ინტენსივობა (m , რომელიც მულტიპლიკატორში გამოიყენება) მიგვაჩნია, რომ არის GDP-ის წილი, მაშინ, როდესაც იმპორტის ნაწილი არის შუალედური საქონელი, რომელიც გამოიყენება საექსპორტო საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად და არა ადგილობრივი მოხმარებისთვის (Palley, T. I., 2014).

თუმცა იმის დაშვება, რომ იმპორტი დამოკიდებულია ექსპორტსა და ადგილობრივ მოხმარებაზე, ასევე შეიძლება აღმოჩნდეს შემზღვეველი. (Zeddies 2010)-მა და (Ludwig 2008)-იმ აჩვენეს, რომ საერთაშორისო საწარმოო ჯაჭვის განვითარებასთან ერთად, მცირდება ექსპორტში ადგილობრივი დამატებითი ღირებულების მოცულობა. ეს იმას ნიშნავს, რომ იმპორტის ინტენსივობა ექსპორტში შეიძლება მნიშვნელოვნად მაღალი იყოს, ვიდრე იმპორტის ინტენსივობა ადგილობრივ მოხმარებაში. თუკი ამ მიგნებებს გავითვალისწინებთ, შეგვიძლია ჩავწეროთ იმპორტზე მოთხოვნის უფრო ზოგადი ფორმა:

$$M = m_{cp}C + m_I I + m_G G + m_X X \quad (3)$$

სადაც, m_{cp} , m_I , m_G , და m_X აღნიშნავს იმპორტის ინტენსივობას კერძო მოხმარებაში, ინვესტიციებში, სახელმწიფო დანახარჯებსა და შესაბამისად ექსპორტში. ჩვენი კვლევისთვის ვიგულისხმებთ, რომ ადგილობრივი მოხმარების ($C+I+G$) ყველა კომპონენტს ერთნაირი იმპორტის ინტენსივობა აქვთ. ე.ი. $m_{DA} = m_{cp} = m_I = m_G \neq m_X$, სადაც m_{DA} (DA- Domestic Absorbtion) საბოლოო საქონელსა და მომსახურებაზე ადგილობრივ მოთხოვნაში იმპორტის ინტენსივობას აღნიშნავს. მოგვიანებით ამ

დაშვებას მოვხნით და ასევე დავითვლით სხვადასხვა კონკრეტული სახელმწიფო დანახარჯების მულტიპლიკატორებს. განვიხილოთ დეტალურად რის ტოლი იქნება სახელმწიფო დანახარჯების ახალი მულტიპლიკატორი.

FG გავყოთ ორ ნაწილად:

$$DA = C + I + G, \text{ ადგილობრივი მოხმარება და ექსპორტი, } X.$$

მივიღეთ, რომ $FG=DA+X$

შესაბამისად, ერთმანეთისგან უნდა გამოვყოთ იმპორტის ის ნაწილი, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ადგილობრივ მოხმარებას ემსახურება, M_{DA} , და ის ნაწილი, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ექსპორტს ემსახურება, M_X . აღვნიშნოთ იმპორტის ინტენსივობა ადგილობრივი მოხმარებისთვის m_{DA} -ით, ხოლო იმპორტის ინტენსივობა ექსპორტისთვის, m_X -ით, სადაც:

$$m_{DA} = \frac{M_{DA}}{DA} \text{ და } m_X = \frac{M_X}{X}$$

მაშინ მივიღებთ, რომ:

$$M = M_{DA} + M_X = m_{DA}A + m_X X = m_{DA}C + m_{DA}(I + G) + m_X X$$

$$M = m_{DA}c_p Y + m_{DA}(I + G) + m_X X$$

$$Y = c_p Y + (I + G) + X - m_{DA}c_p Y - m_{DA}(I + G) - m_X X$$

$$Y = \frac{(1 - m_{DA})(I + G) + (1 - m_X)X}{1 - c_p(1 - m_{DA})}$$

G-ის მიმართ გაწარმოებით მივიღებთ:

$$\frac{dY}{dG} = \frac{1 - m_{DA}}{1 - c_p(1 - m_{DA})} \quad (4)$$

ცხადია, რომ თუკი იმპორტის ინტენსივობა ექსპორტში აღემატება იმპორტის ინტენსივობას ადგილობრივ მოხმარებაში, ე.ი. $m_X > m_{DA}$, მაშინ m_{FG} , რომელიც მონაწილეობს მულტიპლიკატორის (2) ფორმულაში გადააჭარბებს m_{DA} -ს და შესაბამისად გამოდის, რომ (2) ფორმულით შეფასებული მულტიპლიკატორი იქნება უფრო ნაკლები, ვიდრე რეალური მულტიპლიკატორია.

მეოთხე ფორმულის მრიცხველიცა და მნიშვნელიც 1-ზე ნაკლებია, რაც იმას ნიშნავს, რომ შედეგად მიღებული სახელმწიფო დანახარჯების მულტიპლიკატორი შეიძლება იყოს 1-ზე ნაკლებიც და 1-ზე მეტიც. მოდიოთ, გავყოთ მეოთხე ფორმულა 2 ნაწილად:

$$\Delta Y = \frac{\Delta G}{1-c_p(1-m_{DA})} - \frac{m_{DA}\Delta G}{1-c_p(1-m_{DA})}$$

სადაც $\frac{\Delta G}{1-c_p(1-m_{DA})}$ კომპონენტი წარმოადგენს ცვლილებას ადგილობრივ მოხმარებაში, ΔDA , ხოლო კომპონენტი $\frac{m_{DA}\Delta G}{1-c_p(1-m_{DA})}$, წარმოადგენს ნაზარდს იმპორტში, $\Delta M_{DA} = m_{DA}\Delta DA$, რომელიც წარმოიშვა ადგილობრივი მოხმარების ცვლილების გამო. რადგან ინვესტიციები ეგზოგენური ცვლილებაა, გვაქვს, რომ $\Delta I=0$, შედეგად $\Delta DA = \Delta C + \Delta G$. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მესამე ფორმულიდან მივიღებთ:

$$\Delta DA = \frac{c_p(1-m_{DA})\Delta G}{1-c_p(1-m_{DA})} + \Delta G$$

$$\Delta DA = \frac{\Delta G}{1-c_p(1-m_{DA})}$$

გამოვიდა, რომ $\frac{1}{1-c_p(1-m_{DA})}$ კომპონენტი სწორედაც რომ არის სახელმწიფო დანახარჯების მულტიპლიკატორი მხოლოდ ადგილობრივი მოხმარებისთვის. მისი მნიშვნელობა ყოველთვის მეტია 1-ზე, რადგან $0 < c_p < 1$ და $0 < m_{DA} < 1$, გვაქვს, რომ $c_p(1-m_{DA}) < 1$, და $1-c_p(1-m_{DA}) < 1$. შედეგად, ადგილობრივი მოხმარების მულტიპლიკატორი გამოდის ყოველთვის 1-ზე მეტი.

მეორე მხრივ, ის მულტიპლიკატორი, რომელიც ორივე ნაწილს, ადგილობრივი მოხმარების ცვლილებას და ამ ცვლილებით გამოწვეული იმპორტის ცვლილებას, ერთმანეთთან აკავშირებს იქნება 1-ზე მეტი მაშინ და მხოლოდ მაშინ თუ $c_p > \frac{m_{DA}}{1-m_{DA}}$, ან თუ $m_{DA} < \frac{c_p}{1+c_p}$.

მაშასადამე, მულტიპლიკატორის სიდიდე დამოკიდებულია მის გაანგარიშებაში მონაწილე კოეფიციენტების ემპირიულ სიდიდეებზე. m_{FG} -ისგან განსხვავებით, m_{DA} -ის დათვლა შეუძლებელია პირდაპირ ეროვნული ანგარიშებიდან. მის გასაანგარიშებლად საჭიროა დანახარჯები-გამოშვების ცხრილები და სწორედ ამ კვლევისთვის შევადგინეთ დანახარჯები-გამოშვების ცხრილები საქართველოსთვის და დავთვალეთ რა არის საქართველოში იმპორტის ინტენსივობა ადგილობრივ მოხმარებაში და შესაბამისად, რა არის ფისკალური პოლიტიკის ეფექტი ამ მოდელის გათვალისწინებით.

2.2. დანახარჯები-გამოშვების ცხრილის აგება საქართველოსთვის

როგორც უკვე აღვნიშნეთ m_{DA} -ის დათვლა მარტივად ეროვნული ანგარიშებიდან არ არის შესაძლებელი და მის შესაფასებლად საჭიროა დანახარჯები-გამოშვების ცხრილის შედგენა საქართველოსთვის. მიმდინარე საკითხში განხილულია თუ რას წარმოადგენს დანახარჯები-გამოშვების ცხრილი, რა დაშვებებისა და მეთოდოლოგიის საფუძველზე აიგო დანახარჯები-გამოშვების ცხრილი საქართველოსთვის. დანახარჯები-გამოშვების ცხრილის შედეგად მიღებული ეკონომიკის სტრუქტურული მატრიცები გვეხმარება იმპორტით გამოწვეული ექსპორტის გაანგარიშებაში. m_{DA} -ის დასაანგარიშებლად პირველ ეტაპზე განისაზღვრება ექსპორტით გამოწვეული წარმოება ქვეყნის შიგნით. ეს კეთდება ლეონტიევის შეუღლებული მატრიცის გამრავლებით ადგილობრივი წარმოების ექსპორტზე (Laski 2010) (Leontief 1986):

$$y_x = (I - A)^{-1}x \quad (5)$$

სადაც, x არის ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ექსპორტის ვექტორი, y_x არის ექსპორტით გამოწვეული მთლიანი წარმოების ვექტორი, A არის ადგილობრივი წარმოების დანახარჯები-გამოშვების კოეფიციენტების მატრიცა (დეტალურად მოცემულია მე-8 ცხრილში), $(I - A)^{-1}$ აღნიშნავს ლეონტიევის შებრუნებულ მატრიცას (დანართი, ცხრილი 29), რომელშიც I არის ერთეულოვანი მატრიცა. ექსპორტით გამოწვეული წარმოება y_x მოცემულია დანართში, ცხრილი 30.

ფორმულა (5) მიიღება შემდეგი ტოლობიდან $x = y_x - Ay_x$, რომელიც გვიჩვენებს, რომ ადგილობრივი წარმოების ექსპორტი ტოლია ექსპორტით გამოწვეული მთლიან წარმოებას გამოკლებული ამ წარმოებისთვის საჭირო შუალედური პროდუქტის ღირებულება, რომელსაც გვაძლევს Ay_x ნამრავლი. Ay_x უნდა გამოვაკლოთ, რადგან არ მოხდეს შუალედური პროდუქტების ორმაგი ჩათვლა.

შემდეგ, ვიყენებთ დანახარჯები-გამოშვების ცხრილიდან მიღებული ეკონომიკის სტრუქტურულ მატრიცას იმპორტირებული საქონლისთვის B , რათა დავადგინოთ იმპორტის ინტენსივობა ექსპორტში, ანუ იმპორტის ვექტორი, რომელიც გამოიყენება ექსპორტით გამოწვეული პროდუქტის შესაქმნელად. იმპორტის ინტენსივობა ექსპორტში დაითვლება შემდეგნაირად:

$$\mu_x = By_x \quad (6)$$

μ_x ვექტორის ელემენტების დაჯამებით მივიღებთ M_x -ს, იმპორტირებული პროდუქტის ღირებულებას, რომელიც გამოიყენება საექსპორტო პროდუქტის წარმოებაში. ამის შემდეგ შევძლებთ დავთვალოთ ფისკალური პოლიტიკის მულტიპლიკატორი: $m_{DA} = \frac{M_{DA}}{C+I+G}$, რომელშიც $M_{DA} = M - M_x - M_{Rx}$, ხოლო M_{Rx} არის რექსპორტი, რომლის მოცულობაც ცნობილია დანახარჯები-გამოშვების (IOT – Input-Output) ცხრილიდან.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე საინტერესო იქნება თუ ფორმულას (4) შევცვლით იმისთვის, რომ დავითვალოთ ფისკალური მულტიპლიკატორი სხვადასხვა კატეგორიის სახელმწიფო დანახარჯებისთვის. ამისათვის უნდა მოვხსნათ დაშვება, რომელიც დასაწყისში გავაკეთეთ, რომ $m_{DA} = m_{cp} = m_I = m_G$ და გამოვიყენოთ სპეციფიკური (რომელიც ზოგადად არ იქნება ერთმანეთის ტოლი) იმპორტის ინტენსივობები დანახარჯების სხვადასხვა კატეგორიისთვის.


რესურსებისა და გამოყენებისა და დანახარჯები-გამოშვების ცხრილები (SUT) და მათი მნიშვნელობა

რესურსებისა და გამოყენების ცხრილები (SUT: supply-use tables) წარმოადგენენ ეროვნული ანგარიშების ცენტრალურ ნაწილს, რომლებიც თავს უყრიან მონაცემებს სხვადასხვა წყაროდან და დაბალანსების გზით, უზრუნველყოფენ ეროვნული ანგარიშების სხვადასხვა ნაწილის თავსებადობას. SUT ცხრილებს მომხმარებელთა ფართო სპექტრი იყენებს ძირითადად სტატისტიკური და ანალიტიკური მიზნებისთვის. ანალიტიკური განზომილება განსაკუთრებით გაუმჯობესებულია SUT-ების ტრანსფორმირებით, რომლებიც წარმოადგენილია დანახარჯები-გამოშვების ცხრილის (IOT: input-output table) სახით.

SUT-ი შედგება ორი ცხრილისგან:

- რესურსების ცხრილი და
- გამოყენების ცხრილი.

ცხრილი 2. რესურსებისა და გამოყენების ცხრილების შინაარსი



წყარო: (United Nations, 2018)

რესურსების ცხრილში მოცემულია ინფორმაცია, თუ როგორ წარმოიშობა ეკონომიკაში საქონელი და მომსახურება (შიდა წარმოების ან სხვა ქვეყნებიდან იმპორტის შედეგად), ხოლო გამოყენების ცხრილი გვიჩვენებს, როგორ გამოიყენება იგივე პროდუქტები ეკონომიკაში როგორც: (i) შუალედური მოხმარება, (ii) საყოფაცხოვრებო საბოლოო მოხმარება შინამეურნეობების მიერ, (iii) სახელმწიფოს საბოლოო მოხმარება, (iv) მთლიანი კაპიტალის ფორმირება და (v) ექსპორტი. ცხრილებში მოცემული მონაცემები წარმოდგენილია მიმდინარე ფასებში და მთლიანი გამოყენებისა და მთლიანი რესურსების მაჩვენებლები ერთმანეთს ემთხვევა, ასევე ერთმანეთს ემთხვევა სექტორების გამოშვების მაჩვენებლები, როგორც ეს ისრებით არის აღნიშნული მეორე ცხრილზე. ორი დამატებითი იდენტობა აკავშირებს გამოყენებისა და რესურსების ცხრილებს ერთმანეთთან:

- გამოშვება = შუალედური მოხმარება+დამატებული ღირებულება
- გამოშვება + იმპორტი = შუალედური მოხმარება+ საბოლოო მოხმარება + კაპიტალის ფორმირება + ექსპორტი

აღსანიშნავია, რომ რესურსებისა და გამოყენების ცხილრბში (SUT) მოცემული ინფორმაცია და ეს კავშირები სექტორების შუალედურ მოხმარებას, დამატებულ ღირებულებასა და საბოლოო გამოშვებას შორის საშუალებას გვაძლევს დავთვალოთ მთლიანი სამამულო პროდუქტი სამივე მიდგომით (წარმოების, შემოსავლის, დანახარჯების).

წარმოების მიდგომა:

GDP= გამოშვება (საბაზისო ფასებში) – შუალედური მოხმარება + გადასახადები - სუბსიდიები

შემოსავლის მიდგომა:

GDP= დამატებული ღირებულება + წმინდა გადასახადები

დანახარჯების მიდგომა:

GDP= საბოლოო მოხმარება + კაპიტალის ფორმირება + ექსპორტი – იმპორტი

სამივე მიდგომა ეფუძნება მონაცემების სხვადასხვა დონის დეტალსა და სხვადასხვა წყაროს. შესაბამისად, რესურსებისა და გამოყენების ცხრილები არის არა მხოლოდ GDP-ის და მისი კომპონენტების შეფასების საუკეთესო ჩარჩო, არამედ არის საკუთრივ მნიშვნელოვანი ანალიტიკური რესურსი მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის ურთიერთკავშირების დასადგენად.

რესურსებისა და გამოყენების ცხრილების (SUT) გამოყენება მოხმარებისა და დანახარჯების ცხრილების (IOT) შესადგენად, რომელიც თავის მხრივ ერთ ცხრილში აღწერს კავშირებს ქვეყანაში საქონლისა და მომსახურების საბოლოო დანახარჯებსა და შუალედურ გამოყენებას შორის. მოხმარებისა და დანახარჯების ცხრილებში (IOT) ასევე წარმოჩენილია ქვეყნის მიერ წარმოებული და იმპორტირებული საქონლისა და მომსახურების მოხმარება ცალ-ცალკე. სწორედ ამიტომ, მოხმარებისა და დანახარჯების ცხრილის (IOT) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ანალიტიკური გამოყენება გამოშვების და დასაქმების მულტიპლიკატორების დათვლაა.

რესურსებისა და გამოყენების ცხრილებისა (SUT) და მოხმარებისა და დანახარჯების ცხრილების (IOT) მნიშვნელობა დროთა განმავლობაში გაიზარდა, რადგან მათში მოცემული ინფორმაცია და ანალიტიკური რესურსი იძლევა საშუალებას ისეთი ახალი განვითარებადი საკითხების საპასუხოდ, როგორცაა გლობალიზაცია და მისი

მდგრადი განვითარების სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემები. რესურსებისა და გამოყენების ცხრილები (SUT) და მოხმარებისა და დანახარჯების ცხრილები (IOT) ასევე გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ანალიტიკური მიზნებისათვის როგორც მიკრო, ასევე მაკრო დონეზე. მაგალითების არასრული ჩამონათვალი შემდეგია:

- ეკონომიკური ანალიზი: ექსპორტის წილი, იმპორტის ინტენსივობა, კონცენტრაციის კოეფიციენტები, ფასებსა და ხარჯებს შორის კავშირები, კავშირები ენერჯის წარმოებასა, მოხმარებასა და ემისიებს შორის, და ა.შ..
- გავლენისა და პოლიტიკის ანალიზი: გადასახადების, ფასების, მინიმალური ხელფასის ცვლილების შედეგების და მგრძობელობის ანალიზი;
- სამრეწველო და სექტორული ანალიზი: კონკრეტული სექტორის ცვლილებები დროთა განმავლობაში, ასევე პროდუქტის სპეციფიური გლობალური ღირებულებათა ჯაჭვები.
- ბაზისური სტრუქტურები მოდელირებისათვის: ზოგადი წონასწორობის (CGE) მოდელები, მიწოდების (Supply-based) მოდელები და სხვა.

დანახარჯები-გამოშვების ცხრილების აგება, თეორიული ჩარჩო

ლეონტიევი (Leontief 1986) იყო პირველი ეკონომისტი, რომელმაც მატრიცების გამოყენებით აღწერა ქვეყნის ეკონომიკა და საფუძველი ჩაუყარა დანახარჯები-გამოშვების მოდელებს. იგი ცნობილია თავისი კვლევებით იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს ეკონომიკის ერთ სექტორში მომხდარი ცვლილებები სხვა სექტორებზე. მათემატიკურად დანახარჯები-გამოშვების მოდელი სწორხაზოვანია, თუმცა უამრავი მონაცემის ცოდნას მოითხოვს. ბევრი ქვეყანა შესაბამის მონაცემებს ვერ აგროვებს და შეგროვებული მონაცემების ხარისხიც განსხვავებულია მიუხედავად იმისა, რომ ერთნაირ მეთოდოლოგიას იყენებენ (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შედგენილი ეროვნული ანგარიშების სისტემა, 2008). ასევე, დანახარჯები-გამოშვების მატრიცის აგება ძალზედ შრომატევადი საქმეა. შესაბამისად, დანახარჯები-გამოშვების მატრიცა როგორც წესი, მონაცემთა შეგროვებიდან რამდენიმე წლის დაგვიანებით იგება, თუმცა ბევრი განვითარებული ქვეყანა უკვე ყოველწლიურად აგებს მას.

რესურსების ცხრილში სტრიქონებზე მოცემულია პროდუქტები (საქონელი და მომსახურება) ხოლო სვეტებში გვაქვს ა) საქმიანობის სახეები (სექტორები) რომლებიც აწარმოებენ მოცემულ პროდუქტებს, ბ) გადასახადები და სუბსიდიები პროდუქციაზე და გ) საქონლისა და მომსახურიების იმპორტი. შესაბამისად, სტრიქონის ჯამი გვამღვეს მთლიან რესურსებს მიმდინარე ფასებში.

გამოშვების ცხრილში სტრიქონებზე მოცემულია პროდუქტები, რესურსების ცხრილის მსგავსად, ხოლო სვეტებში გვაქვს ა) სექტორები, რომლებიც ამ პროდუქტებს იყენებენ შუალედურ მოხმარებად, ბ) საბოლოო მოხმარება შინამეურნეობებისა და სახელმწიფოს მიერ, გ) კაპიტალის ფორმირება და დ) ექსპორტი. შესაბამისად სტრიქონების ჯამი გვამღვეს პროდუქტების მთლიან გამოყენებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რესურსებისა და მოხმარების ცხრილები ერთმანეთთან დაკავშირებულია რამდენიმე იდენტობით. თუმცა, საშუალებას არ გვამღვეს დავადგინოთ ერთი სექტორის მიერ გამოშვებული პროდუქტის რა ნაწილი მოიხმარება მეორე სექტორში შუალედურად. ეს ინფორმაცია საჭიროა კლასიკური თეორიის მიხედვით დანახარჯები-გამოშვების მოდელის ასაგებად, რომლებიც პირდაპირი და არაპირდაპირი სექტორებს შორისი გავლენების აღმოჩენის საშუალებას იძლევა. სირთულე გამომდინარეობს იქიდან, რომ პროდუქტები და სექტორები არ კლასიფიცირდება იდენტური გზით, ანუ, ერთი ჯგუფის პროდუქტი შესაძლებელია იწარმოოს სხვადასხვა სექტორის მიერ, ასევე, ერთი ჯგუფის პროდუქტი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს შუალედურ მოხმარებად ბევრი სხვადასხვა სექტორის მიერ. მაგალითად, საქართველოს 2016 წლის გამოყენების ცხრილის მიხედვით (geostat.ge) ქვეყანაში სოფლის მეურნეობის ნადირობისა და სატყეო მეურნეობის სექტორმა შუალედურ მოხმარებად გამოიყენა 588 მილიონი ლარის ღირებულების სოფლის მეურნეობის ნადირობისა და სატყეო მეურნეობის პროდუქტი, ასევე 648 მილიონი ლარის დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქტი, 91 მილიონი ლარის ღირებულების ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის პროდუქტი და ა.შ. იმავე წლის რესურსების ცხრილის მიხედვით, 3969 მილიონი ლარის ღირებულების სოფლის მეურნეობის ნადირობისა და სატყეო მეურნეობის პროდუქტი აწარმოა სოფლის მეურნეობის ნადირობისა და სატყეო მეურნეობის სექტორმა, ასევე, 383 მილიონი

ლარის ღირებულების იმავე ჯგუფის პროდუქტი შექმნა დამამუშავებელმა მრეწველობამ.

გამოყენების ცხრილი არის პროდუქტები-სექტორებზე მატრიცა და შეუძლებელია პირდაპირ დააკავშიროს სექტორების გამოშვებული პროდუქტები, როგორც შუალედური მოხმარების პროდუქტები სხვა სექტორების გამოშვებასთან. შესაბამისად, საჭიროა პროდუქტები გადავიყვანოთ სექტორებზე (ან პირიქით – სექტორები გადავიყვანოთ პროდუქტებზე), რაც რესურსების ცხრილში მოცემული ინფორმაციის გამოყენებით ხდება. ამგვარად, IOT-ის შედგენა მათემატიკურ გარდაქმნებს, გარკვეულ დაშვებებსა და ზოგჯერ კორექტირებების გაკეთებასაც მოითხოვს.

რესურსებისა და გამოყენების ცხრილებით დანახარჯები-გამოშვების (IOT) მატრიცის აგებისთვის ოთხი განსხვავებული ტიპის დაშვება შეიძლება გამოვიყენოთ, შესაბამისად IOT მატრიცის აგების ოთხი მოდელი არსებობს:

- I. თითოეული პროდუქტი იწარმოება თავისი სპეციფიკური გზით მიუხედავად იმისა თუ რომელი სექტორი აწარმოებს, ანუ წარმოების ფუნქციები განსხვავდება პროდუქტების მიხედვით და არა სექტორების მიხედვით (Nations 2018).
- II. თითოეულ სექტორს აქვს წარმოების თავისი სპეციფიკური გზა, მიუხედავად იმისა თუ რა პროდუქტებს აწარმოებს, ანუ წარმოების ფუნქციები განსხვავდება სექტორების მიხედვით და არა პროდუქტების მიხედვით (Nations 2018).
- III. თითოეულ სექტორს აქვს თავისი სპეციფიკური გაყიდვების სტრუქტურა, მიუხედავად იმისა თუ რა პროდუქტებს ყიდის (Nations 2018).
- IV. თითოეულ პროდუქტს აქვს თავისი სპეციფიკური გაყიდვების გზა, მიუხედავად იმისა თუ რომელი სექტორი აწარმოებს (Nations 2018).

წარმოების ტექნოლოგიის შესახებ დაშვება ყველაზე უხეში დაშვებაა, რაც დამყარებულია წარმოების თეორიაზე და ემპირიული სტატისტიკური მონაცემებით

არ არის გამყარებული. გაყიდვების სტრუქტურის შესახებ დაშვება ნაკლებად უხეშია, რადგან ეყრდნობა მიმდინარე წლის გაყიდვების ფაქტობრივ მონაცემებს.

პირველი და მეორე მოდელები შედეგად იძლევა პროდუქტები-პროდუქტებზე დანახარჯები-გამოშვების (IOT) ცხრილს, ხოლო მესამე და მეოთხე მოდელები სექტორები-სექტორებზე დანახარჯები-გამოშვების (IOT) ცხრილს. ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, რომელიც საჭიროებს სექტორული კოეფიციენტების მატრიცის ანალიზს (ვრცლად იხილოთ ქვემოთ), ჩვენ ვირჩევთ მეოთხე მოდელს.

ცხრილი 3. დანახარჯები-გამოშვების (IOT) ცხრილების სახეობები

	პროდუქტები პროდუქტებზე IOT ცხრილი	სექტორები სექტორებზე IOT ცხრილი
პროდუქტის ტექნოლოგია	I მოდელი	
სექტორის ტექნოლოგია	II მოდელი	
სექტორების გაყიდვების სტრუქტურა		III მოდელი
პროდუქტების გაყიდვების სტრუქტურა		IV მოდელი

წყარო: (United Nations, 2018)

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ყოველწლიურად აქვეყნებს რესურსებისა და გამოყენების ცხრილებს² (SUT), თუმცა არა დანახარჯები-გამოშვების ცხრილს (IOT). ნაშრომში წარმოდგენილი ფისკალური მულტიპლიკატორის მოდელის შესაბამისად, საქართველოსთვის ავაგეთ დანახარჯები-გამოშვების ცხრილი ზემოთ ნახსენები მე-4 მოდელის მიხედვით. შედგენის მეთოდოლოგია, რომელსაც ამ ნაშრომში ვეყრდნობით, დეტალურად არის აღწერილი დიდი ბრიტანეთის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2018 წლის პუბლიკაციაში (Nations 2018).

დანახარჯები გამოშვების ცხრილის (IOT) შედგენა

დანახარჯები-გამოშვების ცხრილის (IOT) შედგენა საკმაოდ განსხვავებულია რესურსებისა და გამოყენების ცხრილების (SUT) შედგენისგან და უმჯობესია აღიწეროს

²საქსტატი, რესურსებისა და გამოყენების ცხრილები: http://geostat.ge/?action=page&p_id=739&lang=geo

ტრანსფორმაციის ანალიტიკური ნაბიჯებით ვიდრე თავად შედგენის პროცესი. რესურსებისა და გამოყენების ცრილების (SUT) შედგენისას თითოეული რიცხვითი მონაცემისთვის განისაზღვრება პირველწყარო, დათვლის მეთოდოლოგია და ა.შ. ხოლო დანახარჯები-გამოშვების ცხრილის (IOT) შედგენა რესურსებისა და გამოყენების ცრილების (SUT) მათემატიკური გარდაქმნებით მიიღება. აღნიშნული ქვეთავი აღწერს სწორედ ამ ანალიტიკურ ნაბიჯებს.

მე-4 ცხრილი წარმოადგენს რესურსების ცხრილის ზოგად სახეს. მასში გამოყენებული აღნიშვნების განმარტებები მატრიცებისა და ვექტორებისთვის მოცემულია მე-7 ცხრილში.

V^T წარმოადგენს რესურსების მატრიცას, რომლის i სტრიქონის და j სვეტის მნიშვნელობა გვიჩვენებს რა ღირებულების i პროდუქტს აწარმოებს j სექტორი. შესაბამისად i სტრიქონის ჯამი V^T მატრიცაში გვაძლევს თუ რა ღირებულების i პროდუქტი იწარმოება ეკონომიკაში ყველა სექტორის მიერ (x_i), ხოლო j სვეტის ჯამი V^T მატრიცაში გვაძლევს j სექტორის მთლიან გამოშვებას, ანუ რა ღირებულების პროდუქტები იწარმოება ეკონომიკაში j სექტორის მიერ (g_j). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ სექტორმა შესაძლოა აწარმოოს სხვადასხვა ჯგუფის პროდუქტი, ასევე ერთი ჯგუფის პროდუქტები შეიძლება იწარმოოს სხვადასხვა სექტორის მიერ. შესაბამისად, კონკრეტული სექტორისთვის და ანალოგიური დასახელების პროდუქტის ჯგუფის გამოშვებები ერთმანეთს არ ემთხვევა. მაგალითად, სოფლის მეურნეობის სექტორის მიერ წარმოებული პროდუქტთა ჯამური ღირებულება განსხვავებულია ეკონომიკაში ნაწარმოებ სოფლის მეურნეობის პროდუქტის ჯამური ღირებულებისგან. პროდუქტების მთლიანი სამამულო გამოშვება წარმოდგენილია x ვექტორის სახით (V^T მატრიცაში სტრიქონების ჯამი), ხოლო სექტორების გამოშვება წარმოდგენილია g^T ვექტორის სახით (V^T მატრიცაში სტრიქონების ჯამი). პროდუქტის მთლიან შიდა გამოშვებას დამატებული იმპორტი (m) გვაძლევს პროდუქტის მთლიან რესურსს ეკონომიკაში (q).

ცხრილი 4. რესურსების ცხრილი

	სექტორები	გამოშვება	იმპორტი	რესურსები
პროდუქტები	V^T	x	m	q
გამოშვება	g^T			

წყარო: (United Nations, 2018)

გამოყენების ცხრილი ზოგადი სახით წარმოდგენილია ცხრილ 5-ში და მასში გამოყენებული აღნიშვნების განმარტებები მატრიცებისა და ვექტორებისთვის მოცემულია მე-7 ცხრილში.

U_d მატრიცა გვიჩვენებს ადგილობრივი პროდუქტების შუალედურ მოხმარებას, ხოლო U_m m მატრიცა გვიჩვენებს იმპორტირებული პროდუქტების შუალედურ მოხმარებას. მაგალითად, U_d მატრიცის i სტრიქონსა და j სვეტზე მოცემული ელემენტი გვიჩვენებს, რა ღირებულების ადგილობრივი i პროდუქტს მოიხმარს j სექტორი შუალედურ პროდუქტად. U_m მატრიცის i სტრიქონსა და j სვეტზე მოცემული ელემენტი გვიჩვენებს, რა ღირებულების იმპორტირებულ i პროდუქტს მოიხმარს j სექტორი შუალედურ პროდუქტად. Y_d და Y_m ვექტორები შესაბამისად წარმოადგენენ ადგილობრივი და იმპორტირებული პროდუქტის საბოლოო მოხმარების ვექტორებს. სტრიქონების ჯამი გვამძღვრებს საბოლოო გამოყენებას, რომელიც ადგილობრივი პროდუქტებისთვის აღნიშნულია x ვექტორით (იგივეა რაც პროდუქტების მთლიანი ადგილობრივი გამოშვება რესურსების ცხრილში), ხოლო იმპორტირებული პროდუქტისთვის აღნიშნულია m ვექტორით (იგივეა, რაც იმპორტი რესურსების ცხრილში). სექტორების შუალედური მოხმარება ორივე ტიპის – ადგილობრივი და იმპორტირებული - პროდუქტის და დამატებული ღირებულება ჯამში გვამძღვრებს სექტორების მთლიან გამოშვებას g^T რაც ემთხვევა რესურსების ცხრილში მოცემულ შესაბამისი ვექტორის მნიშვნელობებს.

ცხრილი 5. გამოყენების ცხრილი

	სექტორები	საბოლოო გამოყენება	გამოყენება
ადგილობრივი პროდუქტი	U_d	Y_d	X
იმპორტირებული პროდუქტი	U_m	Y_m	M
დამატებული ღირებულება	W		W
გამომშვება	g^T	Y	

წყარო: (United Nations, 2018)

მე-4 და მე-5 ცხრილები საკმარისია იმისთვის, რომ სექტორები-სექტორებზე დანახარჯები-გამომშვების ცხრილი შევადგინოთ მეოთხე მოდელის მიხედვით. ამ მოდელის დაშვების მიხედვით თითოეულ პროდუქტს აქვს თავისი სპეციფიკური გაყიდვების სტრუქტურა, მიუხედავად იმისა თუ რომელი სექტორის ნაწარმოებია.

გაყიდვების სტრუქტურაში იგულისხმება პროდუქტის მთლიანი გამოშვების რა ნაწილი გამოიყენება როგორც შუალედური მოხმარება და რა ნაწილია საბოლოო მოხმარებისთვის. დაშვება არ არის უხეში, შესაბამისად, ეს მოდელი ყველაზე რეალისტური და ყველაზე ხშირად გამოყენებადია კვლევებში. ამ მოდელის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დადებითი მხარე იმაში მდგომარეობს რომ IOT ცხრილი მარტივად მიიღება მართკუთხა³ გამოყენებისა და რესურსების ცხრილებისგან (SUT) დამატებითი აგრეგირებების გარეშე. დანახარჯები გამოშვების ცხრილის (IOT) შესადგენად პირველ რიგში გვჭირდება ტრანსფორმაციის მატრიცის გამოყვანა შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$D = V(\hat{x})^{-1} \quad (6)$$

სადაც V არის რესურსების ცხრილში მოცემული მატრიცის ტრანსპონირებული, ხოლო $(\hat{x})^{-1}$ პროდუქტების მთლიანი გამოშვების დიაგონალური მატრიცის ინვერსიული მატრიცა. ტრანსფორმაციის D მატრიცა წარმოადგენს წილების მატრიცას, რომელიც გვიჩვენებს თითოეული სექტორის წვლილს (კონტრიბუციას) პროდუქტის წარმოებაში. ამ მატრიცის ხოლო I სტრიქონსა და J სვეტზე მოცემული ელემენტი გვიჩვენებს I სექტორის კონტრიბუციას J პროდუქტის წარმოებაში, ყველა სექტორის კონტრიბუციები ჯამში არის 1-ის ტოლი, ანუ D მატრიცაში ყოველი სვეტის ჯამი არის 1-ის ტოლი. ტრანსფორმაციის D მატრიცის საშუალებით გამოითვლება ადგილობრივი შუალედური პროდუქტი და იმპორტირებული შუალედური პროდუქტები შემდეგი ფორმულებით:

$$B_d = DU_d \quad (7)$$

$$B_m = DU_m \quad (8)$$

სადაც, B_d მატრიცის თითოეული ელემენტი გვიჩვენებს სტრიქონზე მოცემული სექტორის რა ღირებულების ადგილობრივი წარმოების პროდუქტები გამოიყენება შუალედურ მოხმარებად სვეტზე მოცემულ სექტორში. ანალოგიურად, B_m მატრიცის თითოეული ელემენტი გვიჩვენებს სტრიქონზე მოცემული სექტორის რა ღირებულების იმპორტირებული პროდუქტები გამოიყენება შუალედურ მოხმარებად სვეტზე მოცემულ სექტორში.

³ რესურსებისა და გამოყენების ცხრილი, სადაც სექტორებისა და პროდუქტების რაოდენობა განსხვავებულია.

ადგილობრივი და იმპორტირებული პროდუქტების საბოლოო გამოყენების მატრიცები იანგარიშება შემდეგი ფორმულებით:

$$F_d = DY_d \quad (9)$$

$$F_m = DY_m \quad (10)$$

სადაც, F_d მატრიცის კომპონენტები გვიჩვენებენ საბოლოო მოხმარებას სექტორების მიხედვით, როგორც ეს ზემოთ მაგალითშია მოყვანილი. მიღებული მატრიცებით იგება დანახარჯები-გამოშვების (IOT) ცხრილი (ცხრილი 6).

ცხრილი 6. დანახარჯები-გამოშვების ცხრილი

	სექტორები	საბოლოო გამოყენება	გამოშვება
ადგილობრივი სექტორები	B_d	F_d	g
იმპორტი სექტორებიდან	B_m	F_m	m
დამატებული ღირებულება	W		w
გამოშვება	g^T	y	

წყარო: (United Nations, 2018)

ცხრილი 7. 4-6 ცხრილებში გამოყენებული აღნიშვნების განმარტებები

V	წარმოების მატრიცა - ტრანსპონირებული რესურსების მატრიცა
V^T	რესურსების მატრიცა (პროდუქტები-სექტორებზე ⁴)
U	შუალედური პროდუქტების გამოყენების მატრიცა
Y	საბოლოო გამოყენების მატრიცა (პროდუქტები-კატეგორიებზე)
F	საბოლოო გამოყენების მატრიცა (სექტორები-კატეგორიებზე)
B	შუალედური პროდუქტების მატრიცა (სექტორები - სექტორებზე)
W	დამატებული ღირებულების მატრიცა (ვექტორი ჩვენს შემთხვევაში)
\hat{g}	სექტორების გამოშვების დიაგონალური მატრიცა
\hat{x}	პროდუქტების გამოშვების დიაგონალური მატრიცა
y	საბოლოო გამოყენების სტრიქონი ვექტორი
w	დამატებული ღირებულების სვეტი ვექტორი
I	ერთეულოვანი მატრიცა
x	პროდუქტების გამოშვების სვეტი ვექტორი
x^T	პროდუქტების გამოშვების სტრიქონი ვექტორი
g	სექტორების გამოშვების სვეტი ვექტორი
g^T	სექტორების გამოშვების სტრიქონი ვექტორი
m	იმპორტის სვეტი ვექტორი
d	ინდექსი აღნიშნავს ადგილობრივს
m	ინდექსი აღნიშნავს იმპორტირებულს
\wedge	აღნიშვნა ვექტორის თავზე ნიშნავს ვექტორის დიაგონალურ მატრიცად წარმოდგენას.

წყარო: (United Nations, 2018)

საქართველოსთვის დანახარჯები-გამოშვების ცხრილის ასაგებად ვიყენებთ საქსტატის მიერ გამოქვეყნებულ 2016 წლის რესურსებისა და გამოყენების ცხრილებს 15 ეკონომიკური საქმიანობის (სექტორის) და 15 პროდუქტის მიხედვით (geostat.ge). გარკვეულ მონაცემთა არ არსებობის გამო გვჭირდება შემდეგი დაშვებების გაკეთება:

⁴ მატრიცის სტრიქონებზე მოცემულია პროდუქტები, ხოლო სვეტებზე - სექტორები.

1. გამოყენების ცხრილში მოცემულ მთლიან დამატებული ღირებულებას (GVA) ვანგარიშობთ როგორც სხვაობას მთლიან გამოყენებასა და მთლიან რესურსებს შორის. შესაბამისად, გამოყენებისა და რესურსების ცხრილებში სექტორების შესაბამისი სვეტების ჯამი ერთმანეთს ემთხვევა (g^T).
2. გამოყენების ცხრილში მოცემული არაპირდაპირი ფინანსური შუამავლობის მომსახურება (FISIM) (Department 2010), რომელიც მხოლოდ საფინანსო საქმიანობის პროდუქტია, გადავანაწილეთ სექტორებზე პროპორციულად, რადგან მიგველო თანაბარი რაოდენობისა და იდენტური დასახელებების სექტორები.
3. იმისთვის, რომ საქსტატის (geostat.ge) მიერ გამოქვეყნებული გამოყენების ცხრილი ჩაიშალოს ადგილობრივი და იმპორტირებული პროდუქტების მიხედვით, რათა გვექონდეს U_d, U_m, Y_d, Y_m როგორც ეს ნაჩვენებია მე-8 ცხრილში, საჭიროა ვიცოდეთ იმპორტის წილი შემდეგ კატეგორიებში:
 - შუალედური მოხმარება
 - საბოლოო მოხმარება
 - შინამეურნეობებისა და შინამეურნეობების მომსახურე კერძო
 - არაკომერციული ორგანიზაციების მოხმარება
 - სახელმწიფო მართვის ორგანოების მოხმარება
 - მთლიანი კაპიტალის ფორმირება
 - ექსპორტი (რეექსპორტი)

თავის მხრივ თითოეული პროდუქტისთვის შუალედური მოხმარება უნდა ჩაიშალოს 15 ეკონომიკური საქმიანობის ტიპის (სექტორის) მიხედვით. ასევე, საბოლოო მოხმარება უნდა ჩაიშალოს შემდეგ კატეგორიებში: შინამეურნეობების მოხმარება, სახელმწიფოს მოხმარება და მთლიანი კაპიტალის ფორმირება.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები არ გამიჯნავს შუალედური და საბოლოო მოხმარების პროდუქტების რა ნაწილი არის იმპორტირებული და რა ნაწილი ადგილობრივი წარმოებისა, შესაბამისად, მონაცემთა სიმწირის გამო გამოყენების ცხრილის ჩაშლა ოფიციალურ წყაროებში არ მოიპოვება. სირთულის დაძლევის ერთ-ერთი გზა არის იმპორტის წილი აღნიშნულ კატეგორიებში ჩავშალოთ კატეგორიის სიდიდის პროპორციულად, რაც შესაძლებელია მომავალში დაზუსტდეს და მოდელმა

კიდევ უფრო ნაკლები ცდომილება მოგვცეს. ამ დაშვებების შედეგად, გამოყენების ცხრილი (ცხრილი 17) ჩავშალეთ, ადგილობრივი პროდუქტებისა (ცხრილი 18) და იმპორტირებული პროდუქტების (ცხრილი 19) გამოყენების ცხრილებად.

4. საქსტატის მიერ გამოქვეყნებულ რესურსების ცხრილში V^T მატრიცა მოცემულია საბაზისო ფასებში, მიმდინარე საბაზრო ფასებში გადასაყვანად სავაჭრო-სატრანსპორტო დარიცხვა, გადასახადები და სუბსიდიები პროდუქციაზე სექტორების პროპორციულად გადავანაწილეთ.

დაშვებების შედეგად გამარტივებული რესურსებისა და გამოყენების ცხრილები მოცემულია დანართში ცხრილი 16, ცხრილი 17. გამოყენების ცხრილის ჩაშლა იმპორტირებული და ადგილობრივი პროდუქტების მიხედვით მოცემულია დანართში ცხრილი 18, ცხრილი 19. მიღებული ცხრილების გამოყენებით, 6-10 ფორმულებით ჩატარებული გამოთვლებითა და მატრიცული გარდაქმნები მოცემულია დანართში, იხილეთ, 19-ე ცხრილიდან 26-ე ცხრილის ჩათვლით. მიღებული დანახარჯები-გამომშვების ცხრილი მოცემულია დანართში (ცხრილი 29), ხოლო მისი ზოგადი სახე წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

ცხრილი 8. დანახარჯები-გამომშვების ზოგადი ცხრილი

		სექტორები									გამომშვება
		1	2	3	...	n	C	I	G	E	X
სექტორები ადგილობ.	1	x_{11}	x_{12}	x_{13}	...	x_{1n}	C_1	I_1	G_1	E_1	X_1
	2	x_{21}	x_{22}	x_{23}	...	x_{2n}	C_2	I_2	G_2	E_2	X_2
	3	x_{31}	x_{32}	x_{33}	...	x_{3n}	C_3	I_3	G_3	E_3	X_3

	N	x_{n1}	x_{n2}	x_{n3}	...	x_{nn}	C_n	I_n	G_n	E_n	X_n
სექტორები იმპ.	1	m_{11}	m_{12}	m_{13}	...	m_{1n}	m_1^C	m_1^I	m_1^G	m_1^E	m_1
	2	m_{21}	m_{22}	m_{23}	...	m_{2n}	m_2^C	m_2^I	m_2^G	m_2^E	m_2
	3	m_{31}	m_{32}	m_{33}	...	m_{3n}	m_3^C	m_3^I	m_3^G	m_3^E	m_3

	N	m_{n1}	m_{n2}	m_{n3}	...	m_{nn}	m_n^C	m_n^I	m_n^G	m_n^E	m_n
დამ.ღირ.	GVA	w_1	w_2	w_3	...	w_n	w_C	w_I	w_G	w_E	W
გამომშვება	X	X_1	X_2	X_3	...	X_n	C	I	G	E	

წყარო: (United Nations, 2018)

სადაც, C არის საბოლოო მოხმარება შინამეურნეობების მიერ, G არის სახელმწიფოს საბოლოო მოხმარება, I არის კაპიტალის ფორმირება და E ექსპორტი. X_i არის i სექტორის მთლიანი გამოშვება. სექტორი იყენებს ორი ტიპის შუალედურ პროდუქტს, ერთი არის ადგილობრივი სექტორების მიერ ნაწარმოები ხოლო მეორე - იმპორტირებული. x_{ij} არის ღირებულება იმ ადგილობრივი i სექტორის ნაწარმოები პროდუქტის, რომელიც გამოიყენება შუალედურ მოხმარებად j სექტორის მიერ. სხვა სიტყვებით, j სექტორი მოიხმარს x_{ij} ღირებულების i სექტორის პროდუქტს, შესაბამისად i სექტორის მთლიანი გამოშვება მოიცემა შემდეგი ფორმულით:

$$X_i = \sum_{j=1}^n x_{ij} + C_i + I_i + G_i + E_i \quad , \quad i = 1, \dots, n \quad (11)$$

m_{ij} არის ღირებულება იმ იმპორტირებული i სექტორის პროდუქტის, რომელიც გამოიყენება შუალედურ მოხმარებად j სექტორის მიერ. w_j არის j სექტორში შექმნილი დამატებითი ღირებულება. შესაბამისად i სექტორის მთლიანი გამოშვება გადმოიცემა შემდეგი ფორმულით:

$$X_j = \sum_{i=1}^n x_{ij} + \sum_{i=1}^n m_{ij} + w_j \quad , \quad j = 1, \dots, n \quad (12)$$

იმპორტირებული პროდუქტის ნაწილი გამოიყენება შუალედურ მოხმარებად და ნაწილი საბოლოო მოხმარებად (C, I, G, E), შესაბამისად i სექტორის პროდუქტის იმპორტი მოხმარება-გამოშვების ცხრილიდან გადმოიცემა შემდეგი სახით:

$$m_i = \sum_{j=1}^n m_{ij} + m_i^C + m_i^I + m_i^G + m_i^E \quad , \quad i = 1, \dots, n \quad (13)$$

დანახარჯები-გამოშვების კოეფიციენტები

დანახარჯები-გამოშვების მატრიცის სექტორთა შორის ნაკადებით, რომლებიც x_{ij} -ით და m_{ij} -ით აღვნიშნეთ ადგილობრივი და იმპორტირებული პროდუქტისთვის შესაბამისად, ვითვლით დანახარჯები-გამოშვების კოეფიციენტებს შემდეგნაირად:

$$a_{ij} = \frac{x_{ij}}{X_j} \quad (14)$$

$$b_{ij} = \frac{m_{ij}}{X_j} \quad (15)$$

$0 \leq a_{ij} < 1$ და $0 \leq b_{ij} < 1$ კოეფიციენტები შესაბამისად გვიჩვენებენ ერთი ერთეული j სექტორის პროდუქტის საწარმოებლად i სექტორის რამდენი ადგილობრივი და რამდენი იმპორტირებული პროდუქტი გამოიყენება. A და B მატრიცებს, რომლთა კოეფიციენტებია a_{ij} და b_{ij} , ეკონომიკის სტრუქტურული მატრიცები ეწოდება.

ცხრილი 9: ეკონომიკის სტრუქტურული მატრიცები

$$A = \begin{vmatrix} a_{11} & a_{12} & a_{13} & \dots & a_{1n} \\ a_{21} & a_{22} & a_{23} & \dots & a_{2n} \\ a_{31} & a_{32} & a_{33} & \dots & a_{3n} \\ \cdot & \cdot & \cdot & \cdot & \cdot \\ a_{n1} & a_{n2} & a_{n3} & \dots & a_{nn} \end{vmatrix} \quad B = \begin{vmatrix} b_{11} & b_{12} & b_{13} & \dots & b_{1n} \\ b_{21} & b_{22} & b_{23} & \dots & b_{2n} \\ b_{31} & b_{32} & b_{33} & \dots & b_{3n} \\ \cdot & \cdot & \cdot & \cdot & \cdot \\ b_{n1} & b_{n2} & b_{n3} & \dots & b_{nn} \end{vmatrix}$$

აღნიშნული მატრიცები საქართველოს ეკონომიკისთვის მოცემულია დანართში (ცხრილი 18). განმარტების თანახმად $x_{ij} = a_{ij}X_j$ და $m_{ij} = b_{ij}X_j$, შესაბამისად თუ მე-12 ფორმულას j სექტორის მთლიანი გამოშვებისთვის გავყოფთ X_j –ზე მივიღებთ:

$$\frac{X_j}{X_j} = \sum_{i=1}^n \frac{x_{ij}}{X_j} + \sum_{i=1}^n \frac{m_{ij}}{X_j} + \frac{w_j}{X_j} \quad (16)$$

$$1 = \sum_{i=1}^n a_{ij} + \sum_{i=1}^n b_{ij} + \frac{w_j}{X_j} \quad (17)$$

მაგალითად, თუ $a_{13}=0.15$, მაშინ მესამე სექტორის გამოშვების ღირებულების 15% შექმნილია (განპირობებულია) პირველი სექტორის პროდუქტების მოხმარებით. დანახარჯები-გამოშვების კოეფიციენტი შესაძლებელია იყოს ნულის ტოლი თუ რომელიმე სექტორის ნაწარმოები პროდუქტები არ გამოიყენება სხვა სექტორის მიერ, მაგრამ აუცილებლად 1-ზე ნაკლებია ყოველთვის, რადგან თითოეულ სექტორში როგორც წესი გვაქვს პოზიტიური დამატებული ღირებულება, რაც ნიშნავს რომ მე-17 ფორმულაში ბოლო წევრი ყოველთვის პოზიტიურია.

თავი III. საქართველოს ფისკალური სექტორის მიმოხილვა

ამ თავში მიმოვიხილავთ საქართველოს ფისკალურ მონაცემებს, მათ შორის ბიუჯეტის შემოსავლებს, ხარჯებსა და დეფიციტს. ასევე ამ თავში გაანგარიშებულია ფისკალური სტაბილურობის ინდექსი საქართველოსთვის (FISCO); გაკეთებულია შედარებითი ანალიზი საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის.

3.1. საქართველოს საჯარო ფინანსებისა და ფისკალური პოლიტიკის მიმოხილვა

საქართველოს შედარებით მცირე ზომის საჯარო სექტორი აქვს, რომელიც გამოხატავს ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებულ განვითარებას. ფისკალური მდგომარეობა გასული 16 წლის განმავლობაში მდგრადობით ხასიათდება⁵, რომელზეც შეიძლება ითქვას რომ უფრო მეტად პროციკლურია, რაც კრიზისული პერიოდის დროს საბიუჯეტო დანახარჯების ზრდით გამოიხატება (ამ საკითხს დაწვრილებით 3.2. ნაწილში განვიხილავთ).

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა და საბიუჯეტო კოდექსი

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ფორმირების პრინციპები განსაზღვრულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიერ. კოდექსი არეგულირებს საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების, რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების პროექტების მომზადების, განხილვის, დამტკიცების, ბიუჯეტის შესრულების, ანგარიშგებისა და კონტროლის წესებს, აგრეთვე საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების საბიუჯეტო ურთიერთობებსა და პასუხისმგებლობას (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, mof.ge). საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების

⁵ ნაშრომის მესამის თავის პირველ ქვეთავში განხილულია ფისკალური და ეკონომიკური მონაცემები 2002-2018 წლებისთვის, ამ პერიოდის მონაცემების ვალიდურობის გამო. (ზოგიერთ შემთხვევაში დროის ინტერვალი უფრო მოკლეა კვლევის მომენტში მონაცემების არ არსებობის გამო).

კონსოლიდირებულ ბიუჯეტს წარმოადგენს. ნაერთი ბიუჯეტი არ ექვემდებარება არცერთი ხელისუფლების ორგანოს მიერ დამტკიცებას. თავის მხრივ კი:


სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, mof.ge).

ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტი წარმოადგენს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, mof.ge).

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) მიერ დამტკიცებული, ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, mof.ge).

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა შეჯამებულია მე-4 გრაფიკში.

გრაფიკი 4. საქართველოს საბიუჯეტო სისტემა



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, mof.ge

ფისკალური პოლიტიკის შესახებ თანამედროვე დებატებში და ნაშრომებში ატყალური საკითხია საბიუჯეტო დეფიციტისა და სახელმწიფო ვალის ლიმიტების დაწესების საკითხი, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ფისკალური სივრცის განვითარებასა და სტაბილურობას. საქართველოში 2011 წელს მიღებულ ორგანულ კანონი, „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“. კერძოდ, აღნიშნული ორგანული კანონის მიერ დადგენილია ეკონომიკური უფლებებისა და თავისუფლებების გარანტიები. ამ კანონით სახელმწიფო უზრუნველყოფს ეკონომიკურ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს საზოგადოების განვითარებას, ხალხის კეთილდღეობასა და ეკონომიკის გრძელვადიან, სტაბილურ ზრდას (votes.parliament.ge 2011). ეკონომიკის გრძელვადიანი და სტაბილური ზრდის საშუალებით კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად და ყოველი შემდგომი თაობისათვის სამართავად შემცირებული ფინანსური ვალდებულებების მქონე ქვეყნის გადაცემის ხელშეწყობის მიზნით დგინდება მაკროეკონომიკური პარამეტრების შემდეგი მაქსიმალური ზღვრები⁶:

გადასახდელები - ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან – არა უმეტეს 30% (საქართველოს ორგანული კანონი ეკონომიკური თავისუფლების შესახებ, მუხლი 2.1.ა)⁷;

ბალანსი - ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან – არა უმეტეს 3% (საქართველოს ორგანული კანონი ეკონომიკური თავისუფლების შესახებ, მუხლი 2.1.ბ);

სახელმწიფო ვალი - სახელმწიფო ვალის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან არა უმეტეს 60% (საქართველოს ორგანული კანონი ეკონომიკური თავისუფლების შესახებ, მუხლი 2.1.გ).

შემოსავლების წესი - ორგანული კანონი კრძალავს ნებისმიერი გადასახადის განაკვეთის გაზრდას, გარდა აქციზისა (აღნიშნული შესაძლებელია მხოლოდ რეფერენდუმის გზით) (საქართველოს ორგანული კანონი ეკონომიკური თავისუფლების შესახებ, მუხლი 1).

⁶<https://matsne.gov.ge/ka/document/download/1405264/2/ge/pdf>

⁷ <http://www.parliament.ge/uploads/other/57/57703.pdf>

საქართველოს ფისკალური მონაცემები განხილული და შეჯამებულია აღნიშნულ კანონთან მიმართებაში.

საქართველო სრულიად იყო ინტეგრირებული საბჭოთა კავშირში 1991 წლამდე. საბჭოთა კავშირში ცენტრალური დაგეგმვის სისტემა სახელმწიფოს ანიჭებდა მონოპოლიურ როლს საქართველოს ეკონომიკაზე. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველომ პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების ტრანსფორმაცია დაიწყო, რაც განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა, რადგან ქვეყანაში უნდა შექმნილიყო დამოუკიდებელი საჯარო ადმინისტრირება და ინსტიტუტები, ასევე უნდა ჩამოყალიბებულიყო ეროვნული სუვერენიტეტი. აღნიშნული გარდაქმნის პერიოდში ქვეყნის ეკონომიკამ განიცადა მძიმე ეკონომიკური კრიზისი და ინფლაციამ ექსტრემალურ დონეს, 70%-ს მიაღწია (ინფლაცია 1993-1994 წლებში 60-70%- მდე გაიზარდა, (geostat.ge)). გარდაქმნის პერიოდში მნიშვნელოვანი იყო ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკის ხელშემწყობი გადაწყვეტილებების მიღება და სახელმწიფოს როლის სწრაფად შემცირება. თუმცა, მნიშვნელოვანი გარდაქმნები და სწრაფი ცვლილებები 2003 წელს, ვარდების რევოლუციის შემდეგ დაიწყო.


საქართველო, 2003 წლიდან ატარებს ბაზარზე ორიენტირებულ რეფორმებს. ატარებს და ამ პროცესში უამრავ გამოწვევას წააწყდა, მათ შორისაა გარე შოკები, რომელიც მნიშვნელოვნად აისახება ბიზნეს საქმიანობაზე, გაცვლით კურსზე, ფისკალურ მდგრადობასა და სხვა მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

როგორც უკვე აღინიშნა, სახელმწიფო სექტორი საქართველოში შედარებით მცირე ზომისაა. სახელმწიფო ზომის საზომად მიიჩნევა სახელმწიფო დანახარჯების GDP-სთან თანაფარდობა. საქართველოს სახელმწიფო ზომის ბატლისპირეთის ქვეყნებთან შედარება მოცემულია მე-5 გრაფიკზე⁸. გრაფიკიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს სახელმწიფო ზომა მნიშვნელოვნად უფრო მცირეა ვიდრე ბალტიისპირეთში,

⁸ საქართველოსთვის სახელმწიფო დანახარჯების გასაზომად გამოყენებულია ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები, ხოლო ლიეტუვისთვის ლატვიისა და ესტონეთისთვის, სახელმწიფო დანახარჯები მოიცავს ყველა მხარჯველი ინსტიტუტის დანახარჯებს მმართველობის ყველა დონეზე (Staeher 2016).

რომელთანაც საქართველოს შედარება შესაძლებელია იმის გამო, რომ ისინიც საქართველოს მსგავსად, საბჭოთა კავშირის წევრი ქვეყნები იყვნენ. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, სახელმწიფო დანახარჯების GDP-სთან თანაფარდობის მაჩვენებელი 50%-სა და 60%-ს შორის მერყეობს 2002 წლიდან მოყოლებული, მაშინ როდესაც, 2017 წლისთვის სახელმწიფოს ზომა საქართველოში 25.5% იყო.

გრაფიკი 5. სახელმწიფოს დანახარჯები, წილი GDP-ში (%)




წყარო: მსოფლიო ბანკი, OECD, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, mof.ge

უნდა აღნიშნოს, რომ სახელმწიფო დანახარჯების GDP-სთან თანაფარდობა უფრო დიდია მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე შედარებით დაბალია. საქართველოს სახელმწიფო დანახარჯების დაბალი დონე ნაწილობრივ შეიძლება შემოსავლების სიმწირესაც მივაწეროთ. გრაფიკი 6 გვიჩვენებს, სახელმწიფო დანახარჯებისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და საქართველოს შემოსავლების დონეს 2017 წლისთვის (ზოგადი სურათი იგივე რჩება, თუკი სხვა წლებსაც განვიხილავთ). ევროკავშირის ქვეყნებს შორის, შედარებით დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებისთვის სახელმწიფო დანახარჯების წილი წრფივი რეგრესიის ქვემოთაა, რაც შეიძლება განვმარტოთ შემდეგნაირად: მოსახლეობის ერთ სულ GDP-ის უფრო მაღალი დონის შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ სახელმწიფოს ზომაც გაცილებით დიდი ყოფილიყო (მაგალითად ლიეტუვაში, ლატვიასა და ესტონეთში). გამონაკლისს წარმოადგენს ირლანდია, რომელიც ერთდროულად ინარჩუნებს მაღალ შემოსავლებსა და სახელმწიფოს მცირე

ზომას. საქართველოში 2017 წელს PPP საერთაშორისო დოლარით გამოზომილი მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე 9702 დოლარს შეადგენდა, რაც მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ესტონეთის (30081\$), ლიეტუვისა (29419\$) და ლატვიის (25180\$) საშუალო შემოსავლების მაჩვენებლებს (ec.europa.eu/eurostat, OECD.org, geostat.ge). შესაბამისად დაბალია სახელმწიფო ზომაც, რომელიც 2017 წელს 25.5% (საერთო ბიუჯეტის თანაფარდობა GDP-სთან), ხოლო იგივე მაჩვენებლები ესტონეთში, ლიეტუვა და ლატვიაში შესაბამისად 40.2%, 33.1% და 37.8% იყო. ამ დაკვირვებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქართველოს სახელმწიფოს ზომა შემოსავლების ზრდასთან ერთად გაიზრდება მომავალში.

გრაფიკი 6. სახელმწიფო დანახარჯების პროცენტული თანაფარდობა GDP-სთან და GDP მოსახლეობის ერთ სულზე



წყარო: EUROSTAT, OECD, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, mof.ge


ფისკალური სისტემის მიმოხილვისას, მნიშვნელოვანია დეფიციტის მაჩვენებლის შესწავლა⁹. მე-7 გრაფიკიდან ჩანს, რომ GFSM 2001 წლის მეთოდოლოგიით

⁹ დეფიციტის მაჩვენებელი საქართველოში გაიანგარიშება საერთაშორისო სავალუტო ფონდის საჯარო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს 2001 წლის (GFSM 2001) ვარიანტის მიხედვით. თუმცა, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან არსებული პროგრამის ფარგლებში, ფისკალური ჩარჩოს ინდიკატორად გამოიყენება მოდიფიცირებული დეფიციტი და ითვალისწინებს ფინანსური აქტივების ცვლილებასაც (მსხვილი საინვესტიციო პროექტების დიდი ნაწილი სახელმწიფო საწარმოების მიერ ხორციელდება და შესაბამისი სახსრები ასახულია „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში).

განგარიშებული მთლიანი სალდო, რომელსაც ამავდროულად ბიუჯეტის დეფიციტსაც (პროფიციტს) ვუწოდებთ, უარყოფითია 2008 წლიდან მოყოლებული. მთლიანი სალდოს მინიმალური მაჩვენებელი 2009 წელს -1174 მილიონი ლარი დაფიქსირდა, რაც მაშინდელი კრიზისისა და ომის შემდგომი ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკითაა გამოწვეული. ეკონომიკის დასტაბილურებასთან ერთად, ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელი გაუმჯობესდა, თუმცა კვლავ უარყოფით დონეზე რჩება და 2018 წელს -323 მილიონი ლარი შეადგინა (mof.ge).

მეორე მხრივ უნდა აღინიშნოს, ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდო, რომელიც გვიჩვენებს სხვაობას შემოსავლებსა და ხარჯებს შორის, არაფინანსური აქციების ცვლილებების გათვალისწინების გარეშე, 2003 წლიდან მოყოლებული მზარდი ტენდენციით ხასიათდება. საოპერაციო სალდომ უარყოფით მაჩვენებელს 2009 წელს მიაღწია, რომელიც ერთდროულად შემოსავლების შემცირებითა და ხარჯების ზრდით იყო გამოწვეული. 2010 წლიდან მოყოლებული, საოპერაციო სალდო დადებითია და პიკს 2018 წელს მიაღწია (2223 მილიონი ლარი) (mof.ge).

გრაფიკი 7. ბიუჯეტის მთლიანი და საოპერაციო სალდო



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, mof.ge

საქართველოს ბიუჯეტის დეფიციტი აკმაყოფილებს ორგანული კანონით დადგენილ 3.0%-იან ზღვარს. 2004-2007 წლებში, ბიუჯეტის დეფიციტის GDP-სთან თანაფარდობა დადებითი იყო და ყველაზე მაღალ მაჩვენებელს 2006 წელს მიაღწია, როდესაც აღნიშნული მაჩვენებელი 2,66% გახდა (გრაფიკი 8). ეკონომიკური თავისუფლების აქტით

განსაზღვრული 3%-იანი მაჩვენებელი დაირღვა 2009 და 2010 წლებში, როდესაც დეფიციტის GDP-სთან თანაფარდობა შესაბამისად -6,54% და -4,5% გახდა. 2011 წლიდან მოყოლებული, დეფიციტის აღნიშნული მაჩვენებელი მუდმივად -2%-ზე ნაკლებია და 2018 წელს -0,8% შეადგინა.


გრაფიკი 8. დეფიციტის (პროფიციტის) წილი GDP-ში (%) (მთლიანი სალდო)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, mof.ge

ბიუჯეტის ხარჯები და გადასახდებები. ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები ნომინალურად იზრდებოდა ყოველ წელს, გარდა 2009 წლისა (გრაფიკი 9). 2018 წელს ნაერთი ბიუჯეტის მთლიანმა ხარჯებმა 9599 მილიონი ლარი შეადგინა, რაც იმავე წლის GDP-ს 23.4%-ია. ლოგიკურია, რომ ეკონომიკური ზრდის შემცირების ან შენელების ეპიზოდებში, მაშინ როდესაც ბიუჯეტის ხარჯების ტემპი მუდმივად იზრდება (გარდა 2009 წლისა), ხარჯების წილი მთლიან სამამულო პროდუქტში ეკონომიკური ზრდის ტემპის საპირისპიროდ მოძრაობს.


გრაფიკი 9. ბიუჯეტის ხარჯები და ეკონომიკური ზრდა



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, mof.ge

მარტივი დაკვირვებით ჩანს, რომ ხარჯების ცვლილება ნაკლებადაა დაკავშირებული ეკონომიკური ტემპის ცვლილებასთან და შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხარჯების ზრდის ტემპი დაკავშირებულია ერთი მხრივ მიმდინარე წელს შემოსავლების ოდენობის მობილიზებასთან და მეორე მხრივ იმ საჭიროებებთან, რომელიც უდგას მხარჯავ დაწესებულებებს მიმდინარე პერიოდში.

გრაფიკი 10. ბიუჯეტის ხარჯების ზრდისა და GDP-ს ზრდის ტემპები (%)




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, mof.ge

სახელმწიფო და ნაერთი ბიუჯეტების ხარჯებს შორის გაპი თითქმის არ არსებობს 2008 წლიდან მოყოლებული. ცენტრალური ხელისუფლების ხარჯები უტოლდება ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებს და ეს ძირითადად განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ადგილობრივი თვითმმართველობების შემოსავლების ძირითად წყაროს და შესაბამისად, ხარჯების ძირითად ნაწილსაც, სწორედ ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი გამოთანაბრებითი ტრანსფერი წარმოადგენს.

საშუალოდ, რეგიონების შემოსავლების 70%-ს სწორედ ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები წარმოადგენს (EPRC 2015). შესაბამისად, განსხვავება ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებსა და ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯებს შორის ძალიან მცირეა (გრაფიკი 11).

გრაფიკი 11. ნაერთი და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები, წილი GDP-ში




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, mof.ge

ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების ძირითად წყაროებს წარმოადგენს: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება, ძირითადი კაპიტალის მოხმარება, პროცენტი, სუბსიდიები, გრანტები, სოციალური უზრუნველყოფა და სხვა ხარჯები (გრაფიკი 12).

2017 წლის მონაცემებით ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების ყველაზე დიდ ნაწილს სოციალური უზრუნველყოფა შეადგენს (35%), შემდეგ მოდის შრომის ანაზღაურება (17%), საქონელი და მომსახურება (16%) და სხვები.

გრაფიკი 12. ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების განაწილება, 2017




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, mof.ge

თუკი დროის მიხედვით შევხედავთ, ვნახავთ, რომ სოციალური უზრუნველყოფა ხარჯების ყველაზე დიდი ნაწილია 2009 წლიდან მოყოლებული (2009 წელს - 28.6%) და

მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნება 2013 წლიდან (34%), როდესაც საყოველთაო ჯანდაცვის სისტემა დაინერგა.

გრაფიკი 13. ბიუჯეტის ხარჯების განაწილება




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, mof.ge

საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის ფუნქციონალურ კლასიფიკაციას თუ შევხედავთ¹⁰ (2017 წ.), ვნახავთ, რომ ყველაზე დიდი ნაწილი სოციალურ დაცვას უჭირავს (24%), ხოლო თუ სოციალურ დაცვას ჯანმრთელობის დაცვასთან დავაჯგუფებთ, გამოვა, რომ სოციალურმა ტრანსფერებმა ჯამში მთლიანი ბიუჯეტის ხარჯების 34% შეადგინა. მეორე ყველაზე მსხვილი ფუნქციონალური კატეგორია ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებში არის ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც მოიცავს ხარჯებს, რომელიც აერთიანებს სათბობი და ენერგეტიკის საქმიანობასთან, გადამამუშავებელ მრეწველობასთან, ტრანსპორტთან და სხვა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს. განათლებაზე გაწეული ხარჯები კი მთლიანი დანახარჯების 13 % შეადგენს.

¹⁰ ფუნქციონალური კლასიფიკაციის სისტემა გათვალისწინებულია სახელმწიფო ხარჯების საჩვენებლად, რომლებიც მიიმართება ფართო ეროვნულ მიზნების დასაფინანსებლად. ფუნქციონალური კლასიფიკაციის სისტემა მთავრობას საშუალებას აძლევს დაგეგმოს, გაანაწილოს და გაანალიზოს ხარჯები ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით (მაგ., განათლება, ჯანდაცვა და ა.შ.) (mof.ge).

გრაფიკი 14. ხარჯების განაწილება ფუნქციონალურ ჭრილში, 2017




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, mof.ge

სხვადასხვა ხარჯის წვლილი ნაერთ ბიუჯეტში დროთა განმავლობაში სხვადასხვა დონის პრიორიტეტს წარმოადგენდა. სოციალური დანახარჯების მნიშვნელოვნად ზრდა დაიწყო 2009 წლიდან, რომელიც მაშინ გამოწვეული იყოს ომის შემდგომი საჭიროებებიდან, ხოლო 2012 წლიდან სოციალური დანახარჯები დაჩინაურდა მას შემდეგ, რაც მთავრობამ რამდენიმე მნიშვნელოვანი სოციალური რეფორმა გაატარა (მნიშვნელოვნად გაიზარდა ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებიც). საერთო დანიშნულების სახელმწიფო ხარჯებისა და თავდაცვის ხარჯების მაქსიმუმი დაფიქსირდა 2008-2009 წლებში და მას შემდეგ აღნიშნული ხარჯები მონაცვლეობენ მეოთხე და მეექვსე ადგილებს შორის.

აღსანიშნავია განათლებაზე გაწეული ხარჯების მდგრადი ზრდა და თუკი ამ სექტორში არსებულ გამოწვევებს გავითვალისწინებთ, განათლების სექტორის რეფორმასა და მასთან დაკავშირებული ხარჯების ზრდას უნდა მოველოდეთ.


გრაფიკი 15. ბიუჯეტის ხარჯები ფუნქციონალურ ჭრილში



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, mof.ge

ბიუჯეტის შემოსავლები. საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის ნომინალური შემოსავლები მუდმივად იზრდება ბოლო 15 წლის განმავლობაში (გარდა 2009 წლისა) და 2018 წელს 11822 მილიონი ლარი შეადგინა, რაც მთლიანი სამამულო პროდუქტის 28.8%-ია. შემოსავლების წილი GDP-ში სტაბილურად 27 და 29 პროცენტს შორის მერყეობს 2010 წლიდან მოყოლებული. შემოსავლების მობილიზების მაჩვენებელი სწრაფად გაიზარდა საგადასახადო კოდექსის ცვლილებასთან ერთად (2004 წ.), როდესაც მოხდა გადასახადების უმრავლესობის გაუქმება და ადმინისტრირების გამარტივება. ჯერ კიდევ 2003 წელს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების წილი GDP-ში 15,7% იყო და 2007 წლისთვის 29,9%-მდე გაიზარდა.


გრაფიკი 16. ბიუჯეტის შემოსავლები და ეკონომიკური ზრდა



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, mof.ge

შემოსავლების უდიდეს ნაწილს (2017 წელს 89%) საგადასახადო შემოსავლები შეადგენს, ხოლო გრანტები და სხვა შემოსავლები დარჩენილი 13%-ია. უფრო მეტიც, საგადასახადო სისტემის რეფორმირების შემდეგ, ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას მთლიანად განაპირობებდა საგადასახადო შემოსავლები. გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების წილი GDP-ში 2017 წელს 25.5% იყო.


გრაფიკი 17. ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, mof.ge

საქართველოში სულ მოქმედებს 6 გადასახადი. აქედან 2 არის შემოსავლებზე დაფუძნებული გადასახადი (საშემოსავლო და მოგების გადასახადები), 3 არის გაყიდვაზე დაფუძნებული გადასახადი (დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ), აქციზი და იმპორტის გადასახადი), ხოლო ერთი არის ქონებაზე დაფუძნებული გადასახადი (საქართველოს საგადასახადო კოდექსი). 2017 წლის მონაცემებით, ნაერთ ბიუჯეტში მოკრებილი გადასახადებიდან 43%-ს წარმოადგენდა დღგ, საშემოსავლო გადასახადები არის მეორე ადგილზე 30%-ით და შემდეგ მოდის აქციზი 15%. მოგების გადასახადიდან მიღებულმა შემოსავალმა მთლიანი საგადასახადო შემოსავლების 8% შეადგინა.

გრაფიკი 18. ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების განაწილება და საგადასახადო შემოსავლების განაწილება ნაერთ ბიუჯეტში, 2017




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, mof.ge

სახელმწიფო შემოსავლები მთლიანად მიუყვება ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების ტრენდს. ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებს, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისგან, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების შემოსავლები განასხვავებს. როგორ ზემოთ განვიხილეთ, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთარ საბიუჯეტო შემოსავლებს განეკუთვნება ადგილობრივი გადასახადები (ქონების გადასახადი) და მოსაკრებლები, გათანაბრებითი ტრანსფერი და სხვა შემოსულობები. ხოლო არასაკუთარ შემოსავლებს განეკუთვნება სპეციალური და მიზნობრივი ტრანსფერები და სხვა შემოსულობები.

ქონების განაკვეთის მცირე ზომა და იმ პოპულაციის სიმცირე, რომელსაც ეხება ქონების გადახდის გადახდა, გვაძლევს ძალიან მცირე განსხვავებას სახელმწიფო და ნაერთი ბიუჯეტების შემოსავლებს შორის.

გრაფიკი 19. ნაერთი და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები, წილი GDP-ში (%)




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, mof.ge

სახელმწიფო ვალი. სახელმწიფო ვალის ფორმირება ხდება საგარეო და საშინაო წყაროებიდან მოზიდული სესხების ხარჯზე, რაც მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტისა და მნიშვნელოვანი (პრიორიტეტული) ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორგანული კანონის მიხედვით სახელმწიფო ვალის თანაფარდობა მთლიან სამამულო პროდუქტთან არ უნდა აღემატებოდეს 60%-ს. აღნიშნული მაჩვენებელი 2017 წელს 42,2% იყო და თუ გასულ წლებსაც მიმოვიხილავთ, შეიძლება ითქვას, სახელმწიფოს ვალი მდგრადია. მთავრობის საგარეო ვალის მდგრადობა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგის ერთ-ერთი მთავარი ძლიერი მხარეა, რაც აღიარებულია სარეიტინგო სააგენტოების „Standard & Poor’s-ის“, „Fitch-ის“ და „Moody’s-ის“ მიერ (www.standardandpoors.com, www.fitchratings.com, www.moody.com).


გრაფიკი 20. სახელმწიფო ვალი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, mof.ge

სახელმწიფო ვალის ზღვრული მოცულობა (აკუმულირებული წლების განმავლობაში) 2004 წლიდან 2008 წლამდე კლების ტენდენციით ხასიათდება (ეკონომიკური აღმავლობის პერიოდი), 2008 წლიდან კი ზრდის ტენდენციით (რუსული აგრესიის შემდგომი პერიოდი). 2008, 2009 და 2010 წლებში ვალები წინა წლებთან შედარებით საშუალოდ 1.2-ჯერ იზრდება. 2011 წლიდან (ეკონომიკური მდგომარეობის კვლავ გაუმჯობესების პერიოდი) კი სახელმწიფო ვალის ზრდის ტემპი კლებულობს. 2013 წლიდან ვალდებულებების ცვლილება ისევ მზარდია (ვალდებულებების ზრდამ 2017 წელს 1118 მილიონი ლარი შეადგინა).

გრაფიკი 21. ვალდებულებების ცვლილება




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, mof.ge

ყურადსაღებია ვალდებულებების მკვეთრი ზრდა 2008-2010 წლებში. ომისშემდგომი საჭიროებებიდან გამომდინარე, 2008 წლის ოქტომბერში ქ. ბრიუსელში საქართველოს მხარდასაჭერად გაიმართა, რაც დეტალურად ზემოთ განვიხილეთ.

შიდა ვალის აღებიდან მიღებული სახსრები ძირითადად ბიუჯეტის დასაფინანსებლად გამოიყენება, მაშინ როდესაც საგარეო ვალიდან მიღებულ სახსრებს, ის ძირითადად კონკრეტული პროექტების დასაფინანსებლად არის განკუთვნილი. 2013 წლამდე საშინაო ვალის ნომინალური ზღვრული ცვლილება ნულთან ახლოს იყო. 2014 წელს საშინაო ვალდებულებების ცვლილებამ 430 მილიონი ლარი შეადგინა. 2014 წელს სახელმწიფოს შიდა ვალის ზრდა კონკრეტულ პროგრამას ემსახურებოდა, რომლის მიზანი ე.წ. ლარის დაგრძელება იყო. შიდა ვალი კომერციული ბანკებიდან სესხების (ფასიანი ქაღალდების გამოშვების მეშვეობით) გზით გაიზარდა, საიდანაც 200 მლნ ლარს უკან კვლავ ბანკებს დაუბრუნდათ სესხების სახით. ამ პროგრამის მიზანი ეკონომიკის ლარის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობა იყო.

გრაფიკი 22. სახელმწიფო ვალის GDP-სთან თანაფარდობა; საშინაო და საგარეო სახელმწიფო ვალი, 2017




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, mof.ge

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვალების უმეტესობას საგარეო გრძელვადიანი, საშეღავათო სარგებლის განაკვეთს მქონე ვალები წარმოადგენს. ჯამში ვალების მომსახურებამ 2017

წელს 480,7 მილიონი ლარი შეადგინა, რაც ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების დაახლოებით 5%-ია.

გრაფიკი 23. პროცენტის წილი ნაერთი ბიუჯეტის მთლიან ხარჯებში



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, mof.ge

3.2. ფისკალური პოლიტიკის მდგრადობა გამოშვების მერყეობის მიმართ (FISCO კოეფიციენტი)

ნაშრომის ამ ნაწილში განვიხილავთ რამდენად ახდენს ფისკალური სტაბილურობა მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე გავლენას და ნიშნავს თუ არა სტაბილურობა ძლიერ ეკონომიკურ ზრდას საქართველოში. პასუხი ამ კითხვებზე ცალსახად დადებითია, რასაც ამყარებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის „ფისკალური მონიტორი“ (Fiscal Monitor, Capitalizing on Good Times, 2018).

ამ თავში გაანგარიშებულია საქართველოს ფისკალური სტაბილურობის ინდიკატორის საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ 2015 წელს შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე. გაკეთებულია ქვეყანათაშორისი შედარებითი ანალიზი და დადგენილია, რომ საქართველოს ფისკალური სტაბილურობის დონე დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნისთვის, თუმცა დაბალია განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით.

ფისკალური სტაბილიზაციის კოეფიციენტი და ანალიზი საქართველოსთვის

იმისათვის, რომ გავზომოთ ფისკალური პოლიტიკის წვლილი ეკონომიკის სტაბილიზაციაში, გამოვიყენებთ ფისკალური სტაბილიზაციის კოეფიციენტს (Fiscal Stabilization Coefficient- FISCO). ფისკალური სტაბილიზაციის კოეფიციენტი (FISCO)

ზომავს, თუ როგორ იცვლება ბიუჯეტის ბალანსი ეკონომიკის გამოშვების მერყეობის დროს. რაც უფრო მაღალია FISCO, მით უფრო წრიულობისკენაა (ციკლურობისკენაა) მიდრეკილი ფისკალური პოლიტიკა - მთავრობა ზრდის ფისკალურ ბუფერს სტაბილური ეკონომიკური მდგომარეობის დროს და იყენებს მას რეცესიის შემთხვევაში. თუ FISCO კოეფიციენტი 1-ის ტოლია, გვიჩვენებს, რომ გამოშვების 1 პროცენტული პუნქტით კლებისას/ზრდისას, ბიუჯეტის საერთო სალდო GDP-ს 1 პროცენტული პუნქტით გაუარესდება/გაუმჯობესდება. იმის გაგება თუ რა კავშირი არსებობს ბიუჯეტის ბალანსსა და პოტენციურ და რეალურ გამოშვებას შორის, პოლიტიკის გამტარებლებს დაეხმარება გაიგონ თუ რა ზეგავლენას ახდენს მათი გადაწყვეტილებები გამოშვების სტაბილურობაზე სხვა ქვეყნების მაგალითთან შედარებით.

მოკლევადიან პერიოდში გამოშვების დასტაბილურების მიზნით, სახელმწიფოს შეუძლია გავლენა იქონიოს ეკონომიკურ აქტივობასა და დასაქმებაზე ერთობლივი მოთხოვნის შეცვლის გზით. ამის გაკეთება შესაძლებელია პირდაპირი გზით, როგორცაა სახელმწიფო ინვესტიციებისა და მოხმარების ცვლილება ან არაპირდაპირ - გადასახადებისა და ტრანსფერების ცვლილებით. ფისკალური პოლიტიკის გავლენა გამოშვებაზე უფრო ძლიერია, როდესაც მას თან ახლავს მონეტარული პოლიტიკის მხარდამჭერი აქტივობები.

ფისკალური პოლიტიკის ერთობლივ მოთხოვნაზე გავლენის დასახასიათებლად საჭირო ინფორმაციას სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდოს ცვლილება იძლევა (O. J. Blanchard, Suggestions for a New Set of Fiscal Indicators 1993). ბიუჯეტის სალდო კარგად აღწერს თუ რა სხვაობაა კერძო სექტორიდან გამოთხოვილ რესურსებსა (ძირითადად გადასახადების სახით) და ერთობლივ მოთხოვნაში სახელმწიფოს კონტრიბუციას შორის მოცემულ წელს. ბიუჯეტის სალდოს შემცირება ასახავს ფისკალური წვლილის ზრდას ერთობლივ მოთხოვნაში.

დასტაბილურების მიზნით ფისკალური სალდო უნდა გაიზარდოს, როდესაც გამოშვება გაიზრდება და უნდა შემცირდეს, როდესაც გამოშვება შემცირდება. ამ გზით, ფისკალური პოლიტიკა ქმნის დამატებით მოთხოვნას, როდესაც გამოშვება სუსტია და ამცირებს

ერთობლივ მოთხოვნას, როდესაც ეკონომიკა ბუმშია. ამიტომაც ფისკალური პოლიტიკის სტაბილიზატორის/დესტაბილიზატორის საზომად გამოდგება შემდეგი სიდიდე: მთლიანი საბიუჯეტო სალდოს საშუალო ცვლილება (მთლიანი სამამულო პროდუქტის წილი), რომელიც გამოწვეულია გამოშვების 1 პროცენტული პუნქტის ცვლილებით. შედეგად მიღებული „სტაბილიზაციის ინდექსი“ იქნება დადებითი როდესაც საშუალოდ ფისკალური პოლიტიკის ცვალებადობა თამაშობს მასტაბილურებელ როლს, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში - უარყოფითი (Fiscal Monitor, 2015).

მსგავსად გაზომილი „სტაბილიზაციის ინდექსი“ რამდენიმე დადებით თვისება ახასიათებს. პირველ რიგში, ის საშუალებას იძლევა რაოდენობრივად გაიზომოს პოლიტიკის განხორციელებასა და ეკონომიკური აქტივობის ცვლილებებს შორის დამოკიდებულება. რამდენადაც მოცემულ პერიოდში ეკონომიკური აქტივობის ცვლილებაში უკვე ასახულია ფისკალური პოლიტიკის გავლენის ის ნაწილი, რომელიც გამოიწვია დაუკვირვებელმა გამოშვების შოკებმა, სავარაუდოა, რომ ფისკალური ეფექტი გაცილებით დიდია, ვიდრე ასე დათვლილი კოეფიციენტი გვიჩვენებს. მეორე მხრივ, სტაბილიზაციის ინდექსს შეუძლია გადაჭარბებით შეაფასოს ფისკალური პოლიტიკის საპასუხო ზომები, რადგან ფისკალური პოლიტიკის (და შესაბამისად სალდოს) ცვლილება ასევე მოიცავს ბიუჯეტზე იმ ეკონომიკური და ფინანსური ცვლადების გავლენებს, რომელიც თავის მხრივ იცვლებიან გამოშვების საპასუხოდ. ასეთი ცვლადებია მაგალითად აქტივების ფასები და სარგებლის განაკვეთი (Bénétrix, A. S., Lane P. R. 2013).

მიუხედავად იმისა, რომ ასე გაზომილი სტაბილიზაციის კოეფიციენტს შეიძლება ბევრი ნაკლი მოვუძებნოთ, ის მაინც კარგად ზომავს ფისკალური პოლიტიკის საერთო წვლილს გამოშვებაში. ამ კოეფიციენტში გათვალისწინებულია ის გარემოება, რომ შემოსავლებისა და დანახარჯების დიდი ნაწილი რეაგირებს ეკონომიკურ მდგომარეობაზე იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბიუჯეტის დებულებები და პროექტები სულაც არ იყოს სტაბილიზაციის მიზნით დაგეგმილი. საბიუჯეტო სალდოსა და გამოშვების ზრდას შორის კავშირის მონიტორინგი გადაწყვეტილებების მიმღებებს საშუალებას აძლევს დააკვირდნენ თუ როგორ გავლენას ახდენს მათი ქმედება გამოშვების სტაბილურობაზე,

მათ შორის დააკვირდნენ ამ მაჩვენებელს სხვა ქვეყნებთან მიმართებით. გადაწვეტილებების მიმღებებს ასევე დაეხმარებათ ამ მაჩვენებლის სამიზნე დონის დაწესება, რათა წინასწარ იქნეს გააზრებული გამოშვების სტაბილიზაცია ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვისას.

უნდა აღინიშნოს, მიუხედავად იმისა, რომ გამოშვების სტაბილიზაციას ბევრი სარგებელი მოაქვს ეკონომიკისთვის, ყოველთვის არ არის აუცილებელი, რომ სტაბილიზაცია იყოს პრიორიტეტი ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვისას. ზოგიერთ ქვეყანაში ფისკალური პოლიტიკის უპირატესი მიზანი შეიძლება გახდეს მდგრადი საჯარო ფინანსები, რომლის მიღწევა შესაძლებელია სანდო კონსოლიდაციით, განსაკუთრებით მაშინ, როცა დაბალი სანდოობა ზღუდავს და/ან აძვირებს სესხს. მაშინაც კი, როდესაც ფინანსებზე ხელმისაწვდომობა არ არის შემზღვეველი ფაქტორი, ფისკალური პოლიტიკის მიზანი მაინც შეიძლება არ იყოს სტაბილიზაცია. მაგალითად, გარდამავალი ეკონომიკების შემთხვევაში, ფისკალური პოლიტიკის ექსპანსიამ შეიძლება ხელი შეუწყოს ეკონომიკის ზრდას და დააკმაყოფილოს სოციალური საჭიროებები, რომელიც ცალსახად წყალს ასხამს ციკლური ფაქტორების წისქვილზე.


როგორც აღმოჩნდა, ფისკალურ პოლიტიკას გამოშვების სტაბილიზაციაში უფრო მეტი წვლილი შეაქვს განვითარებულ ეკონომიკებში ვიდრე გარდამავალ ბაზრებსა და განვითარებად ეკონომიკებში. ფისკალური პოლიტიკა სტაბილიზატორის ფუნქციას ასრულებს განვითარებული ქვეყნების დაახლოებით ორ-მესამედ შემთხვევაში (გრაფიკი 24), განვითარებადი და გარდამავალი ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც ფისკალური პოლიტიკა მნიშვნელოვან სტაბილიზატორის ფუნქციას ასრულებს მხოლოდ დაახლოებით ერთ-მეოთხედ შემთხვევაში.

საქართველოსთვის ფისკალური სტაბილიზაციის კოეფიციენტი 0,42-ია და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სიდიდეა (p მნიშვნელობა $< 0,01$)¹¹. იგივე მაჩვენებელი

¹¹ გაანგარიშების ემპირიული მეთოდოლოგია და შედეგები იხილეთ დანართში „ფისკალური სტაბილიზაციის კოეფიციენტის გაანგარიშების ემპირიული მეთოდოლოგია“.

განვითარებული ქვეყნებისთვის საშუალოდ 0,7-ს, ხოლო გარდამავალი ბაზრებისა და განვითარებადი ქვეყნების ჯგუფისთვის 0,3-ია.

გრაფიკი 24. ფისკალური სტაბილიზატორის კოეფიციენტის (FISCO) განაწილება




წყარო: ევროკომისია (ec.europa.eu); ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (oecd.org); სსფ-ის გაანგარიშება (imf.org); ავტორის გაანგარიშება.

შენიშვნა: კოეფიციენტის მნიშვნელოვნებაში იგულისხმება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი (და შესაბამისად -უმნიშვნელო) მნიშვნელოვანი ვუწოდეთ შემთხვევას, როდესაც კოეფიციენტის p მნიშვნელობა ნაკლებია 0,1-ზე.


განსხვავება კიდევ უფრო მეტადაა გამოხატული თუკი მხოლოდ იმ ქვეყნებს დავაკვირდებით, რომელთათვისაც ფისკალური პოლიტიკა მნიშვნელოვან, სტატისტიკურად მასტაბილურებელ როლს თამაშობს (გრაფიკი 25-26). აღსანიშნავია ქვეყნები, სადაც კოეფიციენტი უარყოფითია. ფისკალური სტაბილიზაციის უარყოფითი ნიშანი სავარაუდოდ იმას ნიშნავს, რომ ქვეყნები (ბანგლადეში, იტალია, ჰაიტი) მოჭარბებული შემოსავლების დროს გადაჭარბებით ხარჯავენ იმის ნაცვლად, რომ დაზოგონ სტაბილიზაციის მიზნებისთვის.

გრაფიკი 25. ფისკალური სტაბილიზატორის კოეფიციენტი (FISCO) განვითარებული ეკონომიკებისთვის



წყარო: ევროკომისია (ec.europa.eu); ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (oecd.org); სფ-ის გაანგარიშება (imf.org); ავტორის გაანგარიშება.

გრაფიკი 26. ფისკალური სტაბილიზატორის კოეფიციენტი (FISCO) გარდამავალი ბაზრებისა და განვითარებადი ეკონომიკებისთვის



წყარო: ევროკომისია (ec.europa.eu); ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (oecd.org); სფ-ის გაანგარიშება (imf.org); ავტორის გაანგარიშება.

ფისკალური სტაბილიზაცია მოიცავს ფისკალური პოლიტიკის საპასუხო რეაქციას, რომელიც შეიძლება იყოს ავტომატური და არა მარტო. არაავტომატური საპასუხო პოლიტიკა მოიცავს დისკრეციულ ქმედებებს, რომელიც მიმართულია ეკონომიკურ აქტივობაზე შოკების გავლენის გადასაფარად. ავტომატური საპასუხო რეაქცია

ძირითადად მოქმედებს გადასახადებისა და ტრანსფერების მეშვეობით, რომელიც ავტომატურად იცვლება ისე, რომ ახდენს ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირებას დადმავალ პერიოდში და შერბილებას ბუმის პერიოდში. როგორც ცნობილია, გადასახადების გავლენა არის ავტომატური შედეგი, რადგან როგორც წესი გადასახადები დაკისრებულია შემოსავლებზე, რომელიც სინქრონულად მცირდება ან იზრდება გამოშვებასთან ერთად. შედეგად, გადასახადების მოცულობის ცვლილება „იცავს“ განკარგვად შემოსავლებს მაკროეკონომიკური შოკებისგან ისე, რომ ამაში განზრახ არავინ ერევა. ფისკალური ავტომატური სტაბილიზატორების ცვლილება ხდება მიმდინარე, საჭირო დროს, არ არის დამოკიდებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, გადაწყვეტილებაზე და არ ახასიათებს ნებისმიერი პოლიტიკის აღსრულებისთვის საჭირო დროითი ჩამორჩენა, რომლის გამოც ხშირად დისკრეციულად გატარებული აქტივობები კარგავს შინაარსსა და აცდენილია მიზანს (Blanchard, O. J., Dell’Ariccia, G., Mauro, P. 2010). გარდა ამისა, ავტომატურ სტაბილიზატორს არ ახლავს პოლიტიკური ან სხვა ფაქტორებით გამოწვეული რისკები, რომლის გამო საჭირო პოლიტიკის განხორციელება შეიძლება შეფერხდეს ეკონომიკური ზრდის შეფერხების დროს (Baunsgaard, T., Symansky, A. 2009).

მიუხედავად იმისა, რომ ავტომატურ სტაბილიზატორებს აქვს მნიშვნელოვანი ძლიერი მხარე და ეს არის დროული რეაგირების შესაძლებლობა და პროგნოზირების მაღალი დონე, მას სუსტი მხარეებიც გააჩნია. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ყველა იმ ავტომატურმა კორექტირებამ, რომელიც ბიუჯეტში ხდება შეიძლება სტაბილიზაცია კი არა, პირიქით, დესტაბილიზაციაც გამოიწვიოს. მაგალითად, დესტაბილიზაცია ხდება ბიუჯეტის იმ ნაწილში, რომელიც ინდექსირებულია (ხელფასების და პენსიების ჩათვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში) და თუკი საგადასახდო დავალიანებების ნაწილი გამოქვითულია (ძირითადად ასეთი გვხვდება ინვესტიციები გარკვეული სახეობებისთვის). ბიუჯეტში ასეთი არხების არსებობის შემთხვევაში ეკონომიკური ბუმის დროს სახელმწიფო დანახარჯების ავტომატურად დესტიმულირება ხდება და ამცირებს საგადასახდო შემოსავლებს.

ასევე, ავტომატური სტაბილიზატორები თავისთავად ყოველთვის ვერ ახერხებენ გამოშვების შოკების ადეკვატურ საპასუხო რეაგირებას. მსგავსი შემთხვევა შესაძლებელია თუკი მუდმივი რყევები მომდინარეობს ეკონომიკის მიწოდების მხრიდან. მაგალითად, ავტომატურად დასტაბილურების იმედად დატოვებული ფისკალური პოლიტიკა დააგვიანებს მწარმოებლური უნარის მქონე კაპიტალისა და მუშახელის დროულ გადანაწილებას, რომელიც აუცილებელია კონკრეტული სექტორიდან მომდინარე მუდმივი შოკების გამო. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც შოკები უფრო ფართოა და გავლენას ახდენს მთლიან მოთხოვნაზე, ავტომატური სტაბილიზატორების მასშტაბი შეიძლება იყოს გაცილებით მცირე, რადგან სტაბილიზატორები ძირითადად მომდინარეობს თანასწორობის მოტივებიდან (Blanchard, O. J., Dell’Ariccia, G., Mauro, P. 2010).

ავტომატური სტაბილიზატორების სიდიდის გაზომვა შესაძლებელია იმის მიხედვით, თუ როგორია მისი გავლენა მთლიან ბიუჯეტის სალდოზე ეკონომიკური აქტივობის ცვლილების საპასუხოდ. ავტომატური სტაბილიზატორების ზომის შესაფასებლად ყველაზე ხშირად გამოიყენებენ სახელმწიფო დანახარჯების GDP-ისთან თანაფარდობას (გალი 1994) (Fatás, A., Mihov, I. 2001). იმის დაშვებით, რომ საგადასახადო შემოსავლები ნომინალური GDP -ის პროპორციულად ყალიბდება, ხოლო ნომინალურ დანახარჯებს განსაზღვრავს ფისკალური პოლიტიკა, რომელიც რეალურ დროში არ არის დამოკიდებული გამოშვების ცვლილებაზე, მთლიანი საბიუჯეტო სალდოს ცვლილება (როგორც GDP -ის პროცენტი) ასახავს დანახარჯებსა და GDP -ის თანაფარდობის ცვლილებას. მაგალითად, თუკი დანახარჯების GDP -ისთან თანაფარდობა არის 50 პროცენტი, GDP -ის 1 პროცენტით შემცირება ავტომატურად გამოიწვევს საბიუჯეტო სალდოს GDP -ისთან მიმართებაში 0.5 პროცენტით გაუარესებას. რა თქმა უნდა პრაქტიკაში ავტომატური სტაბილიზატორების გავლენა მთლიან სალდოში შეიძლება უფრო დიდ იყოს და უფრო მცირეც, ვიდრე ამას დანახარჯებისა და GDP -ის თანაფარდობა გვიჩვენებს. ეს დამოკიდებულია არსებულ საგადასახადო პოლიტიკაზე და ტრანსფერების სისტემაზე. თუკი ქვეყანაში არსებობს პროგრესული გადასახადები, უმუშევრობაზე მიზმული ბენეფიტები და სხვა სოციალური ტრანსფერები, რომელიც


ეკონომიკური აქტივობის ცვლილების მიხედვით იცვლება, ავტომატური სტაბილიზატორები იქნება უფრო დიდი. ნაკლებად მასტაბილურებელი ეფექტი აქვს არასაგადასახადო შემოსავლებს, რომლებიც ნაკლებად არიან დამოკიდებული ნომინალური GDP -ის ცვლილებაზე, სპეციალური ტიპის გადასახადები, რომელიც შეიძლება იყოს ინდექსირებული, და გადასახადები, რომელიც იკრიბება დაგვიანებით.

ქვეყნების მიხედვით საგადასახადო კოდექსისა და დანახარჯების პროგრამების დეტალური ანალიზი საშუალებას მოგვცემს უფრო ზუსტად შევაფასოთ ავტომატური სტაბილიზატორის ზომა (Girouard, N., Andre, C. 2005). მიუხედავად იმისა, რომ ავტომატური სტაბილიზატორების სახელმწიფო ზომასთან პირდაპირი კავშირი არ იკვეთება, ის მაინც მაღალ კორელაციაშია სახელმწიფო დანახარჯებთან (Fund, Fiscal Monitor 2015). შედეგად სახელმწიფო დანახარჯები (იგივე რაც სახელმწიფოს ზომა) გამოიყენება სტაბილიზატორების ზომის შესაფასებლად.

ავტომატური სტაბილიზატორების ზომისა (გამოვიყენებთ სახელმწიფო ზომას) სტაბილიზატორის კოეფიციენტის შედარება საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ მათი შედარებითი წვლილი მთლიან ფისკალურ სტაბილიზაციაში. განვითარებულ ქვეყნებში ავტომატური სტაბილიზატორები უფრო დიდი ზომისაა, რაც განვითარებულ სოციალურ პროგრამებსა და შედარებით დიდ სახელმწიფო ზომაზე მიუთითებს. გარდამავალ და საშუალო შემოსავლის ქვეყნების ჯგუფში ავტომატური სტაბილიზატორები შედარებით სუსტია. მათ შორისაა საქართველოც.

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ავტომატური სტაბილიზატორების ზომა დიდია მთლიან ფისკალურ სტაბილიზაციაში, მათი მოქმედების არეალის განსაზღვრა მაინც პოლიტიკის არჩევანია. გრაფიკი 27 აჩვენებს, რომ კავშირი მთლიან სტაბილიზაციასა და ავტომატური სტაბილიზაციის ზომას შორის გაურკვეველია. ავტომატური სტაბილიზატორების გავლენა სისტემატურად ჩახშობილია ზოგიერთ ქვეყანაში, მაშინ როდესაც წახალისებულია სხვა ქვეყნებში.

გრაფიკი 27. ფისკალური სტაბილიზაციის კოეფიციენტი (FISCO) და სახელმწიფო ზომა (ავტომატური სტაბილიზატორი)- 2016წ.



წყარო: ევროკომისია (ec.europa.eu); ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (oecd.org); სსფ-ის გაანგარიშება (imf.org); საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (mof.ge), ავტორის გაანგარიშება.


შენიშვნა: ავტომატური სტაბილიზატორის შესაფასებლად გამოყენებულია სახელმწიფოს ზომა, რომელიც იზომება ნაერთი ბიუჯეტის დანახარჯების ნომინალურ GDP -ისთან თანაფარდობით.

ნიშნავს თუ არა სტაბილური ფისკალური გარემო სტაბილურ გამოშვებას? უფრო დაზუსტებით კი საინტერესოა პასუხი გავცეთ შემდეგ კითხვას: ამცირებს თუ არა ფისკალური სტაბილიზაცია გამოშვების მერყეობას? ფისკალური სტაბილიზაციის საბოლოო წარმატება განისაზღვრება იმის მიხედვით თუ რამდენად აისახება ეს სტაბილიზაცია GDP-ის სტაბილიზაციაზე. ავტომატურ სტაბილიზატორებსა და გამოშვებას შორის არსებული წრიული (ცირკულარული) ეფექტის გამო ამ კითხვაზე პასუხი არც ისე ცალსახაა. ჩვეულებრივ გაზომილი ფისკალური მულტიპლიკატორი (GDP-ის ცვლილების ფარდობა ამ ცვლილებით გამოწვეული ბიუჯეტის სალდოს ცვლილებასთან) არ გამოდგება, რადგან მისი გაზომვა აპრიორი საჭიროებს საბიუჯეტო სალდოს ცვლილებაში იმ ფაქტორების იდენტიფიცირებას, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ აქტივობასთან (Pescatori, A., Leigh, D., Guajardo, J., Devries, P. 2011) (სსფ 2012).

თუკი გალის (Gali 1994), ფატასის (Fatás, A., Mihov, I. 2003) და დებრუნი და კაპურის (Debrun, X., Kapoor, R. 2010) რჩევას მივყვებით, რომლებიც აქცენტს ავტომატურ სტაბილიზატორებზე აკეთებენ, უნდა ავირჩიოთ ემპირიული სტრატეგია, რომელიც გულისხმობს ფისკალურ სტაბილიზატორებსა და გამოშვების მერყეობას შორის პირდაპირი დამოკიდებულების დადგენას. გამოშვების მერყეობის გაზომვა კი შესაძლებელია რეალური მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდის სტანდარტული გადახრით ფიქსირებული დროის მონაკვეთში.

ქვეყნებს შორის კორელაცია გვიჩვენებს, რომ უფრო მაღალი ფისკალური სტაბილურობა ასოცირებულია გამოშვების ნაკლებ მერყეობასთან. თუმცა, განსხვავება მნიშვნელოვანია განვითარებულ და გარდამავალ-განვითარებადი ქვეყნების ჯგუფებს შორის: განვითარებულ ქვეყნებში დამოკიდებულება ფისკალურ სტაბილიზაციასა და გამოშვების მერყეობას შორის უფრო ძლიერი და მკვეთრად უარყოფითია, ვიდრე გარდამავალ და განვითარებად ეკონომიკებში.

გრაფიკი 28. ფისკალური სტაბილიზაციის კოეფიციენტი (FISCO) და გამოშვების მერყეობა, 1980-2013



წყარო: ევროკომისია (ec.europa.eu); ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (oecd.org); სსფ-ის გაანგარიშება (imf.org); ავტორის გაანგარიშება.

შენიშვნა: გამოშვების მერყეობა გაანგარიშებულია როგორც რეალური GDP-ის ზრდის სტანდარტული გადახრა შეფარდებული შესაბამის პერიოდთან. საქართველოს მონაცემები აღებულია 1997-2017 პერიოდისთვის.

უამრავი კვლევა გვიჩვენებს, რომ გამოშვების მოკლევადიანმა მერყეობამ შეიძლება გრძელვადიანი ზრდის ფაქტორები განსაზღვროს (Ramey, G., Ramey, M. 1995). ეს დებულება განსაკუთრებით სწორია ქვეყნებისთვის, სადაც ფინანსური ბაზრები ნაკლებადაა განვითარებული (Aghion, P., Marinescu, I. 2008).

იმის გამო, რომ მაკროეკონომიკური გარემოს პროგნოზირებადობას შეუძლია წახალისოს ინვესტიციები და სოციალური კაპიტალი, უფრო მაღალი გამოშვების სტაბილურობა უკავშირდება ფისკალურ სტაბილიზაციას და საბოლოოდ დადებითი გავლენა აქვს ზრდაზე. არსებული ემპირიული კვლევების დასკვნები ფისკალურ სტაბილიზაციასა და ზრდას შორის კავშირის შესახებ სხვადასხვაგვარია. თუმცა ნაჩვენებია, რომ უფრო მეტად აქტიური ფისკალური პოლიტიკა (რომელიც უფრო მეტად პროციკლურია) დაკავშირებულია დაბალ ზრდასთან (Fatás, A., Mihov, I. 2003) (Fatás, A. Mihov, I. 2013), დიდი ზომის სახელმწიფო (რომელიც ჩვენი განმარტებით ნიშნავს მაღალ ავტომატურ სტაბილიზატორს ქვეყანაში) ასევე საზიანოა ზრდისთვის (Afonso, A., and D. Furceri. 2010) (Afonso 2012).

გაკეთებული ანალიზიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გამოშვების დაბალ მერყეობას, რომელიც გამოწვეულია ფისკალური სტაბილიზაციით, დადებითი გავლენა აქვს ზრდაზე. ემპირიული კავშირი ფისკალურ სტაბილიზაციას, გამოშვების მერყეობასა და ზრდას შორის მართლაც გვიჩვენებს, რომ ფისკალური სტაბილიზაცია კარგია ზრდისთვის. ფისკალური მონიტორის 2015 წლის ანგარიშის მიხედვით, ფისკალური სტაბილიზაციის კოეფიციენტის 1 სტანდარტული გადახრით ზრდას (დაახლოებით 0,1-ით ზრდა) შეუძლია საშუალოვადიანი ზრდის წახალისება სწორედ იმის გამო, რომ ფისკალური სტაბილიზაცია გამოშვების მერყეობას დაახლოებით 0,3 პროცენტული პუნქტით ამცირებს განვითარებულ ეკონომიკებში, ხოლო 0,1 პროცენტული პუნქტით გარდამავალ ბაზრებსა და განვითარებად ეკონომიკებში.

ამ ნაწილში ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფისკალური სტაბილიზაცია ამცირებს გამოშვების მერყეობას. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მონეტარული პოლიტიკა შეზღუდულია იმოქმედოს გამოშვების

დასტაბილურების მიზნით, ფისკალური პოლიტიკა მომგებიანია, რა თქმა უნდა იმ შემთხვევაში, როდესაც გამოშვების დასტაბილურება არის პრიორიტეტული. შემდგომი კვლევის მიზანი შეიძლება იყოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა პოლიტიკის ცვლადებსა და ეკონომიკურ შედეგებს შორის. თუმცა, ცოდნასა და არსებულ ანალიზზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფისკალურ პოლიტიკას მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია გამოშვების სტაბილიზაციაში. განვითარებულ ქვეყნებში ფისკალური სტაბილიზაცია ნორმად არის ქცეული და დროთა განმავლობაში მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა ბევრ ქვეყანაში. ამის საპირისპიროდ, გარდამავალ ბაზრებსა და განვითარებად ქვეყნებში პრიორიტეტად გამოშვების ზრდის დინამიკა რჩება, რომელიც ძირითადად მიწოდების მხრიდან უნდა მოხდეს და ერთობლივი მოთხოვნის მართვა მეორეხარისხოვანია. უფრო ხშირად ფისკალური პოლიტიკა, როგორც სტაბილიზაციის მექანიზმი გამოიყენება, როდესაც ეკონომიკა ჩამორჩება განვითარების სასურველ ტემპს; და ნაკლებად მიმართავენ პოლიტიკის მექანიზმებს, როდესაც ბუმიანია. ფისკალური სტაბილიზაციისა, როგორც მექანიზმის გამოყენებამ მხოლოდ „შავ დღეებში“ შეიძლება მნიშვნელოვნად შეარყიოს სახელმწიფო ვალის მდგრადობა, რადგან გამოდის რომ მთავრობები ვერ სარგებლობენ იმ უპირატესობით, რაც ზრდის პერიოდის შემთხვევაში ეძლევათ რომ შეამცირონ დეფიციტი და შექმნან ფისკალური ბუფერი მომავალი უარყოფითი შოკების უკეთ გასამკლავებლად.

3.3. ფისკალური დანახარჯების მულტიპლიკატორის გამოთვლა საქართველოსთვის

ზოგადი ადგილობრივი მოხმარების (Domestic Absorbtion-DA) მულტიპლიკატორი

მას შემდეგ რაც მეორე თავში აღწერილი, საქართველოსთვის შერჩეული ფისკალური მულტიპლიკატორის გაანგარიშების მეთოდოლოგიით ავაგეთ დანახარჯებისა და გამოშვების ცხრილები (IOT) ცხრილი საქართველოსთვის, შესაძლებელი გახდა γ_x და μ_x მატრიცების აგება, რაც საბოლოოდ საშუალებას გვაძლევს დავთვალოთ ზოგადი დანახარჯების მულტიპლიკატორის გასაანგარიშებლად საჭირო კოეფიციენტები.

საქართველოს 2016 წლის მონაცემების მიხედვით M_x , რომელიც ექსპორტით გამოწვეულ ადგილობრივ წარმოებაში იმპორტის დონეს გვიჩვენებს, მივიღეთ 1,624 მილიონი ლარი (რომელიც μ_x ვექტორის ელემენტების ჯამს წარმოადგენს). საბოლოოდ კი შეგვიძლია დავთვალოთ M_{DA} :

$$M_{DA} = M - M_x - M_{Rx}$$
$$M_{DA} = 20,188 - 1,624 - 4,912 = 13,652$$

რომელსაც ასევე გამოვაკელით იმპორტის იმ ნაწილს, რომელიც პირდაპირ გადის რეექსპორტის სახით (M_{Rx}). შედეგად ჩვენ უკვე შეგვიძლია დავთვალოთ იმპორტის ინტენსივობის კოეფიციენტი მთლიან მოთხოვნაში:

$$m_{DA} = \frac{M_{DA}}{C+I+G} = \frac{13,652}{21,988+11,137+6253} \approx 0.3467 \quad (18)$$

რის საფუძველზეც, ავტონომიური დანახარჯების მულტიპლიკატორი მიიღება.:

$$\frac{dY}{dG} = \frac{1-m_{DA}}{1-c_p(1-m_{DA})} = \frac{0.6533}{1-0.6462*0.6533} = 1.13 \quad (19)$$

რომელშიც, $c_p = \frac{21,988}{34,028} = 0.6462$.

როგორც გაანგარიშებიდან ჩანს ეკონომიკაში ადგილობრივი მოთხოვნის მიერ დახარჯული ერთი ერთეული დამატებით ქმნის 1.13 ერთეულის ეფექტს საქართველოში, ადგილობრივი წარმოება იზრდება 1.13 ერთეულით.

ტრადიციულად დათვილი მულტიპლიკატორი, როგორც ზემოთ ვიმსჯელებთ უნდა გამოვიდეს უფრო მცირე, რადგან საქართველოში იმპორტი საკმაოდ მაღალია და

შესაბამისად იმპორტის ინტენსივობის როგორც პირდაპირი ასევე არაპირდაპირი გზით (არა პირდაპირში ადგილობრივ წარმოებაში გამოყენებულ იმპორტირებულ შუალედურ საქონელს ვგულისხმობთ) გათვალისწინება ზრდის მულტიპლიკატორის მნიშვნელობას.

კლასიკურად დათვლილი მულტიპლიკატორი საქართველოსთვის გამოვა:

$$\frac{dY}{dG} = \frac{1}{1-c_p+m} = \frac{1}{1-0.6462+0.593} = 1.05$$

ცხრილში 10 შედარებულია საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნების ზოგადი დანახარჯების მულტიპლიკატორები როგორც კლასიკური, ასევე რესურსებისა და მოხმარების ცხრილების საშუალებით დაანგარიშებული. ზოგადი დანახარჯების მულტიპლიკატორის სიდიდეზე ორი კოეფიციენტი მოქმედებს. ქვეყნებში, სადაც მაღალია მოხმარებისადმი მიდრეკილება (c_p), მულტიპლიკატორიც უფრო მაღალია და ასევე, სადაც უფრო დაბალია ადგილობრივი მოხმარებით გამოწვეული იმპორტის ინტენსივობა (m_{DA}), მულტიპლიკატორი ასევე უფრო მაღალია. ქვეყნები, რომლებსაც უფრო მეტად განვითარებული აქვთ ადგილობრივი მრეწველობა და ნაკლებად ხდება მულტიპლიკატორის ეფექტიანობის გადინება, მულტიპლიკატორის სიდიდე უფრო მაღალია. ასეთი ქვეყნებია მაგალითად გერმანია და საფრანგეთი, სადაც იმპორტის ინტენსივობის კოეფიციენტები 0.19 და 0.18-ია შესაბამისად. ზოგადი დანახარჯების მულტიპლიკატორიც უფრო მაღალია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, რომლებსაც უფრო მაღალი იმპორტის ინტენსივობის კოეფიციენტი ახასიათებთ. გაცილებით მაღალია მულტიპლიკატორი საბერძნეთში, სადაც მულტიპლიკატორის მაღალი მაჩვენებლის ამხსნელი ადგილობრივი მოხმარების მაღალი მიდრეკილებაა.

ცხრილი 10. იმპორტის ინტენსივობა და ზოგადი დანახარჯების მულტიპლიკატორები, ევროკავშირის ქვეყნები და საქართველო

	სახელმძღვანელო			DA-ს გამოყენებით	
	c_p	m	მულტ.	m_{DA}	მულტ.
ავსტრია	0.57	0.48	1.10	0.25	1.30
ბელგია	0.51	0.74	0.81	0.28	1.13
ჩეხეთი	0.49	0.69	0.83	0.34	0.97
გერმანია	0.58	0.33	1.32	0.19	1.53
ესპანეთი	0.61	0.30	1.44	0.21	1.54
ესტონეთი	0.60	0.81	0.82	0.39	0.97
საფრანგეთი	0.57	0.26	1.46	0.18	1.55
საბერძნეთი	0.76	0.30	1.85	0.22	1.90
უნგრეთი	0.57	0.67	0.91	0.29	1.18
ირლანდია	0.45	0.70	0.81	0.30	1.03
იტალია	0.60	0.25	1.54	0.18	1.62
ლიეტუვა	0.65	0.65	1.00	0.32	1.24
პოლონეთი	0.64	0.36	1.37	0.24	1.49
პორტუგალია	0.67	0.36	1.45	0.24	1.58
რუმინეთი	0.70	0.44	1.34	0.29	1.42
შვედეთი	0.47	0.37	1.12	0.22	1.22
სლოვენია	0.58	0.63	0.95	0.33	1.11
საქართველო	0.65	0.593	1.05	0.3467	1.13

წყარო: (Pusch, T., Rannenberg. A. 2011)¹², ავტორის გაანგარიშება

ზოგადი სახელმწიფო დანახარჯების მულტიპლიკატორი

იმისათვის, რომ გავიგოთ უშუალოდ სახელმწიფო დანახარჯებს რა გავლენა აქვს გამოშვებაზე, მოდელში უნდა მოვხსნათ დამუშავება იმპორტის ინტენსივობის

¹² პუშის და რენენბერგის მიერ (Halle Institute for Economic Research (IWH), გერმანია) (Pusch, T., Rannenberg. A. 2011) მსგავსი მეთოდით დათვლილი მულტიპლიკატორები ხელმისაწვდომია ევროკავშირის ქვეყნებისთვის 2005 წლისათვის. იმის გათვალისწინებით, რომ მოხმარების განაწილება GDP-ს კომპონენტებზე მნიშვნელოვნად არ მერყეობს საშუალოვადიან პერიოდში, დასაშვებად მივიჩნიეთ ამ მონაცემების საქართველოს 2016 წლის მონაცემებთან შედარება.

კოეფიციენტების ტოლობის შესახებ. ანუ: $m_{cp} \neq m_I \neq m_G$. შესაბამისად შეიცვლება მულტიპლიკატორის ფორმულაც.

m_G წარმოადგენს იმპორტის ინტენსივობას სახელმწიფო დანახარჯებში (სახელმწიფოს მიერ მოხმარებულ საბოლოო საქონელსა და მომსახურებაში იმპორტის წილი, რომელიც თავის მხრივ მოიცავს იმპორტის იმ ნაწილს, რომელიც სახელმწიფო მოხმარებით გამოწვეულ ადგილობრივ წარმოებაში მონაწილეობს).

თუკი ამ ბოლო ჩასწორებას გავითვალისწინებთ GDP-ის წონასწორობის ფორმულაში:

$$Y = cpY + AU + G + cp * m_{cp}Y - m_G G - m_{AU}AU$$

სადაც, AU აღნიშნავს დანახარჯების ავტონომიურ (ანუ ეგზოგენურ) კომპონენტებს და m_{AU} იმპორტის ინტენსივობას საბოლოო მოხმარების ეგზოგენურ ნაწილზე. თუკი ბოლო ფორმულას გავაწარმოებთ G-ის მიმართ, მივიღებთ სახელმწიფო დანახარჯების მულტიპლიკატორს:

$$\frac{dY}{dG} = \frac{1 - m_G}{1 - cp(1 - m_{cp})}$$

გავიხსენოთ, რომ მთლიან იმპორტზე მოთხოვნა შემდეგნაირად დავშალეთ:

$$M = M_{cp} + M_I + M_G + M_x$$

რომელშიც თითოეული კომპონენტი შედგება ამ კომპონენტით გამოწვეული საბოლოო საქონლისა და მომსახურების იმპორტს დამატებული ამ კომპონენტით გამოწვეული ადგილობრივ წარმოებაში იმპორტის წილისგან. დანახარჯები-გამოშვების ცხრილის (IOT) საშუალებით დავითვალეთ, იმპორტის სასურველი ჩაშლა. ჯამში 2016 წელს, 20188 მილიონი ლარის იმპორტი განხორციელდა. როგორც მოსალოდნელი იყო იმპორტის ყველაზე დიდი წილი მოდის შინამეურნეობების მოხმარების კომპონენტზე (43.4%), შემდეგი კომპონენტი, რომელიც ჯამური იმპორტის 32.4%-ის ითვისებს არის ექსპორტი, მესამე ადგილზე იმპორტის ათვისებით არის ინვესტიციები (18.8%) და ბოლოს, სახელმწიფო მოხმარება, რომელიც ჯამური იმპორტიდან 5.4%-ს ითვისებს.

საბოლოო საქონლისა და მოხმარების თითოეული კომპონენტი წარმოშობს მოთხოვნას ადგილობრივ წარმოებაზე და იმპორტირებულ საქონელსა და მომსახურებაზე. ამ მოთხოვნით გამოწვეული ადგილობრივი წარმოება კი თავის მხრივ წარმოშობს მოთხოვნას იმპორტზე (ძირითადად შუალედურ საქონელსა და მომსახურებაზე). დანახარჯები-გამოშვების ცხრილების (IOT) მეშვეობით დავთვალეთ, რომ იმპორტის ათვისება შინამეურნეობების მხრიდან 74% არის საბოლოო საქონლისა და მომსახურების სახით, ხოლო დანარჩენი 26% მოდის ადგილობრივ წარმოებაზე, რომელიც წარმოშობს შინამეურნეობების მოთხოვნამ. ექსპორტის მიერ ათვისებული იმპორტის 75.2% პირდაპირ რეექსპორტის სახით გავიდა საქართველოდან (4912 მილიონი ლარი), ხოლო 24.8% მოხმარდა საექსპორტო საქონლისა და მომსახურების წარმოებას. ინვესტიციების სექტორი ათვისებული იმპორტის 45%-ს შუალედური სახით მოიხმარს. და ბოლოს, სახელმწიფო სექტორი მთლიანი ათვისებული იმპორტის 45.5%-მა მოიხმარა საბოლოო საქონლისა და მომსახურების ფორმით, ხოლო სახელმწიფოს მოხმარებით გამოწვეული იმპორტის 55.5% იმ ადგილობრივი საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად, რომელიც G-მ მოიხმარა.

ცხრილი 11. იმპორტის ჩაშლა 2016 წ, დანახარჯები-გამოშვების ცხრილის (IOT) მიხედვით, საქართველო

საბოლოო მოხმარების კომპონენტები	იმპორტი (მილიონი ლარი)		იმპორტის ნაწილი, რომელიც ემსახურება შესაბამისი მოხმარების კომპონენტს
	ადგილობრივი წარმოებით გამოწვეული	საბოლოო საქონელი და მომსახურება	
M_{cp}	2275.61	6477	8752.61
M_I	1718.39	2081	3799.39
M_G	598.82	501	1099.82
M_x	1624.02	4912	6536.02
			იმპორტი სულ 20188

წყარო: ავტორის გაანგარიშება

უფრო დაწვრილებით თუ განვიხილავთ:

$$M = m_{cp}C + m_I I + m_G G + m_X X$$

საიდანაც საჭიროა m_{cp} -ს და m_G -ს შეფასება სახელმწიფო მოხმარების მულტიპლიკატორის დასათვლელად. ზემოთ განხილულ მეთოდოლოგიას თუ მივყვებით :

უნდა დავთვალოთ

$$y_c = (I - A)^{-1}c$$

$$\mu_c = By_c$$

μ_c ვექტორის ელემენტების დაჯამებით მივიღებთ M_{cp} -ს, იმპორტირებული პროდუქტის ღირებულებას, რომელიც გამოიყენება შინამეურნეობების მოხმარებით გამოწვეული პროდუქტის წარმოებაში. ამის შემდეგ შევძლებთ დავთვალოთ იმპორტის ინტენსივობის კოეფიციენტი: $m_{cp} = \frac{M_{cp}}{C}$, რომელშიც M_{cp} არის შინამეურნეობების მოხმარებით გამოწვეული პირდაპირი და არაპირდაპირი იმპორტების ჯამი. ცხრილში 12 მოცემულია მოხმარების ყველა კომპონენტისთვის დაანგარიშებული იმპორტის ინტენსივობის კოეფიციენტები.

ცხრილი 12. იმპორტების ინტენსივობების კოეფიციენტები¹³

m_{cp}	0.398
m_I	0.341
m_G	0.176
m_x	0.442
m_{DA}	0.347

წყარო: ავტორის გაანგარიშება

სახელმწიფო დანახარჯების მულტიპლიკატორი ტოლია: $\frac{dY}{dG} = 1.35$ ¹⁴

ცხრილში 13 მოცემულია შეფასებული კოეფიციენტები და სახელმწიფო დანახარჯების ფისკალური მულტიპლიკატორი საქართველოსთვის, და ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნისათვის. მნიშვნელოვანი განსხვავებაა იმპორტის ინტენსივობებს შორის

¹³ დეტალურად მატრიცები იხილეთ დანართში

¹⁴ $\frac{dY}{dG} = \frac{1-0.18}{1-0.6462(1-0.398)} = 1.35$

შინამეურნეობების მოხმარებაში. საქართველოში იმპორტის ინტენსივობის კოეფიციენტი როგორ პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ სახელმწიფო მოხმარებაში 0.18-ია, როდესაც გერმანიაში იგივე მაჩვენებელი 0.08 და საფრანგეთში 0.09. შესაბამისად, მოსალოდნელიც არის რომ იმ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო მოხმარებაში იმპორტს ნაკლები წილი უკავია, მულტიპლიკატორიც უფრო მაღალი იქნება, სახელმწიფოს მიერ დანახარჯებს ადგილობრივ წარმოებაზე უფრო დიდი გავლენა ექნება იმ ქვეყნებში, სადაც იმპორტის მონაწილეობა შედარებით დაბალია. შესაბამისად, გერმანიისა და საფრანგეთის ფისკალური მულტიპლიკატორები უფრო დიდია (1.71 და 1.69 შესაბამისად), ვიდრე საქართველოსი, რომელიც 1.35-ია. საქართველოს მაჩვენებელი დაახლოებით იგივეა რაც ესტონეთის, სადაც სახელმწიფო მოხმარებაში იმპორტის ინტენსივობა ასევე 0.18-ია.

ცხრილი 13. იმპორტის ინტენსივობა, მოხმარებისადმი მიდრეკილება და სახელმწიფო მოხმარების მულტიპლიკატორი

	c_p	G-ს მულტიპლიკატორი	
		m_G	მულტ.
ავსტრია	0.57	0.12	1.57
ბელგია	0.51	0.12	1.39
ჩეხეთი	0.49	0.19	1.21
გერმანია	0.58	0.08	1.71
ესპანეთი	0.61	0.11	1.72
ესტონეთი	0.60	0.18	1.34
საფრანგეთი	0.57	0.09	1.69
საბერძნეთი	0.76	0.09	2.26
უნგრეთი	0.57	0.15	1.44
ირლანდია	0.45	0.14	1.27
იტალია	0.60	0.07	1.81
ლიეტუვა	0.65	0.13	1.54
პოლონეთი	0.64	0.09	1.82
პორტუგალია	0.67	0.09	1.85
რუმინეთი	0.70	0.18	1.74
შვედეთი	0.47	0.11	1.40
სლოვენია	0.58	0.15	1.43
საქართველო	0.65	0.18	1.35

წყარო: (Pusch, T., Rannenberg. A. 2011), ავტორის გაანგარიშება

სახელმწიფო საინვესტიციო დანახარჯების მულტიპლიკატორი

რესურსებისა და მოხმარების ცხრილები არ განასხვავებს სახელმწიფო და კერძო ინვესტიციებს. სახელმწიფო ინვესტიციების მულტიპლიკატორის შესაფასებლად გამოვიყენებთ მთლიანი ინვესტიციების ვექტორს და დავითვლით მულტიპლიკატორს მთელი სექტორისთვის.

ინვესტიციების მულტიპლიკატორის დასადგენად გვჭირდება m_I , იმპორტის ინტენსივობა მთლიან ინვესტიციებში¹⁵ (I). თუკი ამ ბოლო ჩასწორებას გავითვალისწინებთ GDP-ის წონასწორობის ფორმულაში:

$$Y = cpY + AU + I + cp * m_{cp}Y - m_I I - m_{AU}AU$$

რომელშიც AU აღნიშნავს დანახარჯების ავტონომიურ (ანუ ეგზოგენურ) კომპონენტებს და m_{AU} მისი იმპორტის ინტენსივობას. თუკი ბოლო ფორმულას გავაწარმოებთ I-ის მიმართ, მივიღებთ ინვესტიციებზე დახარჯული თანხის მულტიპლიკატორს, რომელიც სახელმწიფო ინვესტიციების ფისკალურ მულტიპლიკატორადაც გამოდგება:

$$\frac{dY}{dI} = \frac{1 - m_I}{1 - cp(1 - m_{cp})}$$

წინა ქვეთავში მოცემული იმპორტის ინტენსივობის კოეფიციენტების გათვალისწინებით:

$$\frac{dY}{dI} = \frac{1 - 0.341}{1 - 0.6462(1 - 0.398)} = 1.08$$

ინვესტიციების მულტიპლიკატორი მივიღეთ უფრო დაბალი, ვიდრე ზოგადი საშუალო მოხმარებისა და სახელმწიფო მოხმარების მულტიპლიკატორები ცალ-ცალკე. ამის მიზეზი არის ინვესტიციების სექტორში იმპორტის მაღალი ინტენსივობა. საინვესტიციო საქონელი უფრო მეტად არის გლობალური ბაზრის ნაწილი, რაც ხსნის იმპორტის მაღალ კონცენტრაციას ამ სექტორში.

¹⁵ მთლიანი ინვესტიციები განარტებულია როგორც მთლიანი კაპიტალის ფორმირება (United Nations, Systems of National Accounts, 2008).

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ მოდელის მიზანს წარმოადგენს საქართველოსთვის, როგორც ღია ეკონომიკისთვის გაგვეანგარიშებინა სხვადასხვა სახის ფისკალური მულტიპლიკატორი იმპორტის ინტენსივობის გათვალისწინებით და იმ დაშვებით, რომ ინვესტიციები მონეტარული პოლიტიკის ცვლილების მიმართ არ არის მგრძობიარე, რათა თავიდან აგვეცილებინა ფისკალური პოლიტიკით გამოწვეული ეკონომიკური ცვლილებების გამო მონეტარული პოლიტიკის საპასუხო რეაგირების აუცილებლობა. ამ კვლევის მეცნიერულ მიგნებას წარმოადგენს ის, რომ მულტიპლიკატორის დასაანგარიშებლად შედგა დანახარჯები-გამოშვების ცხრილები (IOT) საქართველოსთვის¹⁶. საქართველოსთვის დავთვალეთ პირდაპირი და არაპირდაპირი სახით იმპორტის ინტენსივობა მოხმარების ძირითადი კომპონენტებისთვის და ბოლოს, შესაძლებელი გახდა დაგვეანგარიშებინა ადგილობრივი მოთხოვნის (Domestic Absorbtion- DA), სახელმწიფო დანახარჯებისა (G) და მთლიანი ინვესტიციებისთვის ფისკალური მულტიპლიკატორები.

¹⁶ აღნიშნული მეთოდოლოგია გამოიყენა ლასკიმ (Vienna Institute for International Economic Studies, National Bank of Poland) პოლონეთისა და ჩეხეთისთვის ფისკალური დანახარჯების მულტიპლიკატორის გასაანგარიშებლად (Laski 2010). ასევე, ჰუშმა (Halle Institute for Economic Research (IWH), Germany) და რენენგერმა (National Bank of Belgium, Belgium), ევროკავშირის ქვეყნებისთვის ფისკალური დანახარჯების სვადასხვა ჯგუფებისთვის მულტიპლიკატორის დასადგენად (Pusch, T., Rannenberg, A. 2011), და სხვებმა.

დასკვნა

ეკონომიკური კრიზისების დროს სხვადასხვა ქვეყანა აქტიურად მიმართავს გადაწყვეტილებებს გადასახადების შემცირების, მიზნობრივი სუბსიდიებისა და გაზრდილი სახელმწიფო დანახარჯების შესახებ, რათა მოახდინონ ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირება და წახალისონ ეკონომიკური აქტივობები. სადისერტაციო ნაშრომის როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილში ხაზგასმულია დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასების მნიშვნელობა და კომპლექსურობა, რის გამოც ექსპანსიური/რესტრიქციული ფისკალური პოლიტიკა ეკონომისტებს შორის ყოველთვის ხდება დისკუსიისა და კამათის საკითხი.

სანამ ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობის ემპირიული შეფასების თავისებურებებზე ვიმჯღელეთ, სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილ იქნა ფისკალური პოლიტიკის მოკლევადიანი ეფექტიანობის საკითხი ექვსი სხვადასხვა მაკროეკონომიკური თეორიული ჩარჩოსათვის. ნეოკეინზიანურ, პოსტკეინზიანურ და მონეტარულ მოდელებში, რომლებიც კეინზიანური მოდელის ქოლგის ქვეშ გავაერთიანეთ, არ არსებობს გამოშვების ბუნებრივი დონე, რომლისკენაც ეკონომიკა მიისწრაფვის. შედარებით ანალიზისას დადგინდა, რომ როგორც სახაზინო ობლიგაციებით, ისე ფულით დაფინანსებულ ფისკალურ პოლიტიკას გააჩნია მუდმივი ეფექტი როგორც გამოშვებაზე, ასევე დასაქმებაზე ნეოკეინზიანურ და პოსტკეინზიანურ მოდელებში. თუმცა, ობლიგაციებით დაფინანსებულ ფისკალურ პოლიტიკას არ აქვს მაკროეკონომიკური ეფექტები მონეტარული მოდელის შემთხვევაში. კლასიკური, ახალი კლასიკური და ახალი კეინზიანური (ნეოლიბერალური) მოდელები კი განვიხილეთ კლასიკური მოდელის იდეოლოგიის ქვეშ. ამის გაკეთების საშუალებას გვაძლევს მოდელების ერთნაირი მიდგომა გამოშვების ბუნებრივი დონის განსაზღვრებისას, საითაც მიისწრაფვის ეკონომიკა. მოდელების შედარებისას და ანალიზისას დავასკვნით, რომ კლასიკურ და ახალ კლასიკურ მოდელებში დისკრეციულ ფისკალურ პოლიტიკას არ აქვს გავლენა გამოშვებასა და დასაქმების დონეზე. ახალ კეინზიანურ მოდელებში კი მას შეიძლება დროებითი გავლენა ჰქონდეს, რაც ფასების სიხისტეზეა დამოკიდებული.

აღნიშნული თეორიების შედარებითი ანალიზისას მიღებული წინააღმდეგობრივი შედეგები ნაწილობრივ ხსნის თუ რატომ არის ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობის შესახებ დებატები მუდამ მწვავე და შეუთანხმებელი.

მსოფლიოს ბოლო, 2008-2009 წლების ეკონომიკურმა კრიზისმა ფისკალური და ზოგადად მაკროეკონომიკური პოლიტიკის გადახედვა და ხელახალი გააზრება გამოიწვია. ამ პროცესში ჯერ კიდევ არის ღიად დარჩენილი კითხვები, თუმცა აღსანიშნავია, რომ ფინანსური კრიზისის შემდგომ ეკონომისტების უმრავლესობა თანხმდება, რომ რიგ საკითხებში ფისკალური პოლიტიკა უფრო ეფექტიანია და რწმენა იმის შესახებ, რომ მონეტარული პოლიტიკა უფრო მოქნილია და ადვილად შეიძლება იყოს დაცული პოლიტიკური წნეხებისგან, თანდათან გაქარწყლდა. როდესაც ფინანსური სისტემა გაიყინა და მონეტარული პოლიტიკის გავლენა შესუსტდა, როგორც განვითარებული ასევე განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობამ ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტებს მიმართა სწრაფად კლებადი ერთობლივი მოთხოვნის შესაჩერებლად, რომლის შედეგიც საბოლოოდ სახელმწიფო ვალის GDP-სთან გაზრდილი მაჩვენებლები იყო. ამის შემდეგ სახელმწიფოები ეკონომიკის სტიმულირებიდან ვალის სტაბილიზაციის პოლიტიკისკენ გადაერთვნენ, მაშინ როდესაც ქვეყნები ჯერ კიდევ არ იყვნენ გამოსული კრიზისით გამოწვეული ერთობლივი მოთხოვნის მკვეთრი შემცირების შოკიდან. სწორედ ამიტომ, ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობის ღრმად შესწავლა და ახალი პარადიგმის დანერვის საჭიროებაა ერთ-ერთი გაკვეთილი, რომელიც ბოლო ეკონომიკურმა კრიზისმა დაგვიტოვა. რეცესიები და განსაკუთრებით ფინანსური კრიზისით გამოწვეული რეცესიები საკმარისად ხანგრძლივად გრძელდება იმისთვის, რომ დისკრეციული ფისკალური პოლიტიკა იქნას გამოყენებული როგორც მასტიმულირებელი მექანიზმი (Feldstein, The Future of Fiscal Policy 2016). მხოლოდ, მნიშვნელოვანია რომ დაინერგოს სწორი ინსტრუმენტები და შემუშავდეს ფისკალური ინდიკატორები, რომლებიც დროულად შეძლებენ რისკების იდენტიფიცირებას. პოსტკრიზისულ პერიოდში გაკეთებული შეფასებებიდან ასევე საყურადღებოა ფისკალური პოლიტიკის გრძელვადიან პერიოდზე გათვლილი დაგეგმვა, იმისათვის, რომ კრიზისულ პერიოდებში ქვეყნებმა თამამად შეძლონ საჭირო ინსტრუმენტების

აგრესიულად გამოყენება (Buti 2016). ცხადია, გვერდს ვერ ავუვლით ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან თანამედროვე მაკროეკონომიკურ გამოწვევას- არსებულ სახელმწიფო ვალის დონეებსა და გაზრდილ სახელმწიფო დანახარჯებს. უფრო მეტიც, მომავალში უნდა მოველოდეთ სახელმწიფო ზომების ზრდას, რამდენადაც ეკონომიკების უმრავლესობა ნელ-ნელა ინაცვლებს ისეთი სექტორებისკენ, სადაც საბაზრო ჩავარდნების თავიდან არიდება შეუძლებელია (განათლება, ჯანდაცვა, საინფორმაციო საქონელი) და სწორედ ამიტომ ფისკალური პოლიტიკის როლი მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება (DeLong 2015).

სახელმწიფო ზომის საზომად მიიჩნევა სახელმწიფო დანახარჯების GDP-სთან თანაფარდობა. აღნიშნული მაჩვენებლის გაანგარიშებისა და ბალტიისპირეთისა და სხვა ზოგიერთი ევროკავშირის ქვეყნებთან შედარების შედეგად დავასკვნით, რომ საქართველოს სახელმწიფო ზომა მნიშვნელოვნად უფრო მცირეა. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, სახელმწიფო დანახარჯების GDP-სთან თანაფარდობის მაჩვენებელი 50%-სა და 60%-ს შორის მერყეობს 2002 წლიდან მოყოლებული, მაშინ როდესაც, 2017 წლისთვის სახელმწიფოს ზომა საქართველოში 25.5% იყო.

ქვეყანათაშორისი შედარებით დადგინდა, რომ სახელმწიფო დანახარჯების GDP-სთან თანაფარდობა უფრო დიდია მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე შედარებით დაბალია. საქართველოს სახელმწიფო დანახარჯების დაბალი დონე ნაწილობრივ შეიძლება შემოსავლების სიმწირესაც მივაწეროთ. საქართველოში 2017 წელს PPP საერთაშორისო დოლარით გამოზომილი მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე 9702 დოლარს შეადგენდა, რაც მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ესტონეთის (30081\$), ლიეტუვისა (29419\$) და ლატვიის (25180\$) საშუალო შემოსავლების მაჩვენებლებს (ec.europa.eu/eurostat, OECD.org, geostat.ge). შესაბამისად დაბალია სახელმწიფო ზომაც, რომელიც 2017 წელს 25.5% (საერთო ბიუჯეტის თანაფარდობა GDP-სთან), ხოლო იგივე მაჩვენებლები ესტონეთში, ლიეტუვა და ლატვიაში შესაბამისად 40.2%, 33.1% და 37.8% იყო. ამ დაკვირვებით შეგვიძლია

ვივარაუდოთ, რომ საქართველოს სახელმწიფოს ზომა შემოსავლების ზრდასთან ერთად გაიზრდება მომავალში.

ნაშრომში მიმოხილულია, ფისკალური პოლიტიკის პოტენციური მაკროეკონომიკური ეფექტების დათვლის თანამედროვე და კლასიკური მეთოდები. ზოგადად, ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასება მიახლოებული ფისკალური მულტიპლიკატორების გაანგარიშებით ხდება. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ფისკალური მულტიპლიკატორების შეფასების არსებული მეთოდებით გაანგარიშებული მულტიპლიკატორის ზომა დიდი ინტერვალით მერყეობს, გვხვდება როგორც უარყოფითი მაჩვენებლები, ასევე შეიძლება ვნახოთ კვლევები, რომლებიც მნიშვნელოვნად დადებით მაჩვენებელს იღებს შედეგად. სწორედ ამიტომ, ჩნდება უნდობლობა ფისკალური მულტიპლიკატორის მიმართ. ისინი, რომლებიც უარყოფითად უყურებენ დისკრეციულ ფისკალურ პოლიტიკას, ძირითადად პოულობენ მცირე ზომის მულტიპლიკატორებს და ისინი კი, ვინც მათ დისკრეციულ ფისკალურ პოლიტიკას ეთანხმება, პოულობენ უფრო დიდ რიცხვებს. წარმოდგენილი კვლევა კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია იმ დისკუსიაში, რომელიც ფისკალური ეფექტიანობის ემპირიულ შეფასებას აკეთებს საქართველოსთვის.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვამ აჩვენება, რომ ზოგადი ეკონომიკური სიტუაცია და მონეტარული პოლიტიკის პოზიციონირებაც გავლენას ახდენს ფისკალურ მულტიპლიკატორზე. იმის მიხედვით, თუ რა იქნება მონეტარული პოლიტიკის საპასუხო რეაქცია, სარგებლის განაკვეთის მიმართ მგრძნობიარე კერძო დანახარჯები და ინვესტიციები შეიძლება გამოიდევენოს ან პირიქით გაიზარდოს. ნაშრომში გამოყენებულ იქნა ფისკალური მულტიპლიკატორის გაანგარიშების მოდელი, რომელიც დანახარჯები-გამოშვების ცრილებს ეფუძნება. კერძოდ, აღნიშნული მოდელში გაკეთდა დაშვება, რომ სარგებლის განაკვეთის მიმართ მგრძნობიარე კერძო დანახარჯები და ინვესტიციები არის მუდმივი (კონსტანტა). აქედან გამომდინარე, ეს კვლევა წარმოადგენს ფისკალური მულტიპლიკატორის კონსერვატიულ შეფასებას ღრმა მოთხოვნის შოკით გამოწვეული რეცესიის დროს. რა თქმა უნდა, ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც ეკონომიკის დასტაბილურებისკენ მიმართული მოქმედება ყველაზე

მეტადაა საჭირო. უფრო მეტიც, სადისერტაციო ნაშრომში გაანგარიშებულია ფისკალურ მულტიპლიკატორი ღია ეკონომიკისთვის და ძირითად ყურადღებას მივმართავთ იმპორტისადმი მიდრეკილების სწორად გაანგარიშებაზე. კერძოდ, შერჩემული მოდელისთვის საჭირო გახდას იმპორტის ინტენსივობის ინდიკატორების დათვლა ადგილობრივი მოთხოვნის სხვადასხვა კომპონენტებისთვის და ასევე იმპორტის ინტენსივობის დათვლა მთლიან ექსპორტში. აღნიშნული კოეფიციენტების გაანგარიშება შეუძლებელია პირდაპირ ეროვნული ანგარიშებიდან. ამის გაკეთება კი დანახარჯები-გამომშვების ცხრილების მეშვეობით იქნება შესაძლებელი.

ლეონტიევის მატრიცული გარდაქმნებითა და გაერთიანებული ერების მიერ 2018 წელს შემუშავებული მეთოდოლოგიის საშუალებით, რესურსებისა და გამოყენების ცხრილებიდან (Supply-Use Tables- SUT), რომელიც ხელსმიწავდომია ეროვნული ანგარიშებიდან, მივიღეთ დანახარჯები-გამომშვების ცხრილი (Input-Output Tables- IOT) საქართველოსთვის (2016 წ.). შედეგად მიღებული ცხრილების საშუალებით კი გაანგარიშებულ იქნა იმპორტის ინტენსივობის კოეფიციენტები და საბოლოოდ შესაძლებელი გახდა ფისკალური პოლიტიკის რაოდენობრივი ეფექტის შეფასება წმინდად ადგილობრივ წარმოებაზე.

დანახარჯები-გამომშვების ცხრილის საფუძველზე შესაძლებელი გახდა გაგვეანგარიშებინა იმპორტის პირდაპირი და არაპირდაპირი მონაწილეობა მოხმარებაში, ინვესტიციებში, სახელმწიფო დანახარჯებსა და ექსპორტში. შედეგად მივიღეთ, რომ 2016 წელს საქართველოში ექსპორტით გამოწვეულ ადგილობრივ წარმოებაში იმპორტის დონე 1,624 მილიონი ლარი, ხოლო იმპორტის მოცულობა მთლიან ადგილობრივ მოთხოვნაში 13,652 მილიონი ლარი იყო. იმპორტის 43.3% შინამეურნეობებმა მოიხმარეს, ხოლო 32.4% გავიდა ექსპორტზე. იმპორტის ათვისების შედარებით დაბალი მაჩვენებელი აქვს ინვესტიციებს (18.8%) და სახელმწიფო მოხმარებას (5.4%). ამასთანავე, შინამეურნეობების მიერ იმპორტის ათვისების 74% არის საბოლოო საქონლისა და მომსახურების სახით, ხოლო დანარჩენი 26% შინამეურნეობების მოთხოვნით გამოწვეული ადგილობრივ წარმოების მიერ იმპორტირებული შუალედური საქონელია.

ექსპორტის მიერ ათვისებული იმპორტის 75.2% პირდაპირ რეექსპორტის სახით გავიდა საქართველოდან, ხოლო 24.8% მოხმარდა საექსპორტო საქონლისა და მომსახურების წარმოებას (2016 წლის მონაცემები). საბოლოოდ კი იმპორტის ინტენსივობის კოეფიციენტები შემდეგნაირად გადანაწილდა:

მოხმარება (C): $m_{cp} = 0.398$

ინვესტიციები (I): $m_I = 0.341$

სახელმწიფო დანახარჯები (G): $m_G = 0.176$; და

ექსპორტი (X): $m_x = 0.442$

საბოლოოდ, კი გამოვიდა, რომ ფისკალური მულტიპლიკატორი ავტონომიური დანახარჯების (C+I+G) მიმართ საქართველოში 1.13-ია. ანუ, ეკონომიკაში ადგილობრივი მოთხოვნის მიერ დახარჯული ერთი ერთეული დამატებით ქმნის 1.13 ერთეულის ეფექტს საქართველოში, ადგილობრივი წარმოება იზრდება 1.13 ერთეულით. იმის გამო, რომ საქართველო არის ღია ეკონომიკა მაღალი იმპორტის მოცულობით, მოსალოდნელი იყო, რომ იმპორტის ინტენსივობის სწორად გათვალისწინება გაზრდიდა მულტიპლიკატორის ზომას. მართლაც, ტრადიციული მეთოდით დათვლილი მულტიპლიკატორმა 1.05 შეადგინა.

ნაშრომში შემდეგ გაანგარიშებულია სახელმწიფო დანახარჯების მულტიპლიკატორი ადგილობრივ გამოშვებაზე. საქართველოსთვის აღნიშნული მულტიპლიკატორი 1.35 მივიღეთ. ქვეყანათაშორისი შედარებიდან დადგენილია, რომ ქვეყნებში, სადაც მაღალია მოხმარებისადმი მიდრეკილება (c_p), მულტიპლიკატორიც უფრო მაღალია და ასევე, სადაც უფრო დაბალია ადგილობრივი მოხმარებით გამოწვეული იმპორტის ინტენსივობა (m_G), მულტიპლიკატორი ასევე უფრო მაღალია. ქვეყნები, რომლებსაც უფრო მეტად განვითარებული აქვთ ადგილობრივი მრეწველობა და ნაკლებად ხდება მულტიპლიკატორის ეფექტების გადინება, მულტიპლიკატორის სიდიდე უფრო მაღალია. საქართველოსა და ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნისათვის მულტიპლიკატორებისა და კოეფიციენტების შედარებით ვხედავთ, რომ მნიშვნელოვანი განსხვავებაა იმპორტის ინტენსივობებს შორის შინამეურნეობების მოხმარებაში (იხ. ცხრილი 3). საქართველოში იმპორტის ინტენსივობის კოეფიციენტი როგორც პირდაპირ,

ასევე არაპირდაპირ სახელმწიფო მოხმარებაში 0.18-ია, როდესაც გერმანიაში იგივე მაჩვენებელი 0.08 და საფრანგეთში 0.09. შესაბამისად, მოსალოდნელიც არის რომ იმ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო მოხმარებაში იმპორტს ნაკლები წილი უკავია, მულტიპლიკატორიც უფრო მაღალი იქნება, სახელმწიფოს მიერ დანახარჯებს ადგილობრივ წარმოებაზე უფრო დიდი გავლენა ექნება იმ ქვეყნებში, სადაც იმპორტის მონაწილეობა შედარებით დაბალია. შესაბამისად, გერმანიისა და საფრანგეთის ფისკალური მულტიპლიკატორები უფრო დიდია (1.71 და 1.69 შესაბამისად), ვიდრე საქართველოს მულტიპლიკატორი, რომელიც 1.35-ია. საქართველოს მაჩვენებელი დაახლოებით იგივეა რაც ესტონეთის, სადაც სახელმწიფო მოხმარებაში იმპორტის ინტენსივობა ასევე 0.18-ია.

სადისერტაციო ნაშრომში ასევე განხილულ იქნა საქართველოს ფისკალური სტაბილურობის საკითხი. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით (უმცირეს კვადრატთა მეთოდით, წრფივი რეგრესია), გაანგარიშებულ იქნა ფისკალური სტაბილიზაციის კოეფიციენტი (Fiscal Stabilization Coefficient- FISCO) საქართველოს მაგალითზე და გაკეთდა კოეფიციენტის ქვეყანათაშორისი ანალიზი. თუ FISCO კოეფიციენტი 1-ის ტოლია, ნიშნავს რომ გამოშვების 1 პროცენტული პუნქტით კლებისას/ზრდისას, ბიუჯეტის საერთო სალდო GDP-ს 1 პროცენტული პუნქტით გაუარესდება/გაუმჯობესდება. შესაბამისად, რაც უფრო მაღალია კოეფიციენტი, ფისკალური პოლიტიკა მით უფრო წრიულობისკენ (ცილურობისკენ) არის მიმართული. საქართველოსთვის ფისკალური სტაბილიზაციის კოეფიციენტი 0,42 მივიღეთ, რაც სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სიდიდეა (p მნიშვნელობა $<0,01$). იგივე მაჩვენებელი განვითარებული ქვეყნებისთვის საშუალოდ 0,7-ს, ხოლო გარდამავალი ბაზრებისა და განვითარებადი ქვეყნების ჯგუფისთვის 0,3-ია.

ქვეყანათაშორისი კორელაციური ანალიზით დადგენილია, რომ ფისკალურ პოლიტიკას გამოშვების სტაბილიზაციაში უფრო მეტი წვლილი შეაქვს განვითარებულ ეკონომიკებში ვიდრე გარდამავალ ბაზრებსა და განვითარებად ქვეყნებში. ქვეყნებსშორისი კორელაცია გვიჩვენებს, რომ უფრო მაღალი ფისკალური სტაბილურობა ასოცირებულია გამოშვების

ნაკლებ მერყეობასთან. თუმცა, აქაც განსხვავება მნიშვნელოვანია განვითარებულ და განვითარებად ქვეყნების ჯგუფებს შორის: განვითარებულ ქვეყნებში დამოკიდებულება ფისკალურ სტაბილიზაციასა და გამოშვების მერყეობას შორის უფრო ძლიერი და მკვეთრად უარყოფითია, ვიდრე გარდამავალ და განვითარებად ეკონომიკებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანანიაშვილი ი., „ეკონომეტრიკა“. სახელმძღვანელო. მეორე შეესებული და შესწორებული გამოცემა. თბილისი, მერიდიანი, 2012. 412 გვ.
2. ანანიაშვილი ი., „არადაკვირვებადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შეფასებისა და ანალიზის მოდელები“, ეკონომიკა და ბიზნესი. 2014, # 5, გვ. 13-54.
3. ბერიძე თ. „ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკური განვითარება: რაოდენობრივი და თვისებრივი განსაზღვრულობა“. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. შრომები. ტ.10 გამომცემლობა „სიახლე“. გვ.115–122;
4. ბლანშარი, ო. მაკროეკონომიკა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
5. გელაშვილი ს., 2015, „საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკა“. სახელმძღვანელო, გამომც. „უნივერსალი“, თბ.,.
6. გელაშვილი ს., 2012, „ეკონომიკური პროცესების სტატისტიკური პროგნოზირება“. სახელმძღვანელო. გამომც. „მერიდიანი“, თბილისი.
7. გველესიანი რ., 2017, „ძირითად საზოგადოებრივ ფასეულობებს შორის არსებული წინააღმდეგობები და მათი დაძლევის გზები“, ჟ. ეკონომიკა და ბიზნესი, ტ.X., #1.
8. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი., 2009, "ეკონომიკური პოლიტიკა", გამომცემლობა "უნივერსალი", თბილისი.
9. ეკონომიკის პოლიტიკისა და კვლევის ცენტრი (EPRC). 2015. "ანალიზი და რეკომენდაციები ეფექტური ფისკალური დეცენტრალიზაციისთვის."
10. ზედგინიძე, ზ., მხატვრიშვილი. შ. 2014. "მაკრო-ფისკალური მოდელი საქართველოს ეკონომიკისთვის." ეკონომიკა და საბანკო საქმე 69-102.
11. კაკულია, ნ., 2017, „ინსტიტუტების ფორმირებისა და მათი ჩამორჩენის საკითხები კონკურენციის პოლიტიკისა და ტრანსფორმაციის მაჩვენებელთა სისტემის საფუძველზე“, კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები, 107-112.
12. მარშავა ქ., 2012, „მთლიანი შიდა პროდუქტი და მისი კომპონენტების საერთაშორისო შედარებები მშპ ანალიზის მნიშვნელოვანი მიმართულება“. გამომცემლობა „უნივერსალი“, გვ.488-492.

13. მექვაბიშვილი, ე. 2015. "გლობალიზაციის ეპოქის ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების პოლიტეკონომიური ანატომია." ეკონომიკა და ბიზნესი.
14. მექვაბიშვილი ე., 2015, „გლობალიზაციის ეპოქის ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების პოლიტეკონომიური ანატომია“, ჟ. ეკონომიკა და ბიზნესი, ტ.VIII, #2.
15. მუჩიაშვილი, მ. 2018. ფისკალური სტატისტიკა. თბილისი: დამხმარე სახელმძღვანელო.
16. პაპავა, ვ., სილაგაძე, ა. (2019, აპრილი), ერთიანი საკვანძო ეკონომიკური ტერმინის-“Gross Domestic Product”-ის ქართული სახელწოდების შესახებ. ეკონომიკა და ბიზნესი, 180-182.
17. პაპავა, ვ. 2011. არატრადიციული ეკონომიკისი. თბილისი: პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
18. პაპავა. ვ. გლობალური ფინანსური კრიზისი და ნეკროეკონომიკის ზომბირების საფრთხე. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტომი 8. თბილისი, "სიახლე", 2010.
19. პაპავა. ვ., 2001, ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის შესატყვისი კორუფციის ბუნება და საქართველოში მისი შეზღუდვის მექანიზმის შესახებ. სახელმწიფო და კონტროლი, N 1.
20. პაპავა. ვ. ეკონომიკური რეფორმის ქართული მოდელი “შოკური თერაპიიდან” – “სოციალურ სტიმულირებამდე”. თბილისი, სმკ, 1995
21. პაპავა. ვ., 2000, ნეკროეკონომიკა. მაკრო მიკრო ეკონომიკა, N 10.
22. პაპავა. ვ., ხადური. ნ., 1998, პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ინსტიტუციური ანალიზი. მეცნიერება და ტექნიკა, N 1-3.
23. პაპავა. ვ., 2013, პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკური განვითარების ვექტორის შესახებ. თბილისი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, ექსპერტის აზრი, # 7.
24. პაპავა ვ., 2015, "საქართველოს ეკონომიკა", გამომცემლობა ინტელექტი, თბილისი.
25. პაპავა ვ., 2011, “არატრადიციული ეკონომიკისი“, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი.

26. სილაგაძე ა., 2010, "ეკონომიკური დოქტრინები", თბილისი.
27. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. 2016. "საქართველოს ფისკალური პოლიტიკა და მართვა და მისი თავსებადობა ევროკავშირის პრაქტიკასთან."
28. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. 2015. "ფისკალური პოლიტიკის გავლენის ძირითადი ასპექტები." თბილისი.
29. ხადური, ნ. 2010. "ეკონომიკური ზრდა- რეალობა და პერსპექტივები." პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განვითარების თანამედროვე ეტაპზე". თბილისი.
30. ხადური, ნ. 2009. "საქართველოს ეკონომიკის დერეგულირების მაკროეკონომიკური ასპექტები." ეკონომისტი.
31. ხადური ნ., კაკულია ნ., ჩიქობავა მ., 2011, „მაკროეკონომიკა“, ლექციების კურსი. თბილისი.
32. ხადური ნ., 2012 , „ქართული ეკონომიკური მოდელი და გლობალური ეკონომიკა., IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაცია და ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები“ კრებული. თბილისი,
33. ხარაიშვილი ე., გაგნიძე ი., ჩავლეიშვილი მ., ნაცვლიშვილი ი., ნაცვალაძე ი., 2014 „მიკროეკონომიკა“,სახელმძღვანელო, მე-3 შეესვებული და გადამუშავებული გამოცემა. ავტორები: გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
34. US Council of Economic Advisers. 2009. "The Effect of Fiscal Stimulus: A Cross-Country Perspective." Washington.
35. Afonso, A., and D. Furceri. 2010. "Government Size, Composition, Volatility and Economic Growth." European Journal of 517–32.
36. Afonso, A., Jalles, J. T. 2012. "Fiscal Volatility, Financial Crisis and Growth." Applied Economics Letters 1821–26.
37. Aghion, P., Marinescu, I. 2008. "Cyclical Budgetary Policy and Economic Growth: What Do We Learn from OECD Panel Data?" NBER Macroeconomics Annual Vol 22.

38. Alesina, A. F., Ardagna, S. 2009. "Large Changes in Fiscal Policy: Taxes vs. Spendings." National Bureau of Economic Research Cambridge, MA.
39. Almunia, M., Benetrix, A., Eichengreen, B., O'Rourke, K., Rua, G. 2010. "From great depression to great credit crisis: similarities, differences and lessons." *Economic Policy (Economic Policy)* 219-265.
40. Aschauer, D.A. 1989. "Is Public Expenditure Productive?" *Journal of Monetary Economics* 177-200.
41. Auerbach, A. J., Gorodnichenko, Y. 2010. Measuring the output responses to fiscal policy. NBER working paper.
42. Barro, R. J. 1974. "Are government bonds net wealth?" *Journal of Political Economy* 1095-1117.
43. Barro, R. 1981. "Output effects of government purchases." *Journal of Political Economy* 1086-1121.
44. Baunsgaard, T., Symansky, A. 2009. "Automatic Fiscal Stabilizers." International Monetary Fund IMF Staff Position Note 09/23.
45. Bénétrix, A. S., Lane P. R. 2013. "Fiscal Cyclicity and EMU." *Journal of International Money and Finance* 164-76.
46. Bernanke, B. 2000. "Japanese Monetary Policy: A case of self-induced paralysis." *Institute for International Economics* 149-166.
47. Bernanke, B. S., Gertler, M., Gilchrist, S. 1999. "The financial accelerator in a quantitative business cycle framework." In *Handbook of Macroeconomics*, by M. Woodford J. B. Taylor, 1341-1393. Elsevier.
48. Bhatta, S.D., Drennan, M.P. 2003. "The economic benefits of public investment in transportation: A review of the recent literature." *Journal of Planning and Education* 288-296
49. Blanchard, O. J. 2019. *Macroeconomics*. Pearson.
50. Blanchard, O. J. 1993. "Suggestions for a New Set of Fiscal Indicators." In *The Political Economy of Government Debt*, by H. A. A., Winden, V. Verbon. Elsevier Science.
51. Blanchard, O. J., Dell'Araccia, G., Mauro, P. 2010. "Rethinking Macro Policy." International Monetary Fund IMF Staff Position Note 10/03.

52. Blanchard, O. 2014. "Where Danger Lurks." *Finance & Development*.
53. Blanchard, O., Perotti, R. 2002. "An empirical characterization of the dynamic effects of changes in government spending on taxes and output." *Quarterly Journal of Economics* 1329-1368.
54. Blanchard, O., Rajan, R. G., Rogoff, K. S., Summers, L. H. 2016. *Progress and Confusion, the State of Macroeconomic Policy*. London: The MIT Press.
